ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

„ახალი თაობა"
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები ტომი 2
ჩეხური ზღაპრები
6 ლარი




სამშაბათი, 24 სექტემბერი, 2013 №226 (6227) ფასი: 30 თეთრი

# ნანა დევდარიანი: „ნაციონალების ერთი ჯგუფი სააკაშვილის მოშორებას გეგმავს"



გვ.2 „ქართული ოცნება" არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება

## ირინა იმერლიშვილმა და თინათინ ბოკუჩავამ იცხუბეს გვ.5





რას ვერ იყოფენ დეპუტატები

## სახალხო კრება დახმარებისთვის დიპლომატებს მიმართავს გვ.5

## სერგო ჯავახაძე: „საქართველოს ყოველდღე 200 მეტრ მიწას აჭრიან" გვ.5





## გვ.3 ვახტანგ ძაბირაძე: „კონსტიტუციაში რაღაც რიგზე ვერ არის"


გვ.3

### შალვა ნათელაშვილი სოფელ ღვანში ჩავიდა

### ნინო ბურჯანაძე: „სამართლიანობა ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში აუცილებლად აღდგება"


გვ.7


გვ.6

### ზურაბ აბაშიძე: „რუსეთისთვის არაფერი დაგვითმია"

### სოჭის ოლიმპიადაზე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მონაწილეობას არ მიიღებენ


გვ.6


გვ.7

### ირაკლი ღარიბაშვილი თავის ლატვიელ კოლეგას შეხვდა

ISSN 1987-9385

2 გიორგი მარგველაშვილი: „პროვოკაციაზე ქართული სახელმწიფო არ წამოეგება"

4 ლევან პირველი: „მე დავბრუნდი"

7 პოლიციამ ტრეფიკინგის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

4 „მოვიდნენ ივანიშვილი და უსუფაშვილი და ნახონ, რა ხდება ღვანში!"

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნანა დევდარიანი: „ნაციონალების ერთი ჯგუფი სააკაშვილის მოშორებას გეგმავს“

ნონა ცაბაძე

## „ქართული ოცნება“ არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება

### ინტერვიუ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ ნანა დევდარიანთან

***— მოდით, ბოლო პერიოდის ცვლილებები შევაფასოთ და დავიწყოთ საკონსტიტუციო ცვლილებებით. ვიცით, რომ პარლამენტმა პირველი მოსმენით კენჭი უყარა საკონსტიტუციო ცვლილებებს. საზოგადოებაში გაჩნდა განცდა, რომ ახლა ახალი ხელისუფლება ცდილობს კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებას. რამდენად არის ეს ასე და რას ფიქრობთ განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით?***

— ყოველთვის ცუდია, როცა ხშირად შედის კონსტიტუციაში ცვლილებები, მაგრამ თუ შინაარსს დავუკვირდებით, პრაქტიკულად ამას შეგვიძლია დავარქვათ საკონსტიტუციო გადატრიალება. იმიტომ, რომ ისედაც ამხელა უფლებები აქვს პრემიერს და პარლამენტს და არჩევნების წინ კიდევ შემცირება პრეზიდენტის უფლებების, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მმართველი გუნდი სულაც არ არის დარწმუნებული მისი კანდიდატის გამარჯვებაში. თორემ საკუთარ კანდიდატს ხომ არ შეუმცირებენ უფლებებს?!

***— სწორედ ეს ეჭვები გაჩნდა, როდესაც დაიწყეს პრეზიდენტის უფლებების შემცირება, ოცნებას შეეშინდა ნინო ბურჯანაძის გაპრეზიდენტების და სწორედ ამიტომ ტოვებენ სრულიად უუფლებოს მომავალ პრეზიდენტსო. ე.ი. თქვენც ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— აი, ზუსტად. სხვანაირი ახსნა, ძალიან ძნელია, ამას მოუძებნო. ამის გარდა, მოდით, დავუკვირდეთ, ივანიშვილის რეიტინგით პარლამენტში შევიდნენ სრულიად ურეიტინგო პარტიები, რომლებიც მის გარეშე ბარიერსაც ვერ გადალახავდნენ. ახლა, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ივანიშვილი ამბობს, რომ წავალ. ესე იგი ეს ხალხი იტაცებს იმაზე მეტ ძალაუფლებას, ვიდრე სააკაშვილის შესწორებული კონსტიტუციით ჰქონდათ. ეს არის საგანგაშო რამ. მინდა ყველას გავახსენო, რომ ჩვენ საპრეზიდენტო არჩევნების წინ კონსტიტუციას არ შევცვლითო, რომ ეს არ იყოს კონკრეტულ არჩევნებზე მორგებული ცვლილებებიო. ეს დაპირებაც კი დაივიწყეს. ამას სხვა სახელს ვერ დაარქმევ, გარდა იმისა, რომ აი, ამ არჩევნების წინა პერიოდში, აბსოლუტურად გადატრიალების ხასიათს ატარებს ეს ყველაფერი. ჩუმი, კულუარული, საკაბინეტო გადატრიალება ჰქვია ამას, მეტი არაფერი.

***— არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცვლილებების ძირითად ნაწილს ეთანხმება და მხარს უჭერს ნაციონალური მოძრაობა...***

— კი, რატომაც არა. მით უმეტეს, რომ გარკვეული მესიჯები ისმის ქართული ოცნებიდან, რომ მათ მეორე ადგილზე დავით ბაქრაძე ურჩევნიათ, ეს არის ორი პოლიტიკური ძალის გარიგება. თქვენ ლეგიტიმაციას უკეთებთ ჩვენს პირველ ადგილს (და სულაც არ არის გამორიცხული ამ შემთხვევაში გაყალბებები ადგილებზე) და ჩვენ თანხმობას გაძლევთ იმაზე, რომ შეინარჩუნოთ მეორე პოლიტიკური ძალის სტატუსი. აი, ამას ჰგავს ეს ყველაფერი.

***— ქალბატონო ნანა, ჩვენ ვისმენთ ექსპერტების შეფასებებს, რომ ნაციონალური მოძრაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გავა მეორე ადგილზე, თუ მას ქართული ოცნება დაუჭერს მხარსო. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— ნამდვილად ვეთანხმები, იმიტომ, რომ ბაქრაძისთვის მეორე ადგილი, ეს წარმოუდგენელია. არც თვითონ კანდიდატია ისეთი წონის, მოდით ვთქვათ პირდაპირ და მით უფრო 9 წლიანი მმართველობა ნაციონალური მოძრაობის, არანაირ წინაპირობას არ ქმნის იმისას, რომ მათი კანდიდატი მეორე ადგილზე გავიდეს.

***— ვიდრე უფრო დეტალურად ვისაუბრებდეთ საპრეზიდენტო არჩევნებსა და კანდიდატებზე, მოდით ამოვწუროთ კონსტიტუციის თემა, როგორ ფიქრობთ, არ უნდა მოყვეს ამ ცვლილებებს პროტესტი საზოგადოების მხრიდან? მხოლოდ სახელი — პრეზიდენტი — რჩება მომავალ***




***პრეზიდენტს და ამით შემოიფარგლება მისი უფლებები?***

— მოდით, ასე ვთქვათ, ძალიან ფართო უფლებამოსილებაც რომ ჰქონდეს მარგველაშვილს, ის ძლიერი პრეზიდენტი ვერ იქნება, ხომ? აქ პოლიტიკოსები მხედველობიდან არ უნდა უშვებდნენ ერთ ძალიან მნიშვნელოვან მომენტს, რომ ხშირად გაწერილ უფლებამოსილებებზე მეტი მნიშვნელობა აქვს თვითონ პიროვნებას და მის ავტორიტეტს. მე შეგახსენებთ, რომ პატრიარქს საერო ხელისუფლებაში საერთოდ არანაირი თანამდებობა არ უკავია, მაგრამ სარგებლობს ყველაზე მაღალი ავტორიტეტით. ეს ყველაფერი ძალიან პიროვნული ფაქტორებია. როგორც არ უნდა შეუკვეცო, მაგალითად, ნინო ბურჯანაძეს უფლებამოსილებები, ის მისი პირადი გამოცდილებით, ცოდნით და სხვა კომპონენტებით, მაინც გაცილებით მეტის გაკეთებას მოახერხებს, ვიდრე მარგველაშვილი. ამიტომ ეს კონსტიტუციის გადაწერა — გადმოწერა, მარგველაშვილს არ გააძლიერებს როგორც სახელისუფლო კანდიდატს და არც როგორც პრეზიდენტს. დიდი შანსია, რომ ამის გამო მან კიდევ უფრო დაკარგოს ხმები.

***— როგორც ჩანს, ეს ყველაფერი მარგველაშვილზე არ არის გათვლილი...***

— როგორც ჩანს... აქ უფრო სხვა მომენტია, ეს არის მთლიანად პარლამენტის ხელში ძალაუფლების აკუმულირება. პარლამენტში. მე შეგახსენებთ, რომ სულაც არ ატარებს ძირითადი ძალის ფუნქციას თვითონ ივანიშვილის პარტია ქართული ოცნება. პარლამენტის თავმჯდომარე არის რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი, იქ კიდევ ალასანიას პარტიის წარმომადგენლები არიან, ასე რომ, პოლიტიკურად გამოცდილი ხალხი, თვითონ ივანიშვილის კვოტით ჩასმულ ხალხში ნაკლებად არის. მე ვფიქრობ, რომ ამ ერთ წელიწადში მათ ძალიან ბევრი რამ დაინახეს და ისწავლეს და თვითონაც გარკვეულ პოზიციას გამოხატავენ. უბრალოდ, როდის იქნება ეს, არავინ იცის.

***— მათ ვადამდელი არჩევნებისაც ეშინიათ და ამიტომ უფრო მეტად გაძლიერებას ცდილობენო...***

— რა თქმა უნდა, წარმოვიდგინოთ ჩვენ, რომ ივანიშვილის ავტორიტეტით მათ მოიპოვეს 53%. ახლა, როდესაც ივანიშვილი ამბობს, რომ მე მივდივარ, ცალ-ცალკე ეს პარტიები, ან თუნდაც ერთად, რამდენის მომპოვებლები არიან? რა თქმა უნდა, ძალიან მცირის... აი, ამაშია საქმე და ეს ხელოვნურად შექმნილი ორი მხარე, ორპარტიული სისტემა, კი ამბობდნენ, რომ კოალიციაში ექვსი პარტიაა და არ არის ერთპარტიულიო, მაგრამ დაფიქსირდა ორი მხარე, კოალიცია ქართული ოცნება და ნაციონალური მოძრაობა, ხომ? და როგორც ივანიშვილი ამბობდა — შუა გაიკრიფა. ასე არ გამოვა ხელოვნურად, ამ ბალანსის შენარჩუნება შეუძლია მხოლოდ ივანიშვილს თავისი ავტორიტეტით. მაგრამ თუ ის აღარ იქნება და ეს ფაქტორი აღარ იარსებებს, კოალიციის ერთიანობის და მისი რაღაცა სერიოზული პოლიტიკური პოზიციების შენარჩუნება უკიდურესად რთული იქნება.

***— ასევე საუბარია იმაზეც, რომ მისი წასვლის შემდეგ აბსოლუტურად სულ სხვა უმრავლესობას მივიღებთ. ითქვა ისიც, რომ ეს უკვე დაგეგმილია და ამის სათავეში რესპუბლიკელები დგანანო...***

— გახსოვთ, მე როდის გეუბნეოდით ამის შესახებ? ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნებამდე, ხომ? ამიტომ არ შეიძლებოდა ამ კონფიგურაციის კოალიციის შექმნა და შუის გაკრეფა. აქ რომ ყოფილიყო პარლამენტში ასეთი სიტუაცია, რომ ყოფილიყვნენ ყველანი, ვინც იყვნენ სააკაშვილის წინააღმდეგი, აი, ასეთი ვითარება არ იქნებოდა, რაც დღეს არის.

***— რას მივიღებთ ამ ყველაფრის შედეგად, ქალბატონო ნანა?***

— ჯერ ერთი, მე ვფიქრობ, რომ რაც უფრო მეტი ასეთი არაგონივრული ნაბიჯი გადაიდგმება საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან, მით უფრო იმატებს იმის შანსი, რომ პირველივე ტურში გავა ბურჯანაძე. უკვე ბურჯანაძის სახელი ამ პოლიტიკურ პროცესებზე ძალიან სერიოზულად იმოქმედებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რაც არ უნდა შეუმცირონ უფლებები, მისი პირადი წონიდან და ავტორიტეტიდან გამომდინარე. ამ კონსტიტუციური ცვლილებებით ისინი მშვიდი პოლიტიკური ცხოვრების გარანტიას ნამდვილად ვერ მიიღებენ.

***— ალბათ მაინც დადგება დღის წესრიგში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები...***

— უკვე დგას ეს საკითხი. ბურჯანაძე აყენებს ამ საკითხს სრული კატეგორიულობით.

***— ალბათ სწორედ ამიტომ არის მიუღებელი როგორც ნაციონალებისთვის, ისე ოცნებისთვის...***

— იცით რა არის, კოალიცია რომ იქმნებოდა, მაშინ ბურჯანაძეს არაფერი არ ჰქონდა ნათქვამი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე და მაშინაც მიუღებელი იყო. ეს არის სინამდვილეში ძალიან მარტივი და ძალიან სუბიექტური მიზეზებით განპირობებული. იმიტომ, რომ სადაც ბურჯანაძე იქნება, იქ რესპუბლიკელებს არავინ არ მიუგდებს ყურს. ამიტომ იყვნენ კატეგორიული წინააღმდეგნი თავიდანვე. აბა, წარმოიდგინეთ, კოალიციაში ბურჯანაძეც რომ ყოფილიყო, დღეს ეს ვითარება არ გვექნებოდა.

***— რაც შეეხება ამ წინასაარჩევნო კამპანიას, ვხედავთ, როგორ შედის აქტიურ ფაზაში, დიდი დრო აღარ რჩება არჩევნებამდე. მიმდინარეობს ამომრჩეველთან შეხვედრები. რამდენიმე დღის წინ მარგველაშვილი შეხვდა ამომრჩეველს სპორტის სასახლეში, სადაც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მარგველაშვილის მხარდაჭერა ჩემს მხარდაჭერას ნიშნავსო, მაგრამ საზოგადოება კითხულობს, როდესაც ის მიდის, მაშინ ვის ვუჭერთ მხარსო?***

— საქმეც ამაშია. ყველაზე დიდ კითხვის ნიშნებს ზუსტად ეს აჩენს. მე არ ვიცი ახლა ახსნა იმისი, რაში დასჭირდა ივანიშვილს საპრეზიდენტო არჩევნების წინ იმის განცხადება, რომ მიდის, აი, ამის ახსნა ლოგიკურად არის შეუძლებელი. ყველა ადამიანი, მათ შორის ქართული ოცნების აქტიური მხარდამჭერი, საკუთარ თავს უსვამს ამ კითხვას. კარგით, ივანიშვილთან ერთად მარგველაშვილს მივცემთ ხმას, მაგრამ თუ ის მიდის, მაშინ როგორ დავუჭირო ამას მხარი? ივანიშვილის გარეშე რას გააკეთებს?

***— შეეძლო მას ეს არჩევნების შემდეგ განეცხადებინა, მაგრამ ალბათ ესეც მისი გულწრფელობიდან გამომდინარეობს, უნდოდა, რომ სამართლიანად მოქცეოდა ამომრჩეველს და მოტყუებული არ დაეტოვებინა ის...***

— ის ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ გულწრფელია, მაგრამ გულწრფელობა კარგია ადამიანურ ურთიერთობებში, მაგრამ ყოველთვის კარგი არ არის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იმიტომ, რომ პოლიტიკაში მარტო ამომრჩეველი ხომ არ არის, არიან პოლიტიკური ოპონენტებიც. ეს გულწრფელობა კი მათ აძლევს სერიოზულ უპირატესობას. განსაკუთრებით, როცა ისეთ ძალასთან გაქვს საქმე, როგორიც არიან ნაციონალები და კიდევ ზოგიერთი პარტია. ამის გაკეთება, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა. თუმცა, მეორე მხრივ, ძალიან ნათლად ჩანს, როგორი დისკომფორტი აქვს ივანიშვილს ხელისუფლებაში ყოფნის გამო. ის მართლაც გულწრფელად თვლის, რომ თავისი ამოცანა შეასრულა ზედმიწევნით. ეს იყო ნაციონალური მოძრაობის შევიწროვება და სააკაშვილის გაშვება. ჩვენ ხომ არ გვავიწყდება, რომ საფრთხე იყო სრულიად რეალური, იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა ამ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, სააკაშვილს განიხილავდა პრემიერ-მინისტრის რანგში. მე ამას რომ ვწერდი 2008 წელს, როცა ჩვენმა „სრულიად ოპოზიციამ“ დააყენა მოთხოვნა — საქართველო პრეზიდენტის გარეშე, მე მაშინ დავწერე, რომ ნუ აკეთებთ ამას, რადგან თქვენ აძლევთ პირდაპირ კარტბლანშს სააკაშვილს, რომ თქვას — მე შევისმინე ოპოზიციისა და ხალხის მოთხოვნა და ახლა გადავდივარ საპარლამენტო მოდელზე. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, ზუსტად ამ სცენარით, 2010 წელს, მან შემოაგდო ეს საკონსტიტუციო ცვლილებები და თავისთვის დაიწერა ძლიერი პრემიერ-მინისტრის ფუნქციები. ამიტომ პოლიტიკაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როდის რას იტყვი.

***— რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატებს, არავინ დაობს იმაზე, რომ ორი ძირითადი კანდიდატია გამოკვეთილი, ბურჯანაძე და მარგველაშვილი. აქტიური დაპირისპირებაა მათ მომხრეებს შორის. თქვენი აზრით, ვის რა შანსები აქვს? საუბარია, რომ თავად ოცნებასაც ეჭვი ეპარება მარგველაშვილის გამარჯვებაშიო და ასეა?***

— აბსოლუტურად ასეა. ეს ჩანს შეუიარაღებელი თვალით. მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებებით კი არა, იმით თუ რა მეთოდებით ახდენს ამომრჩევლის მობილიზაციას კოალიცია ქართული ოცნება. ზუსტად ისე იქცევა, როგორც ნაციონალური მოძრაობა. ეს არის ავტობუსებით ხალხის ტარება და ასე შემდეგ. თუ არჩევნები სამართლიანად ჩატარდება, ყოველგვარი გაყალბების გარეშე, ბურჯანაძის გამარჯვება არ იწვევს არანაირ ეჭვს. თუ ოცნება იმ ყველაფრის შემდეგ, რასაც ებრძოდა და უპირისპირდებოდა, მიმართავს გაყალბებას, ეს იქნება მათი სრული პოლიტიკური კრახი.

***— ამის ნიშნები იგრძნობა, რომ ისინი მიდიან გაყალბებაზე?***

— რა თქმა უნდა, იგრძნობა და მე ყველა მინდა გავაფრთხილო, ნუ წავლენ ამაზე და პოლიტიკურად თავს ნუ დაისამარებენ. იმიტომ, რომ ასე მალე დრაკონთან და ურჩხულთან მებრძოლი გმირი გარდაქმნილიყო ისევ ურჩხულად, მე არ მახსოვს ბოლო 22 წლის განმავლობაში.

***— ნაციონალური მოძრაობა ცდილობს მისგან გამიჯვნასო, თქვენ არ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— არის ერთი ჯგუფი, რომელსაც ნამდვილად უნდა, რომ განაგრძოს პოლიტიკური მოღვაწეობა სააკაშვილის გარეშე, იმიტომ, რომ ეს არის ერთადერთი გზა გადარჩენის. თუმცა მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ კი შეიძლება თქვენ ასე გინდათ, მაგრამ სააკაშვილს არც ერთი არ ჯობიხართ, როგორც ლიდერი. ამიტომ შესაძლოა ნაციონალური მოძრაობა გაიყოს. ჩვენი უახლესი პოლიტიკური ისტორია სავსეა ასეთი მაგალითებით. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, სამართლიანობის აღდგენა არ ნიშნავს ვიღაცის წამებას ციხეში, ან 20-30 წლიან პატიმრობას რომ უსჯიან. სამართლიანობის აღდგენა ჰქვია იმას, რომ ვისაც ქონება წაართვეს, დაუბრუნონ. ნაძარცვი სიმდიდრე და ფული რომ აქვთ გატანილი ოფშორულ ზონებში, ეს დააბრუნებინონ და დანაშაულს დაარქვან დანაშაული. ჯერ არავის არაფერი დაბრუნებია და მე ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში ძალიან ბევრ საინტერესო ფაქტს გავიგებთ. ვისაც ქონება წაართვეს, ის დღესაც იგივე მდგომარეობაშია, მაგრამ ძალიან საეჭვოდ არიან გაჩუმებული საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები. ვინ ვისთან რა გარიგებას აწარმოებდა, ეს დიდხანს არ დაიმალება. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ქურდის ქურდი ცხონდაო და ამ გზით აპირებს პოლიტიკური ცხოვრების გაგრძელებას, აქედან არაფერი არ გამოვა.

## გიორგი მარგველაშვილი: „პროვოკაციაზე ქართული სახელმწიფო არ წამოეგება“



„ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ქართული სახელმწიფო პროვოკაციაზე არ წამოეგება. ამის შესახებ მარგველაშვილმა დვანში მიმდინარე მოვლენების შეფასებისას განაცხადა.

„მთავარი და ამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ პროვოკაციაზე ქართული სახელმწიფო არ წამოეგება. ამ მიმართულებით მოქმედების რესურსი გვაქვს. ეს არის ჩვენი თანხმობა საერთაშორისო თანმეგობრობასთან, ჩვენი სრული თანხმობა მთელს ცივილიზებულ კაცობრიობასთან და სწორედ ამ მეთოდის ამოქმედებას ვაპირებთ. ჩვენ ეს ქმედით საშუალებად მიგვაჩნია. რუსეთის მიერ ასეთი ნაბიჯების გადადგმა ყოველთვის კიდევ უფრო რთულ ვითარებაში აყენებს რუს დიპლომატებს,“— განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვახტანგ ძაბირაძე: „კონსტიტუციაში რაღაც რიგზე ვერ არის“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ პოლიტიკურ ექსპერტ ვახტანგ ძაბირაძესთან

***— ერთი წელი სრულდება, რაც ქართული ოცნება ხელისუფლებაში მოვიდა. როგორ შეაფასებთ მის საქმიანობას, რა იყო პოზიტიური და ნეგატიური მისი მმართველობის ერთი წლის განმავლობაში?***

— ასეთ რეჟიმში ქვეყანა მართლა პირველად არის, როდესაც წინა ხელისუფლების გუნდი არ წასულა სრულად პოლიტიკური ასპარეზიდან სხვა შემთხვევებში ძველი ხელისუფლება პოლიტიკური ასპარეზიდან ქრებოდა. ჩვენი საზოგადოება ასეთ ვითარებას მიჩვეული არ არის. აღმასრულებელი ხელისუფლება გაიყო ორ ნაწილად: პრეზიდენტი თავისი საპარლამენტო უმცირესობით, თვითმმართველობით, მეორე შემთხვევაში – პრემიერი საპარლამენტო უმრავლესობით. კონსტიტუციურად პრეზიდენტს ჰქონდა განუსაზღვრელი უფლებები, მივიღეთ რთული ვითარება. ქართული ოცნება ამ ერთი წლის განმავლობაში ხანძრების კერების ჩაქრობას მოუნდა. ვგულისხმობ საკონსტიტუციო შესწორებას, რითიც პრეზიდენტს ჰქონდა უფლება, დაეთხოვა პარლამენტი, მთავრობაც და გამოეწვია ხელოვნური კრიზისი, ახლა კი პრემიერს აქვს საკმაოდ დიდი უფლებები. სალომე ზურაბიშვილთან მიმართებაში კონსტიტუციაში საპრეზიდენტო კანდიდატის უფლებების ორმაგი წაკითხვა არის შესაძლებელი. კანდიდატისადმი არ არის მოთხოვნა, რომ იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, მაგრამ პრეზიდენტი ვერ გახდება, თუ ექნება ორმაგი მოქალაქეობა. კონსტიტუციაში რაღაც რიგზე ვერ არის. ახალმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო, ჩამოეყალიბებინა თავისი მოქმედების სტრატეგია. საარჩევნო სიები უკვე პრობლემა გახდა, საარჩევნო კოდექსიც პრობლემატურია და არჩევნების შემდეგ ეს კიდევ უფრო პრობლემატური იქნება. ამ პრობლემების მოგვარება დროზე შეიძლებოდა, ეს არ იყო დაკავშირებული ფინანსებთან და დროის უკმარისობასთან, უნდა შექმნილიყო კომისია, რომელიც არჩევნების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიწყებდა ამ საკითხებზე მუშაობას. რეფორმები ტარდება სტრუქტურების შიგნით და არა თავად სტრუქტურების რეფორმირება. სტრუქტურების შიგნით რეფორმები საქართველოში არასოდეს იყო შედეგის მომტანი იმიტომ, რომ ერთ სტრუქტურაში ერთი მიმართულების რეფორმა ტარდება, მეორე სტრუქტურაში – სხვა. ახალმა ხელისუფლებამ დემოკრატიული ნაბიჯები სტრუქტურული რეფორმის თვალსაზრისით ვერ გადადგა. მიუხედავად იმისა, რომ ამის პოტენციალი ადამიანურიც და ტექნიკურიც არსებობს. აუხსნელია, რატომ ვერ აკეთებენ ამას. საუბრობენ, რომ მედია დღეს უფრო თავისუფალია, ეს მართალია, მაგრამ ეს სიმართლე დამოკიდებულია არა ინსტიტუტებზე, არამედ იმაზე, რომ დღევანდელი ხელისუფლება არ ცდილობს, ამაში აქტიურად ჩაერიოს. თუ გადაწყვეტს, რომ უნდა ჩაერიოს, იგივეს მივიღებთ, რაც წინა ხელისუფლების დროს გვქონდა, თანაც ისე სწრაფად, რომ თვალის დახამხამებასაც ვერ მოვასწრებთ. რეფორმა როგორ შეიძლება განულდეს, ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო იუსტიციის საბჭოს არჩევნები და სასამართლო რეფორმა, ფაქტობრივად არაფერი გაკეთდა. ისეთივე უნდობლობაა სასამართლოს მიმართ, როგორიც იყო აქამდე. შსს, რომელშიც შერწყმულია უშიშროება, ისევ ისე დარჩა. აღარაფერს ვამბობ თვითმმართველობაზე, იმ ვერტიკალზე, დეცენტრალიზაცია არასერიოზულია როცა საუბრობენ, რომ დამოკიდებულია პარლამენტის გეოგრაფიულ მდებარეობაზე. ძალაუფლების დეცენტრალიზაცია არ განხორციელებულა. ამ მხრივ ქვეყანაში ბევრი არაფერი შეცვლილა. მე ვიზიარებ იმ აზრს, რომ ეკონომიკური სტაგნაცია იქნებოდა იმიტომ, რომ როცა ვსაუბრობდით, რომ იყო ელიტური კორუფცია, ეს მარტო ასე არ იყო, საქართველოში მოხდა ელიტური კორუფციის შერწყმა ბიუროკრატიასთან. ჩვენი ეკონომიკა ნომენკლატურულ კაპიტალიზმის მოდელს უფრო ჰგავდა, ვიდრე თავისუფალი კაპიტალიზმის მოდელს. როცა აქედან გინდა თავის დაღწევა, ამ დროს ყოველთვის თავს იჩენს პრობლემები. საქმე სხვა რამეა, არ ჩანს, რომ აქედან თავისუფალ ბიზნესამდე მივალთ. რა პროცესები მიდის ახლა ეკონომიკაში? მიდის ნომენკლატურული კაპიტალიზმის დაშლა თუ მეპატრონის შეცვლა.

***— თქვენ რომელი ვარიანტისკენ იხრებით, საუბრობენ, რომ მიდის მეპატრონის შეცვლა?***

— არ ჩანს ახლა ეს, მაგრამ თუ ეს ასე ხდება, ისევ დაიწყება ეკონომიკური ალმავლობა, ფორმა არ შეიცვლება, მალე მივიღებთ ისეთივე მდგომარეობას, რაც გვქონდა გასული წლის ოქტომბერში. ისევ დადგება მედიასაშუალებების გაკონტროლების საკითხი დღის წესრიგში, ადამიანის უფლებები, საარჩევნო სისტემები და ა.შ. ამ მხრივ ქართულ ოცნებას არაფერი გაუკეთებია, არ ვიცი, რას იზამს შემდეგ.

***— ელოდებიან საპრეზიდენტო არჩევნების გამართვას და გვარწმუნებენ, რომ პროცესები სასიკეთოდ განვითარდება?***

— როცა რაღაცას მპირდებიან, კარგია, მაგრამ მანამდე მაინტერესებს, რამ შეუშალათ ხელი. კოაბიტაციის პროცესი გავიგეთ, მერაბიშვილის ან სააკაშვილის დაკავება გასაგებია, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა საარჩევნო სიების გასწორებას, საარჩევნო კოდექსის დახვეწაზე მუშაობას, კონსტიტუციაში ხარვეზების აღმოფხვრას. ახლა შსს-ში „ენკავედეს“ სისტემა გვაქვს, იქ რეფორმის განხორციელებას რა უშლიდა ხელს? ტანკი თუ დგას ჯართია და მორჩა, მაგრამ თუ იმას მომართავ, იარაღია. სისტემა ხომ ისევ რჩება. სამართლიანობის აღდგენა მარტო დამნაშავეების დასჯა კი არ არის, მეორეა იმ პრინციპების დამკვიდრება, რასაც სამართლიანობა უნდა დაეფუძნოს. ეს ერთმანეთთან კავშირში მაინცდამაინც არ არის. ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ რაღაც გაუმჯობესდა, მაგალითად, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ნებისმიერი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ორი-სამი წელი სიტუაცია კარგია. ეს ის დროა, როცა ძველი ხელისუფლების ჩანაცვლება ხდება ახლით. ქვედა ფენებამდე რომ დავიდეს, ეს პრესი, მოთხოვნილება და საშუალება არ არის. ზევით მიდის გადანაწილება და ნელ-ნელა მოჰყვება ქვევით. მაშინ იწყება უკმაყოფილების გამოხატვა, იმის მიხვედრა, რომ პროცესები არასწორად მიდის, ეს მე მაშინებს, არ მეგულება ქვეყანაში ადამიანი, რომელსაც უხაროდეს რომელიმე ხელისუფლების წარუმატებლობა. ეს ისევ ჩვენზე აისახება. შეიძლება იძულებული ვიყოთ, რომ აღმოვჩნდეთ ისევ ქუჩაში.

***— ხშირად ისმის ქართული ოცნების მიმართ პრეტენზია, რომ საგარეო პოლიტიკა არათანმიმდევრულია, ივანიშვილმა სომხეთი მაგალითად მოგვიყვანა, მაგრამ ამავე დროს პრიორიტეტებად გვისახავს ევროინტეგრაციას. ამაზე რას იტყვით?***

— საგარეო მიმართულებაში სურვილებს თუ გავაანალიზებთ, ნაცმოძრაობას ევროპული ღირებულებები რომ არ აინტერესებდა, ეს ცხადი იყო, რა კადრებიც გავრცელდა, შორს არის ევროპული ღირებულებებისგან. დეკლარირების დონეზე რყევები არის, მაგრამ ახალი ხელისუფლება საკმაოდ გამოუცდელი იყო დიპლომატიურ ურთიერთობებში, ისეთ რამეს ამბობდა, რაც შეიძლება სხვაგვარად თქმულიყო. მგონია, რომ არანაირი ნაბიჯი სააწინააღმდეგო მიმართულებით არ გადადგმულა. დასავლეთისკენ კურსის სურვილები ისევ არსებობს, ახალი ხელისუფლება ეძებს ტონს, რა ტონშიც უნდა ელაპარაკოს რუსეთს. არ ვიყავი მომხრე იმ რიტორიკისა, რაც ჰქონდა ნაცმოძრაობას, ორლობეში გაწიწმატებული დედაკაცების ჩხუბს უფრო ჰგავდა. მინდა გვქონდეს რუსეთთან კარგი ურთიერთობა, მაგრამ ერთი ნაბიჯითაც არ უნდა დავიხიოთ უკან. რუსეთი და პუტინი როგორია, ეს არ არის ჩვენი საქმე, პუტინი არ არის კორექტული გამონათქვამებში, აგერ ცოტა ხნის წინ თქვა, დიდი ბრიტანეთი რა არის, ერთი პატარა კუნძულია სადღაცო, ამან მთელი ბრიტანეთი გააღიზიანა, მაგრამ პუტინია და ამხელა რუსეთი. ჩვენ თუ ამ ტონალობაში ავყევით, აქედან სასიკეთო არაფერი გამოვა. რუსეთს არ უნდა მივცეთ საშუალება, ამტკიცოს, რომ ჩვენ ვართ აგრესორი. საქართველოს სრული უფლება აქვს, აღადგინოს კონსტიტუციური უფლება თავის ტერიტორიაზე, მაგრამ როცა იცი, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს პროვოკაციები რუსეთის მხრიდან, მაშინ ეს არ უნდა გააკეთო. ჩემი აზრით, ეს არის ერთადერთი პოზიტივი ახალი ხელისუფლების მოქმედებისა, რომ მან ეს რიტორიკა შეცვალა.



***— ნაციონალები აკრიტიკებენ ქართულ ოცნებას, რომ ნაზი ხმით საუბარი რუსეთთან შედეგის მომტანი არ არის და მკვეთრი განცხადებებია საჭირო.***

— მიხეილ სააკაშვილმა 2008 წელს გააკეთა ის, რაც გააკეთა. ეს პირველად 2004 წელს გაკეთდა, როცა ოქრუაშვილი ცხინვალში პირველად შევიდა. 1998 წელს ცუდი შედეგი მოჰყვა ამას, მოყოლებული 1988 წლიდან, სულ ვაგებდით. არც ერთმა ხელისუფლებამ ამ მიმართულებას არ გადახედა. ნაციონალები ამბობენ, იგინეთ, აგინეთ და გული მოვიფხანოთ. რეალური შედეგი ამას არ მოჰყვება. 2008 წლამდე ცხინვალის რეგიონში სისხლი იღვრებოდა, უბედურება ხდებოდა, მანამდე უნდა ყოფილიყო საელჩოებთან კონტაქტი და ის უნდა გვეთქვა, რომ კულახმეტოვი ვერ აკონტროლებდა სიტუაციას, განგაში რომ აგვეტეხა, მაშინ ჯარების შეყვანა კი არ დაგვჭირდებოდა, არამედ დადგებოდა საქმე, რომ რუსეთის სამშვიდოებოები ვერ აკონტროლებენ ვითარებას და მოგვეთხოვა საერთაშორისო ეგიდით სამშვიდობო ჯარის შეყვანა. აი, ეს იქნებოდა გამოსავალი. ნაციონალებს ახლა ძალიან უნდათ ამ ხელისუფლებამაც იგივე გააკეთოს. სააკაშვილის გუნდი ამბობს, როცა საქმე ქვეყნის საერთო პრობლემას ეხება, ერთიანი უნდა ვიყოთო, ამ დროს არ არიან ერთიანი. ამათ მართლა აქვთ პრობლემა, რომ რაც არ გამოუვიდათ, ის შეცდომები გადაიფაროს რაღაცნაირად.

***— ივანიშვილის წასვლის შესახებ განცხადების შემდეგ ნაციონალებმა დაიწყეს ნიშნის მოგებით საუბარი, რომ ივანიშვილმა არც ერთი საარჩევნო დაპირება არ შეასრულა. აქვე არის ბუნებრივი ინტერესი, ვინ იქნება მისი შემცვლელი. მიანიშნებენ იმაზე, რომ ივანიშვილი შუა აზიის მმართველივით თავად დატოვებს მემკვიდრეს ამ პოსტზე. ეს შიშები საფუძვლიანია?***

— მე ვთვლი, რომ ის, რაც ზემოთ განვაცხადე, რეფორმების თვალსაზრისით, სწრაფად შეიძლებოდა გაგვევლო, საარჩევნო დაპირებებს რაც შეეხება, ამაზე საუბარი შეიძლება ოთხი წლის შემდეგ. ნაციონალებმა, ალბათ გახსოვთ, 25 ოქტომბერს ქართულ ოცნებას პრეტენზია წამოუყენეს, რატომ არ იყო მოხნული მიწები. სოციალური კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, წიგნები მნიშვნელოვანია, ეს არ არის ერთჯერადი აქტი, ხუთი წელი მოსახლეობა განთავისუფლდა სკოლის წიგნების შეძენისგან. უმაღლესებში ბევრი დარგი გახდა უფასო, ასევე დოქტორანტურა გახდა უფასო, დისბალანსის მეშინია, ეკონომიკა დამუხრუჭდა, სოციალური პროგრამები კი ისევ ფინანსდება. ბოლო ათი წელია საუბარია ასორმოცდაათლარიან პენსიაზე, პოლიტიკური მდგრადობა მაინტერესებს, სტაბილურობა ქვეყანაში ამას მოაქვს. ორ-სამ წელიწადში ქვეყანას დავალაგებ და წავალო, ასე თქვა ივანიშვილმა. მე არ მიმაჩნია, რომ ქვეყანა დალაგებულია. როცა ვთქვი, რომ არ შეიქმნა ბაზა დემოკრატიისთვის, სულ სამი ფუნდამენტური კანონია ამ ბაზის შესაქმნელად, კონსტიტუცია, საარჩევნო კოდექსი და მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ კანონი; ეს თუ იქნება, მაშინ გვექნება წინსვლა. ივანიშვილის პრეროგატივა არ არის პრემიერის წარდგენა. გუნდში იქნება განხილვა, პროცედურულად ეს პრეზიდენტმა უნდა გააკეთოს.

***— ივანიშვილმა განაცხადა, რომ მის მიერ შერჩეული მინისტრებით კმაყოფილია, როგორ ფიქრობთ, ახალი პრემიერის პირობებში ეს გუნდი მოახერხებს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას?***

— გააჩნია პრემიერს. პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერის ფუნქცია არის ის, რომ მათ შეძლონ, შეინარჩუნონ სტაბილურობა და უმრავლესობა პარლამენტში. ცხადია, გადაწყვეტილებები მინისტრებმა უნდა მიიღონ საკუთარ უწყებებში, სხვაგვარად მთავრობა ვერ იმუშავებს. პრობლემა ის არის, რომ ეს უმრავლესობა შეიძლება ძველი სახით ვერ შენარჩუნდეს. შეიძლება მოხდეს არსებული უმრავლესობის დაშლა და სხვა უმრავლესობის შექმნა. ეს პროცესი თუ დაიწყება, ვფიქრობ, უკან, ნაციონალებისკენ წავალთ. ამის საშიშროებას ვხედავ. მე იმას კი არ ვგულისხმობ, რომ ისინი შეერწყმებიან ნაციონალებს, არამედ წავალთ ისევ ერთპარტიული მმართველობისკენ. უმრავლესობა შეიძლება იყოს ერთი პარტია. ხომ გახსოვთ, 2003 წელს ნაციონალებთან ერთად სხვა პარტიის წევრებიც იყვნენ სიაში. მაგრამ საბოლოოდ ხომ ერთპარტიულ უმრავლესობად გარდაიქმნა.

***— ასეთ შემთხვევაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვის საკითხი დგება.***

— თქვენ როგორ გგონიათ, ის უმრავლესობა ამას დათანხმდება? კონსტიტუციური მექანიზმები ამისთვის არ იქნება. სამი წლის შემდეგ ისევ გავალთ ქუჩაში. ამის შიში მაქვს, ივანიშვილის წასვლის შემდეგ ეს პროცესები არ დაიწყოს.

***— გარედან გავაკონტროლებ პროცესებსო, ივანიშვილი ამბობს, მას ამის ბერკეტები და უფლება ექნება, ხომ არ იქნება ეს ჩრდილოვანი კონტროლი?***

— თუ ის დემოკრატიული მექანიზმები იქნა, რაზეც უკვე გესაუბრეთ, როგორ უნდა გააკონტროლონ გარედან. სამოქალაქო სექტორისგან კონტროლს აზრი მაშინ აქვს, თუ იციან, რომ არჩევნები ნამდვილად დემოკრატიულად ჩატარდება. სასამართლოს მეშვეობით შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას ხელისუფლების კონტროლი. 2008 წელს ნაცმოძრაობამ წააგო არჩევნები, არადა დაიწერა, რომ მოიგო.

***— დავით ბაქრაძის პოლიტიკურ სარეკლამო რგოლს ალბათ შეამჩნევდით, როცა აქცენტი კეთდება იმაზე, რომ გზები დაიგო, ინფრასტრუქტურა გაკეთდა, ქალაქები აშენდა და დენი იყო.***

— ასე, იმდენი რამ მაქვს ნანახი საბჭოთა კავშირის დროს... ვშენდებოდით, მაგრამ ბოლოს რა მივიღეთ? 2007 წლის 7 ნოემბრის აქციებმა აჩვენა, რა დამოკიდებულება იყო ნაცმოძრაობის მიმართ. ინაუგურაციის დროს იპოდრომზე მიტინგი რუსთაველისკენ რომ დაძრულიყო, ნაცმოძრაობა დამთავრდებოდა. როცა დიდი მასა გამოდის ქუჩაში, იმის შემკავებელი ხელისუფლება არ არის.

***— თქვენი აზრით, რა იყო ყველაზე საბედისწერო შეცდომა ნაცმოძრაობისა და ხომ არ არის იმის საფრთხე, რომ რევანშით მობრუნდნენ ხელისუფლებაში?***

— ნაცმოძრაობას დაემართა ის, რაც დაემართა ამ ქვეყნის ბევრ გარე მტერს. ჩათვალეს, რომ ქართული სული შეუძლიათ ბოლომდე ჩაკლან. ეს აბსოლუტურად გამორიცხულია. საქართველოს არა აქვს იმის პოტენციალი, რომ დაამყაროს დიქტატურა. ამას სჭირდება იდეოლოგია, სხვაგვარად დიქტატურა არ მყარდება. სხვაგვარად რომ წარემართათ პოლიტიკა, უფრო დიდხანს შეძლებდნენ ხელისუფლების შენარჩუნებას, რა თქმა უნდა, სააკაშვილის გარეშე. არის იმის რისკი, რომ არა ნაცმოძრაობის, არამედ სხვა სახელით ახალი პარტია შეეცადოს ძველი სახეებით მოსვლას, სააკაშვილის გამოკლებით. სააკაშვილისადმი დამოკიდებულება გარკვეულია, მისი მობრუნება შეუძლებელია. უფრო დავიჯერებ შევარდნაძის დაბრუნებას, ვიდრე მიშას მოსვლას. ამ გუნდს აქვს საარჩევნო ბრძოლის გამოცდილება, ფინანსები და სხვა ანტურაჟით შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ქართულ პოლიტიკაში. ახალი ეროვნული მოძრაობის სახელის დარქმევის მცდელობა ჰქონდათ. იმ მიტინგზე 19 აპრილს სააკაშვილის მოსვლამ ხელი შეუშალა ამ ძალის ჩამოყალიბებას. ვანო მაინც გაწირეს.



# შალვა ნათელაშვილი სოფელ დვანში ჩავიდა

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი, გუშინ სოფელ დვანში ჩავიდა, სადაც რუსი მესაზღვრეები საქართველოს ტერიტორიაზე მავთულხლართებს ავლებენ.

ლეიბორისტული პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრეზიდენტობის კანდიდატი გამყოფ ხაზს იქეთაც გადავიდა და რუსეთის შეიარაღებული ძალების ოფიცრებს გაესაუბრა. შალვა ნათელაშვილის განცხადებით, ხელოვნური ბარიერებით ხალხის დაშორება საქართველოს ტერიტორიას ვერაფერს დააკლებს.

შალვა ნათელაშვილის განცხადებით, გაპრეზიდენების შემდეგ ის პირველ ვიზიტს მოსკოვში განახორციელებს, რათა კონფლიქტი მშვიდობიანად მოწესრიგდეს.

**ნიუსპრესი**

# შსს–ს დამკვირვებელთა მისია ესტუმრა

შინაგან საქმეთა სამინისტროში გუშინ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, უწყების ადმინისტრაციის უფროსმა თამარ ტალიაშვილმა, სტუმრებს შს მინისტრის მიერ ბრძანებით დამტკიცებული „არჩევნების პერიოდში უწყების მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია“ გააცნო, რომელიც არჩევნების პერიოდში პოლიციელთა უფლებამოვალეობებს, კანონით დადგენილ აკრძალვებსა და შეზღუდვებს განსაზღვრავს.

აღნიშნული ბრძანების იმპლემენტაცია იმ რეფორმის გაგრძელებაა, რომელიც შს მინისტრმა სტრუქტურის დეპოლიტიზების მიზნით განახორციელა. გარდა ამისა, შეხვედრაზე ისაუბრეს არჩევნების პერიოდში ადამიანის უფლებების დაცვის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საკითხებზეც.

**ნიუსპრესი**

# ლევან პირველი: „მე დავბრუნდი“

შორენა გონგლაძე

„მე დავბრუნდი და უკვე სახლში ვარ. რაც შეეხება პოლიტიკას, დამერწმუნეთ, არსად არ წავსულვარ, ქართული პოლიტიკური ცხოვრება ქვეყნის გარეთ უფრო მეტად ფეთქავდა, მოვა დრო და ბევრი რამე გამოვა სააშკარაოზე“, — ეს სიტყვები ავსტრიიდან საქართველოში დაბრუნებულ ბიზნესმენ ლევან პირველს ეკუთვნის. სამშობლოში დაბრუნებული ბიზნესმენი აქტიურ პოლიტიკაში აპირებს ჩაბმას, კონკრეტულად კი, ლევან პირველი პარტია მრეწველებში' ახალგაზრდული ფრთის შექმნას გეგმავს. როგორც ლევან პირველმა განაცხადა,'მრეწველთა' პარტიის წევრები იყვნენ ავსტრიაში ჩამოსულები, სადაც მისი საქართველოში დაბრუნება გადაწყდა.

— ჩემი სახლში დაბრუნება კიდევ დაკავშირებულია პოლიტიკასთანაც, რომელშიც მე, პრაქტიკულად, ყოველთვის ვიყავი და არსად წავსულვარ. ქვეყნის გარეთ კიდევ უფრო მეტად ფეთქავდა ქართული პოლიტიკური ცხოვრება. მოვა დრო და ბევრი რამ გამოაშკარავდება, თუ რა ხდებოდა ქვეყნის გარეთ. „მრეწველებში' ვიყავი, ვრჩები და ვაგრძელებ ჩემს პოლიტიკურ საქმიანობას, უნდა შევქმნა ძლიერი ახალგაზრდული ფრთა, რომელიც მომავალ პოლიტიკაზე'იქნება გათვლილი, — განაცხადა ლევან პირველმა. მისივე თქმით, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“' არიან პარტიები, რომელთანაც იგი ყოველთვის ოპონირებაში იყო და ეს ოპონირება არ დამთავრებულა, თუმცა ლევან პირველის შეფასებით, ყველაფერი დალვინდება და კოალიციასაც უფრო კონკრეტული პოლიტიკური ფერი და იერი ექნება.

პირველის განცხადებით, ქვეყანა დღეს იღუპება აღვირახსნილი ლიბერალიზმისგან, მისსივე თქმით, მისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური იდეოლოგიაა.

— მე პოლიტიკურ მოღვაწედ მიმაჩნია თავი და ჩემთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკური იდეოლოგია. ჩვენი ქვეყანა დღეს იღუპება აღვირახსნილი ლიბერალიზმისგან. „მრეწველთა პარტია“ ჩემთვის არის რეალური, სტაბილური პარტია. რა ფასეულობებზეც დგას ეს პარტია, არ შეცვლილა და უყურებთ ერთნაირად პოლიტიკურ საკითხებს, — აცხადებს პირველი.



რაც შეეხება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს და იმას, თუ ვის დაუჭერს მხარს ლევან პირველი, მისი განცხადებით, იგი საპრეზიდენტო არჩევნებზე კოალიციის კანდიდატს დაუჭერს მხარს. ლევან პირველმა მისი პარტიის ხედვაზეც გაამახვილა ყურადღება ნატოსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ნატოში გაწევრიანება არ არის ერთადერთი სწორი გზა ქვეყნისთვის და ავსტრიის მაგალითზე ისაუბრა. პირველი მიიჩნევს, რომ საქართველომ ევრაზიული კავშირის წევრობა არ უნდა გამორიცხოს.

— ჩვენი პარტიის ლიდერების — გოგი თოფაძის, ტყემალაძისა და პირადად ჩემი პოზიცია ნატოში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებით ცნობილია. რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს, მისი გამორიცხვა არ შეიძლება, ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია და ყურადღებით ვაკვირდები ამასთან დაკავშირებით უკრაინის პოზიციას. უკრაინა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას ელის და ამიტომაც ამბობს უარს ევრაზიულ კავშირზე, — აცხადებს პირველი.

ლევან პირველი იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მიერ გაკეთებულ განცხადებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ თეა წულუკიანმა მისი საქმის შესწავლის შესახებ ისაუბრა.

— ჩემთვის პარადოქსია, ქვეყნის პირველმა იურისტმა ჯერ უნდა შეისწავლოს საქმე და მერე გააკეთოს განცხადება, მაგრამ ეს გაუგებრობა აღარ არსებობს. როგორც ჩანს, იუსტიციის სამინისტრო ყველაფერში გაერკვია. მე გამომიგზავნეს ქართული პასპორტი, რომელიც არის იუსტიციის სამინისტროს მიერ დამზადებული და ახლავს იუსტიციის სამინისტროს წერილი, ე.ი. გაუგებრობა აღარ არის,'— განაცხადა ლევან პირველმა და აღნიშნა, რომ პოლიტპატიმართა სიიდან პარლამენტს თავი თვითონ ამოაღებინა, რადგან მისი თქმით, ამ სტატუსს დამტკიცება არ სჭირდება.

— ევროკავშირმა მომანიჭა პოლიტიკური დევნილის სტატუსი, მე არ მინდოდა იმის მონიჭება, რაც მონიჭებული მაქვს,'— განაცხადა ლევან პირველმა.

მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში ახალდაბრუნებული ბიზნესმენისთვის ეს პირველი პრესკონფერენცია იყო და წესით მხოლოდ სამომავლო გეგმებზე უნდა ესაუბრა, ლევან პირველს რესტორან „თამარიონში“' ნიკა უჩანეიშვილის მკვლელობის საქმეც შეახსენეს, რაზეც ბიზნესმენმა უპასუხა, რომ იგი აღნიშნულ მკვლელობასთან კავშირში არ არის და არც ეჭვმიტანილი არასდროს ყოფილა. ეს შავი პიარისა და დემაგოგიის კლასიკური მაგალითია,'— განაცხადა ლევან პირველმა. მისი თქმით, შავი პიარი ააგორა მიხეილ სააკაშვილის გუნდმა, რომელიც იყო სექტა მოქალაქეთა კავშირში.

როგორც ლევან პირველმა აღნიშნა, მას შეტანილი აქვს ცილისწამების გამო სარჩელი კომპანია „ჯორჯიან ონლაინის' წინააღმდეგ და გამზადებული არის სარჩელი ცილისწამებისთვის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. (თუმცა გაუგებარია, როგორ აპირებს ბატონი ლევანი სასურველი შედეგის მიღებას მაშინ, როდესაც ცილისწამების მუხლი სისხლის სამართლის კოდექსიდან კაი ხანია გაქრა და მის ადვოკატებს წესით ეს კარგად უნდა მოეხსენებოდეთ, თუ, რა თქმა უნდა, აღნიშნული სარჩელი ადვოკატის შედგენილია, რაც ძალიან საეჭვოა) ბიზნესმენმა ნიკა უჩანეიშვილის საქმესთან დაკავშირებულ დეტალებზე არ ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი დაცვის წევრის ოჯახში სწორედ გუშინ იმყოფებოდა.

ლევან პირველმა საქართველოდან მისი წასვლის მიზეზებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქვეყანა რევოლუციიდან მეორე დღეს, 2003 წლის 24 ნოემბერს დატოვა. — მე დაუძინებელი მტერი ვიყავი ამ ჯგუფის, ბანდის, რა თქმა უნდა, ვიცოდი, ვისაც ვეომებოდი, რა ტყუილებს, დემაგოგიას, ხრიკებს და ილეთებსაც იყენებდა ეს ხალხი, ჩემთვის ნათელი იყო. აშკარა საშიშროება იყო ერთი დღეც კი დარჩენა მათ ხელში,'კარგად იცით, რასაც მოიმოქმედებდნენ, — განაცხადა ლევან პირველმა.

გარდა ამისა, როგორც ბიზნესმენმა აღნიშნა, ვენაში ყოფნის დროს მას ჰქონდა შეხვედრები გაქცეულ ბადრი ბიწაძესთან. მისივე თქმით, საქართველოში არანაირი ბიზნესი არ გააჩნია და ამ ეტაპზე, უმსხვილესი გერმანული ენერგოკომპანიის ბორდის წევრი და ნაწილობრივ მფლობელია. ლევან პირველს აღნიშნული ენერგოკომპანიის სახელი არ დაუკონკრეტებია.

## სერგო რატიანი: „მცოცავი ოკუპაცია ამჟამინდელი ხელისუფლების ბრალია“

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, სერგო რატიანის შეფასებით, რუსეთის მიერ საოკუპაციო პოლიტიკის გაგრძელებას და საქართველოს ხელისუფლების დათმობით პოლიტიკას, სულ უფრო მეტი ტერიტორიების დაკარგვამდე მივყავართ.

მან ამის შესახებ ჟურნალისტებს სოფელ დვანში რუსი მესაზღვრეების მიერ საოკუპაციო ზოლის გადმოკვეთის ფაქტის შეფასებისას განუცხადა და დასძინა, რომ პრობლემა არის თვითონ პოლიტიკაში, რომელიც ხელისუფლებას აქვს.

„მისი პოლიტიკა არის ის, რომ ჩვენსა და რუსეთს შორის არსებული პრობლემები არ გახდეს პრობლემები დასავლეთისთვის. თუ ჩვენ არ ჩავრთავთ დასავლელ პარტნიორებს და რუსებთან პირისპირ დავრჩებით, მოხდება ამ პრობლემის მუდმივი ზრდა. მცოცავი ოკუპაცია გაიზრდება, თუ ჩვენ არ ვიქნებით კიდევ უფრო აქტიურები, თუ ამაში აქტიურად არ ჩაერთვებიან ჩვენი პარტნიორები. მცოცავი ოკუპაცია არის ამჟამინდელი ხელისუფლების ბრალი,“ — განაცხადა რატიანმა.

მედიანიუსი

## საქართველოს ხელისუფლება თომას ჰამერბერგის ანგარიშს მიესალმება

თომას ჰამარბერგის ანგარიშში მოცემულ რეკომენდაციებს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა და გენდერულ საკითხებში, თამარ ჩუგოშვილი ეხმაურება.

„საქართველოს ხელისუფლება თომას ჰამერბერგის ანგარიშს მიესალმება საქართველოს ხელისუფლება მიესალმება ამ ანგარიშს და მადლიერებას გამოხატავს ბატონი ჰამერბერგის მნიშვნელოვანი და დაუღალავი შრომის გამო. ხელისუფლება ბატონი ჰამერბერგის რეკომენდაციებს სრულად გაითვალისწინებს,“ — აცხადებს თამარ ჩუგოშვილი.

პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა და გენდერულ საკითხებში, ანგარიშში გაჟღერებული რეკომენდაციების ფარგლებში ადამიანის უფლებათა ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზეც საუბრობს. ამასთანავე, თამარ ჩუგოშვილის თქმით, რეფორმების გაგრძელებისა და ევროკავშირსა და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით საქართველო სრულ ინტეგრაციას ევროპასა და ევროატლანტიკურ სივრცეში მალე მიაღწევს.

ნიუსპრესი

## ლატვიის თავდაცვის სამინისტროში ქართველ მინისტრს უმასპინძლეს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და ბელარუსის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ლატვიის თავდაცვის სამინისტროში გამართა შეხვედრები. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრის დროს ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის ერთობლივი დაცვის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ოქმს. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ასევე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა და ბოლო დროს განვითარებული მოვლენები.

მედიანიუსი

# „მოვიდნენ ივანიშვილი და უსუფაშვილი და ნახონ, რა ხდება დვანში!“

## გენადი მამაგულაშვილი: „ჩვენ ხელისუფლება არ გვყავს!“

გულიკო ბალაძე

ორი დღის წინ რუსმა სამხედროებმა და ოსებმა სოფელ დვანში მავთულხლართების გაბმის პროცესი განაახლეს. მოსახლეობა აღშფოთებულია და ხელისუფლებისაგან მოითხოვს მათ შეჩერებას, რადგან მავთულხლართების გამბით მათი მიწები ე.წ. საზღვრის იქით რჩება.

რუსები და ოსები ყალბ რუკებს აფრიალებენ და კომპიუტერითაც ცდილობენ დაუმტკიცონ მოსახლეობას, რომ ის მიწები, რომლებსაც მათი მამა-პაპანი საუკუნეების განმავლობაში ფლობდნენ, თურმე მათ არ ეკუთვნით და ოსების ყოფილა. მოსახლეობა კი აცხადებს, რომ ოსები სოფელ დვანში არასოდეს ყოფილან, ანუ ამ სოფლის მიწებსაც არასოდეს ფლობდნენ.

ისე, ოსებს დვანში რომ ეცხოვრათ, ეს მათ ისტორიულ კუთვნილებაზე მაინც არ მიუთითებს.

ცოტა ხნის წინ შს სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, პერიმეტრზე პატრულირებას გავაძლიერებთო. თუმცა ამ კუთხით ჯერ არაფერი შეცვლილა.

როგორც ჩანს, ოსები და რუსები კვლავაც გააგრძელებენ ამგვარ ქმედებებს, რადგან პერიმეტრზე პატრულები არ დგანან და ბარიერებიც არ ექმნებათ.

საინტერესოა, რატომ გამოიყვანეს პატრულები იმ პერიმეტრიდან, რომელიც 2008 წლის ომის შედეგად წარმოიშვა და რატომ ვაძლევთ საშუალებას რუსებსა და ოსებს, ფეხი გადმოადგან იმის აქეთ, სადაც შეჩერდნენ ჩვენი მტრები 2008 წელს?

მოსახლეობა ამბობს, რომ პატრულები 2012 წლის არჩევნების შემდეგ მოხსნეს პერიმეტრიდან. საინტერესოა, ვისი ბრძანებით და რატომ გააკეთეს ეს? რა გარანტია ჰქონდათ, რომ არ გაგრძელდებოდა მცოცავი ანექსია?

ახლა მოსახლეობა ხელისუფლებისაგან აქტიურ ქმედებებს და დაპირებების შესრულებას მოითხოვს.

— იმ დილით სოფელში ხმა დაირხა, რუსები ახალ საზღვარს აკეთებენო და იქ ადამიანების გარკვეული ჯგუფი ავიდა. რუსებმა ამ ხალხს ალყა შემოარტყეს, ჯაჭვი გაუკეთეს ძაღლებით და აიძულეს წამოსულიყვნენ. რუსებმა სოფლის მოსახლეობა გამოყარეს იქიდან, თქვენ ოსეთის ტერიტორიაზე ხართ. ეს ოსების ტერიტორია და თქვენ, უბრალოდ, მათ წაართვითო. ერთ-ერთს უკითხავთ, როგორ წავართვით, ეს ჩემი ბაღია, ის იმისააო. შენი ბაღია? აბა, აქ მოდიო. კომპიუტერი ჩართეს და რუკა ანახეს, სადაც ჩვენი სოფლის ტერიტორიები მათად არის შემოხაზული. რუკებს, რა თქმა უნდა, თვითონ ქმნიან და საზღვარიც, საითაც უნდათ, იქით გადააქვთ და გადმოაქვთ. სინამდვილეში, ეს არის ისტორიულად ჩვენი ტერიტორია, სადაც ოსები არასოდეს ყოფილან და არც არასოდეს იქნებიან, იმედია. ასე თუ ისე, მათ შორის მოჰყვა ჩემი ნაკვეთიც. თუ იმ მიმართულებით გააგრძელებენ მავთულხლართების გაბმას, გამორიცხული არ არის, სოფელი მთლიანად მოაყოლონ მათ საზღვრებში. საჭიროა ხელისუფლებამ ამოიღოს ხმა. არავინ ხელისუფლებიდან (არც — დეპუტატი, არც — რწმუნებული) აქ არ არის, — განაცხადა ჩვენთან სატელეფონო საუბარში სოფელ დვანის მცხოვრებმა გენადი მამაგულაშვილმა.

***— ბატონო გენადი, ამ წუთში არ არიან, მაგრამ წინა დღეებში ხომ იყვნენ? ევროკავშირის მონიტორები მოიყვანეს?***

— მაშინდელი მოყვანა რას შველის? აქ ხომ უნდა იყვნენ, ან ამოვიდნენ. იმ მიმართულებით, საითაც ღობავენ, დვანიდან აღმოსავლეთითაა, ანუ საითაც სოფლები ნიქოზი და ხვითია. ტერიტორიის საკმაოდ დიდ ნაწილს ღობავენ. თუ ის მიმართულება დაიკავეს, რომელსაც ახლა ადგანან (კაცმა არ იცის, მათ რუკაზე რაა დახაზული), შეიძლება მავთულხლართები სოფელსაც მოადგეს. შეიძლება ჩვენი სოფელიც მოაყოლონ თავიანთ მხარეს. ეს ჩვენი ხელისუფლება, ასეთი ზარზეიმით რომ მოვიდა, გინდა თუ არა ჩვენ მოვაგვარებთ რუსებთან ურთიერთობას, მაინტერესებს, რას იტყვიან ახლა და რით გაიმართლებენ თავს, რომ დუმან.

***— ხშირად ელჩებს იბარებენ, საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვენ დახმარებას, განცხადებებს აკეთებენ. რატომ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება დუმს?***

— ახლახან ტელევიზიით ისაუბრა პრემიერის პირადმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ. ის ამბობს, რომ ეს საკითხი კარასინთან არ განიხილავს, ამაზე საუბარი ჟენევის ფორმატში მიმდინარეობს, მაგრამ ჩვენ მაინც შევეხეთო. კარასინმა მითხრა, ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს დადებული „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან“, რომელიც ჩვენ ვაღიარეთ და ვალდებულება გვაქვს, მათი საზღვრები დავიცვათო. კი მაგრამ, ეთქვა, რომ ეს ის საზღვრები არ არის, რომელზეც ის ლაპარაკობს. თუკი მათ აიღეს რაღაც ვალდებულება, ეს საქართველოს და მათ საერთო ინტერესებშიც უნდა იყოს. როგორ შეიძლება მხოლოდ მათ ინტერესებს ემსახურონ. თუ დიპლომატიაა და ამ საკითხზე საუბრობს, საკითხი ასე უნდა დასვას. თუ ასე არ სვამს საკითხს, მაშინ, საერთოდ, არ უნდა შეეხოს. თუ არ სვამს ამ საკითხს, მაშინ არ უნდა ჩაჰყვეს საუბარში და თუ ჩაჰყვება საუბარში, მაშინ პასუხი უნდა გასცეს.

***— თქვენ რა იცით, ზურაბ აბაშიძემ კარასინს პასუხი არ გასცა?***

— ტელევიზიით საუბრისას ზურაბ აბაშიძემ არ თქვა, თვითონ რა პასუხი გასცა, როცა კარასინმა თქვა, ვალდებულება გვაქვს აღებული, ოსების საზღვრები დავიცვათო. ე.ი. აბაშიძემ კარასინს ამაზე პასუხი არ გასცა. პასუხი რომ გაეცა, იტყოდა, მე ასე ვუთხარიო.

***— გასაგებია, მაგრამ შეიძლება აბაშიძე თავის პასუხებზე, უბრალოდ, არ საუბრობს.***

— აბაშიძეს ჩვენთან გასამხელი რაიმე რომ ეთქვა და არ ჰქონდეს დასაფარი და დასამალი, იტყოდა.

***— შს სამინისტრომ განაცხადა, რომ უნდა გააძლიერონ პატრულირება. სოფელში შს სამინისტროს ძალები არიან?***

— სოფელში დგანან, მიდიან, მოდიან, ვხედავთ. თქვეს პოლიცია წავიდაო, მაგრამ ბიჭებმა თქვეს, იქ პოლიცია არ ამოსულაო. არ ვიცი, რა დავალება აქვთ მიღებული.

***— თქვენ არ მიდიხართ ჩვენს პატრულებთან და არ ეუბნებით, დაგვეხმარეთო?***

— უშუალოდ ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან არავინ პატრულირებს. იქ ვინც პატრულირებდა, საერთოდ მოხსნეს და წაიყვანეს, როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა. ფაქტობრივად, იქ მეთვალყურე აღარავინ დარჩა, ხოლო სოფელში ვინც არიან, მათზე თქვენ, თითონ იქ უნდა წასულიყვნენ, სადაც ხალხი რუსებს ხვდებოდა, მაგრამ სად წავიდნენ, კაცმა არ იცის. ჩვენ მათთან, ფაქტობრივად, კავშირი არ გვაქვს. ისინი თავიანთ დავალებას ასრულებენ, მაგრამ სოფელთან კავშირი არ აქვთ. ჩვენთან არც სასაუბროდ მოდიან, არც არაფერზე. თავისთვის არიან ჩაკეტილები. ამგვარად რუსებმა ჩვენი მიწის ნაკვეთები წაგვართვეს. 1 ჰექტარი ჩემი ნაკვეთიც წაიღეს. ასევე წაგვართვეს ჩემი მეზობლების, ბიძაშვილების ასობით ჰექტარი მიწა. იმ მიწების გარეშე ცხოვრება ძალიან გაგვიჭირდება. ხელისუფლებას ვთხოვთ, სასწრაფოდ დაგვეხმაროს. ჩვენ არ გვინდა საჩვენებელი გამოსვლები, არ გვინდა პოპულისტური განცხადებები. ამოვიდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, პარლამენტის თავმჯდომარე და ივანიშვილი, მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში მოვიდნენ, თავიანთი თვალით ნახონ და გაგვცენ პასუხი, რას აკეთებენ. თუ არ შეუძლიათ ამ საკითხის მოგვარება, მაშინ სხვა გზას მივმართავთ. ხელისუფლება, რომელიც ვერ უვლის თავის სახელმწიფოს, ის არ არის ხელისუფლებაში დარჩენის ღირსი. ან უნდა გააკეთონ გადადგომის შესახებ განცხადება და დანიშნონ ახალი არჩევნები, ან უნდა იმოქმედონ. ასე არ შეიძლება. მე ვთვლი, რომ ჩვენ ხელისუფლება არ გვყავს.

***— ასე რატომ ფიქრობთ? შექმნილ ვითარებაში ამ ხელისუფლებას რატომ ადანაშაულებთ?***

— ჩვენ გვინდა ადამიანი, რომელიც სახელმწიფოს გარეშე მტრებისაგან დაიცავს. თუ მათ ეს არ შეუძლიათ, ე.ი. სახელმწიფო ხელისუფლება ვერ ახორციელებს ქვეყნის მართვასა და დაცვას.

***— ბატონო გენადი, მავთულხლართების გაბმა 2011 წლიდან დაიწყო. მაშინ ხმას რატომ არ იღებდით?***

— ვინ თქვა, რომ ხმას არ ვიღებდით?

***— რაღაც არ მახსოვს.***

— მაშინ ჩვენს სოფელში არ ხდებოდა მავთულხლართების მონტაჟი. სადაც ამონტაჟებდნენ, იმ სოფლების მცხოვრებლები ლაპარაკობდნენ. ჩვენ მაშინაც ვამბობდით, რომ ხელისუფლება ვერ ახორციელებდა ჩვენი ტერიტორიების დაცვას. სააკაშვილი იყო თუ სხვა, ყველასაგან ვითხოვდით დაცვას. განცხადებებიც გვაქვს დაწერილი, პროვოკაციები რომ იყო.

***— თქვენ ბრძანეთ, ხელისუფლების განცხა-***

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ირინა იმერლიშვილმა და თინათინ ბოკუჩავამ იჩხუბეს

## რას ვერ იყოფენ დეპუტატები

შორენა მარსაგიშვილი

არჩევნების მოახლოებასთან ერთად უწყებათაშორისი კომისიის სხდომები სულ უფრო საინტერესო და დაძაბული ხდება. ამ სხდომებზე ძირითადად ნაციონალები აქტიურობენ. ისინი მეოცნებეების დიქტატურას გმობენ. გამონაკლისი არც გუშინდელი სხდომა იყო. ნაციონალურ ფრთას დეპუტატი თინა ბოკუჩავა წარმოადგენდა. სწორედ მას მოუხდა შელაპარაკება მეოცნებე ირინა იმერლიშვილთან.

მსუბუქი აურზაური დეპუტატ ბოკუჩავას გამოსვლას მოჰყვა. რომელმაც წარმოადგინა პრეზენტაცია. იმერლიშვილის გარდა ნაციონალის გამოსვლა სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებაც გააპროტესტეს.

მათი პროტესტის არსს ვერ ჩასწვდა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. მისთვის გაუგებარია თუ რამ აღაშფოთა პოლიტიკოსები.

– ქალბატონ თინათინ ბოკუჩავას მიერ წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი წერილით მომართეს მათ კომისიას, არის მიღებული სულ 29 წერილი, რომელთა შესწავლაც მოხდა დროულად, რიგ შემთხვევაში პრევენცია განხორციელდა როგორც ეს ხონში ბაქრაძის ჩასვლის შემთხვევაში იყო, ზოგ შემთხვევაში გამოძიება დაიწყო, მაგრამ ამ პრეზენტაციამ, ჩემთვის გაუგებარია რატომ გამოიწვია პოლიტიკური პარტიების მხრიდან პროტესტი და არ სურდათ ხელმეორედ, თუ მესამედ, თუ მეოთხედ იმავე წერილებზე საუბარი სხვა პოლიტიკურ პარტიებს. ეს იყო „პატარა ინციდენტი“ სხდომაზე, თუმცა ჩემი ჩარევის შემდეგ რა თქმა უნდა ქალბატონ თინათინს მიეცა საშუალება ეს პრეზენტაცია ბოლომდე მიეყვანა, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

გუშინდელ სხდომას თინათინ ბოკუჩავამ სამარცხვინო უწოდა. მისი თქმით, ირინა იმერლიშვილიც სამარცხვინოდ მოიქცა.

– ძალიან სამწუხაროა, მაგრამ 23 სექტემბერს გამართული უწყებათაშორისი კომისიის სხდომა იყო სამარცხვინო, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა, ქალბატონმა ირინა იმერლიშვილმა უკაცრავად მაგრამ წივილ-კივილის რეჟიმში გადაიტანა პირდაპირი მნიშვნელობით ამ სხდომის მიმდინარეობა, მაშინ როდესაც მე ვახდენდი ფაქტების კონსტატაციას და უბრალოდ ფაქტობრივად წარმოვადგინე ის დარღვევები რომლის შესახებაც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ აცნობა უწყებათაშორის კომისიას.



სამწუხაროდ კომისიის სხვადასხვა წევრის და მისი თავმჯდომარის პოზიცია არის, რომ დიდწილად ხელი დააფაროს ასეთ ფაქტებს. მე მაქვს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ სამწუხაროდ შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი ასეთ ვითარებაში სხდომაში მონაწილეობის მიღება ჩვენი მხრიდან, – განაცხადა თინათინ ბოკუჩავამ.

ბოკუჩავასთან დაპირისპირების მიზეზებზე მეოცნებე იმერლიშვილმაც გააკეთა კომენტარი.

– ნაციონალურმა მოძრაობამ უკვე მერამდენედ დააყენა ყველა ის საკითხი თავიდან, რაც უკვე ჰქონდა დაყენებული და ნამსჯელი ჰქონდა კომისიას ამ ყველაფერთან დაკავშირებით, მაგრამ ჩვენ მოვუსმინეთ ამას კიდევ ერთხელ, – განაცხადა იმერლიშვილმა სხდომის დასრულების შემდეგ.

ამასთან მან იმ რეკომენდაციებზეც ისაუბრა. რომელიც უწყებათაშორისმა კომისიამ 23 სექტემბრის სხდომაზე გასცა. იმერლიშვილის თქმით უწყებათშორისი კომისია ადგილობრივ თვითმმართველობებს საარჩევნო პროცესში მონაწილეობისგან მაქსიმალურ თავშეკავებას სთხოვს. დეპუტატმა ასევე განმარტა, თუ რა ითვლება სასამართლო გადაწყვეტილებებით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობად.

– ამ გადაწყვეტილებებში წერია, რომ აქტიური მონაწილეობა გულისხმობს კანდიდატის სიმბოლიკიანი მაისურით დგომას და არა უბრალოდ დასწრებას ამა თუ იმ საარჩევნო ღონისძიებაზე, – განაცხადა ირინა იმერლიშვილმა.

# სახალხო კრება დახმარებისთვის დიპლომატებს მიმართავს

შორენა მარსაგიშვილი

საოცნებო ხელისუფლებამ პირობა მოგვცა, რომ ამიერიდან საქართველოში მხოლოდ სამართლიანი არჩევნები ჩატარდება. არჩევნების სამართლიანად ჩატარებაში უკვე ბევრმა შეიტანა ეჭვი. რიგი პარტიები ამტკიცებენ, რომ წინასაარჩევნო გარემო არათანაბარია. ხელისუფლების ქმედებებს ნაციონალური მოძრაობაც კი აკრიტიკებს.

სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭო, არათანაბარი საარჩევნო პირობების გამო, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსს რეაგირებისკენ მოუწოდებს.

ალმასრულებელი საბჭომ ამ საკითხებზე რამდენიმე დღის წინ ღია წერილით მიმართა პარლამენტის სპიკერ დავით უსუფაშვილს. თუმცა როგორც კრების წევრები ამბობენ, სპიკერისგან რეაგირება არ ყოფილა. და ამიტომაც მიმართეს ახლა დიპკორპუსს.

– მდინარე წლის 19 სექტემბერს „სახალხო კრებამ“, პარლამენტის თავმჯდომარეს და საპარლამენტო უმრავლესობას, საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის სატელევიზიო სივრცეში შექმნილი უსამართლო და არათანაბარი




პირობების გამოსწორების მოთხოვნით წერილით მივმართეთ.

დღემდე ჩვენს წერილს არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. ძალიან სამწუხაროა, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების ტრადიციებით, „სახალხო კრების“ სამართლიანი მოთხოვნების იგნორირება დაიწყო.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებები არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისა და ყველა კანდიდატისათვის თანაბარი პირობების შექმნის შესახებ თითოეული ჩვენგანისათვის იმედის მომცემი იყო, თუმცა სამწუხაროდ, ეს დაპირებები დღემდე მხოლოდ განცხადებებად რჩება, ვინაიდან პარლამენტმა საარჩევნო გარემოს რეალური გაუმჯობესებისათვის არავითარი საკანონმდებლო ცვლილება არ განახორციელა.

ჩვენ, „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო, კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ხელოვნურად შექმნილი მდგომარეობა ორ სახელისუფლებო საპრეზიდენტო კანდიდატს ერთმნიშვნელოვნად უპირატეს პირობებში აყენებს. დღეს არსებული მდგომარეობა ქმნის თანაბარ პირობებს მხოლოდ ორი სახელისუფლებო კანდიდატისთვის, რაც აჩენს ეჭვს, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის ყველასათვის მიუღებელი და გაუგებარი კოჰაბიტაცია უკვე მჭიდრო თანამშრომლობაში გადაიზარდა

ორი სახელისუფლებო პარტია საარჩევნო კომისიებს სრულად აკონტროლებს, ბიუჯეტიდან დაფინანსებული ჰყავთ 40 ათასზე მეტი დამკვირვებელი, რაც პრაქტიკულად მთელი არმიაა. ასევე, ერთ შემთხვევაში მინისტრები, ხოლო მეორე შემთხვევაში გამგებლები ჩართულები არიან მათ წინასაარჩევნო კამპანიებში. ამ პირობებში კი, თანაბარ და სამართლიან წინასაარჩევნო გარემოზე საუბარი წარმოუდგენელია.

სახელისუფლებო პოლიტიკური ძალები, რომლებიც ისედაც, რბილად რომ ვთქვათ, არ განიცდიან ფინანსებისა და ე.წ. შემოწირულობების სიმწირეს, ხოლო ბოლო დროს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსავლები გაიოთხმაგეს, დამატებით სარგებლობენ უფასო სარეკლამო დროით ტელევიზიებში. ამ ფონზე საპრეზიდენტო კანდიდატ ნინო ბურჯანაძეს საკუთარი ხმის, საკუთარი გზავნილების მისაწვდენად საქართველოს მოსახლეობისათვის, წუთში რამდენიმე ათასი დოლარის გადახდა მოუწევს, რაც პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

კოალიცია „ქართული ოცნებაში“ შემავალმა პარტიებმა, რომლებიც თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას ჯერ „რვიანის“, ხოლო შემდეგ „ექვსიანის“ ფორმატში სთხოვდნენ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არაფერი გააკეთეს თავიანთივე მაშინდელი მოთხოვნების აღსასრულებლად. ვინ გიშლით ხელს ბატონებო, რომ წლების მანძილზე, თქვენივე შემუშავებული მოთხოვნები ახლა უკვე ხელისუფლებაში მყოფებმა განახორციელოთ?

„სახალხო კრება“ მიმართავს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, არასამთავრობო და უფლებადამცველ ორგანიზაციებს, რომ მოახდინონ შესაბამისი რეაგირება აღნიშნულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

„სახალხო კრება“ კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისაგან, რომ გამოასწოროს არსებული უსამართლობა, სასწრაფოდ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა ყველა პრეზიდენტობის კანდიდატს ჰქონდეს თანაბარი საარჩევნო პირობები და არ იყოს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენებული ნინო ბურჯანაძე. ყველა პრეზიდენტობის კანდიდატს ჰქონდეს საკუთარი გზავნილების ამომრჩევლამდე მიტანის საშუალება, ხოლო ხალხს გააზრებული არჩევანის გაკეთების უფლება. მით უფრო, რომ ყველა დასავლურ სახელმწიფოში პრეზიდენტობის კანდიდატების თანაბარ პირობებში ჩაყენება საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკა და იმპერატიული ნორმაა,– ნათქვამია სახალხო კრების განცხადებაში.

ვნახოთ რა რეაგირებას მოახდენს დიპკორპუსი.

# სერგო ჯავახაძე: „საქართველოს ყოველდღე 200 მეტრ მიწას აჭრიან“

## ხელისუფლება სიმშვიდეს ინარჩუნებს

შორენა მარსაგიშვილი

შიდა ქართლში საკმაოდ უცნაური ვითარებაა. რუსი ოკუპანტები გორის და ქარელის სოფლებში ქართულ მიწებს უპრობლემოდ ითვისებენ. ამ პროცესს საქართველოს ხელისუფლება ოლიმპიური სიმშვიდით აკვირდება. აღშფოთებულ საზოგადოებას კი მოუწოდებს, ამ ყველაფერს გაგებით მოეკიდოს.

რუსები ამჯერად სოფელ დვანში გააქტიურდნენ. კვირას დილით მათ მავთულხლართები გააბეს. მოგვიანებით მავთულხლართებიანად უკან წავიდნენ. ერმაც მშვიდად ამოისუნთქა, მაგრამ რუსი ვინმეს გაახარებს? გუშინ ისევ დაბრუნდნენ და ახლა რკინის კონსტრუქციების აღმართვა დაიწყეს.

სააგენტო „პირველის“ ცნობით, დვანში რუსი „მესაზღვრეები“ საოკუპაციო ხაზს რკინის კონტრუქციებით ამაგრებენ ადგილზე რჩება ადილობრივი მოსახლეობაც. მათი ნაწილის ბაღები „საზღვრის“ გადმოწევის შედეგად საოკუპაციო რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ექცევა. ისინი ბაღებში მოსავლის ასაღებად შესვლას ითხოვენ.

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პაატა ღვინიშვილის თქმით, ოსურ მხარესთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა ადგილობრივებს ბაღებში შესვლისა და მოსავლის აღების უფლება მისცენ.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები აწარმოებენ მოლაპარაკებებს ოსურ მხარესთან, რათა დვანში მცხოვრებლებმა მოახერხონ მოსავლის აღება. თუ მათ ამის უფლებას მისცემენ, ჩვენ გამოვყოფთ შესაბამის ტექნიკას, რათა ადგილობრივებმა სწრაფად შეძლონ მოსავლის აღება. – განაცხადა პაატა ღვინიაშვილმა.

ცენტრალური ხელისუფლება ამ პროცესებს მშვიდად და ოპტიმისტურად უყურებს. ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, დვანში მიმდინარე პროცესები პროვოკაციაა, რომელსაც საქართველო არ უნდა წამოეგოს.

– საქართველოს ხელისუფლება არ წამოეგება რუსეთის მხრიდან დაგეგმილ პროვოკაციას, ვინაიდან ეს სხვა არაფერია, გარდა მცდელობა იმისა, რომ ჩაიშალოს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების ნორმალიზების დაწყებული პროცესი. საოკუპაციო რეჟიმი დიდხანს ვერ გაგრძელდება, რუსეთის საოკუპაციო ჯარებს საქართველოდან გასვლა მოუწევთ, – განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები კი ამ პროცესებს სხვანაირად უყურებენ. ნაციონალური მოძრაობა ამას რა თქმა უნდა სათავისოდ იყენებს.

დვანში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს პრეზიდენტობის კანდიდატი სერგო ჯავახაძე. ის ხელისუფლებას უუნარობაში სდებს ბრალს.

– საქართველოს ყოველდღიურად 200 მეტრს აჭრიან და გვპარავენ ქვეყანას! საოკუპაციო ძალების მიერ საზღვრის გადმოწევის პროცესი გრძელდება და სოფელ დვანში სამუშაოები კვლავ განახლდა. ამის ფონზე ნაციონალური მოძრაობა და ოცნება კოაბიტაციურ ცირკს აგრძელებს. მმართველი და მთავარი ოპოზიციური ძალა წინასაარჩევნოდ ქულების დაწერის მიზნით, შექმნილ ვითარებას ერთმანეთს აბრალებს და პრობლემის აღმოსაფხვრელად ნაბიჯებს არ დგამს.

რეალობას ჩამორჩენილი საგარეო საქმეთა მინისტრი, მაია ფანჯიკიძე კი კარასინისა და აბაშიძის შეხვედრებით ამაყობს და აცხადებს, რომ თურმე რუსეთთან დიალოგში გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით დადებით შედეგს მიაღწიეს. ფაქტია, რომ მთავარი პრობლემა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობაა. კიდევ უფრო დაძაბული ვითარების დროს სასწრაფოდ, კონკრეტული ზომების მიღებაა საჭირო და მიმაჩნია, რომ ასეთ მტკივნეულ თემებს საგარეო საქმეთა მინისტრი მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს.

პრემიერი კი ისევ იმ საზოგადოების შანტაჟითაა დაკავებული, რომლის ნდობაზე საუბრობს და პრობლემებზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიითაა დაკავებული, – აცხადებს სამართლიანი საქართველოს ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი



რუსების ქმედება ჩვენმა მეგობარმა ამერიკამაც დაგმო. აშშ ოკუპირებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციულ ხაზთან „საზღვრის“ გავლებით შეშფოთებულია.

– ძალზე შეშფოთებულნი ვართ რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ხაზთან საზღვრის გავლების პროცესით, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო. სოფლებთან – დიცსა და ხურვალეთთან საზღვრის აღმართვის პროცესი ინტენსიური გახდა. საზღვარი ოჯახებსა და მეზობლებს უფრო მეტად აშორებს და შესამჩნევად უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრებასა და საქმიანობაზე ეკლიანი მავთულის ორივე მხარეს. ადგილობრივ მოსახლეობას ეჭრება გზა ნაკვეთებისკენ. ბავშვებს სასკოლო მეცადინეობაში ეშლებათ ხელი. შეუძლებელი ხდება სასაფლაოებზე მოხვედრა.

კვლავ მოვუწოდებთ რუსეთს, მოხსნას ბარიერები იმ პირობების შესაბამისად, რომელთა შესრულება მან 2008 წლის აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით ითავა. მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები. მოწოდება გაგრძელდება აქ, საქართველოში და საერთაშორისო სარბიელზე, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო დისკუსიისას.

მივესალმებით კონფლიქტების მოგვარებისადმი საქართველოს მთავრობის მშვიდობიან მიდგომას. მოვუწოდებთ ყველა მხარეს, ჩაერთონ აზრიან დიალოგში ვითარებიდან გამოსავლის საპოვნელად, – ნათქვამია აშშ-ს საელჩოს განცხადებაში.

აღნიშნული განცხადება საელჩომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებით გაავრცელა.

მავთულხლართების გავლების პროცესს საქართველოს პრეზიდენტიც გამოეხმაურა. მისი განცხადებით. ბოლო პერიოდში რუსებმა საქართველოს 400 ჰექტარზე მეტი მიწა მიითვისეს.

– ბოლო კვირეებში, თვეებში საქართველოს ტერიტორიაზე რუსებმა გადმოინაცვლეს და 400 ჰექტარზე მეტი ჩვენი მიწა კიდევ მიითვისეს. რაღაც კომისიასავით გავაკეთეთ და დავთვალეთ. 400 ჰექტარი მიწა რომ წარმოიდგინოთ და 400 ჰეტრაზე რომ ვაშლის ბაღი გააშენო, ვაშლზე საქართველოს მთელ მოთხოვნილებას გადაფარავს. ე.ი. ჩვენ საქართველოს სამყოფი ვაშლის ბაღი ისე წაგვართვეს, რომ ამის შესახებ თითქმის არავის გაუგია. ეს არის პირდაპირი პასუხი იმაზე, რასაც ჩვენ არერთხელ ვამბობდით, რომ რაც უფრო მეტს დაუწვები, მით უფრო მეტად აგაცოცდება, მით უფრო მეტად გადაგივლის, მით უფრო მეტად ადვილად გადაგივლის. დაწოლითა და ჩექმების კოცნით საქმე რომ კეთდებოდეს მაგ სახელმწიფოსთან, აქამდე მთელი მსოფლიო დაუწვებოდა და გაკრიალებული ჩექმებით ივლიდა, მაგრამ არ გამოდის ასე. გამოდის მხოლოდ პრინციპული მიდგომით. გუშინ ივანიშვილმა თქვა, რომ საქართველოს არავითარი რეგიონული ამბიციები არ უნფა ჰქონდესო. პრემიერ-მინისტრმა რამდენიმე დღის წინ ლატვიელ გამოცემას უთხრა, რომ საქართველომ ომი დაიწყოო. თუ ომი საქართველოს ბრალი იყო, თუ რეგიონული ამბიციები არ უნდა გვქონდეს, მაშინ ვინ მოვა დასახმარებლად. ევროპულ გამოცემებს დღე და ღამე ზუსტად იმას უყვება, რასაც პუტინები და მედვედევები უყვებოდნენ, – განაცხადა სააკაშვილმა.

საინტერესოა სააკაშვილი წინა წლებში რატომ არ რეაგირებდა რუსების ქმედებებზე.

# სოჭის ოლიმპიადაზე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მონაწილეობას არ მიიღებენ

ნათია ხურცილავა



საგარეო საქმეთა სამინისტროში ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ მიმდინარე პროცესები შეაფასა და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. პირველი განცხადება საგარეო უწყებაში მცოცავი ანექსიის შესახებ გაკეთდა. დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენები შეაჯამა მინისტრის მოადგილემ. მიუხედავად რუსეთის პოლიტიკისა, ჯალაღანია იმედოვნებს, რომ რუსეთის ქმედებები სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის საკითხის გადახედვის საბაბი არ გახდება.

— გვინდა, რომ კონსტრუქციულები ვიყოთ. გვინდა, რომ მაქსიმალურად იყოს გამორიცხული ოკუპანტთან პოლიტიკური ურთიერთობები ჩვენი მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრებისგან, მასზე ნეგატიური ზეგავლენის კუთხით. მათ შორის, ერთ-ერთია ისეთი საერთაშორისო მოვლენა, როგორიც ოლიმპიური თამაშებია, სადაც არ უნდა იმართებოდეს ის. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ჩვენ გვაქვს ეს დამატებითი ნიუანსი, რომ მასპინძელი ქვეყანა იმავდროულად ოფიციალურად აგრესორი და ოკუპანტი ძალაა, თუმცა ეს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო და ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ეს სიტუაციები დარეგულირდება. ნამდვილად არ ვისურვებდი, რომ მოხდეს ამ გადაწყვეტილების გადასინჯვა. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და იმედი ვიქონიოთ, რომ არც ეს კონკრეტული ქმედებები და არც შემდგომში, თუკი რაიმე მსგავსი აქვთ გეგმებში, სიტუაციის ისეთ გართულებას არ გამოიწვევს, რომ ამ გადაწყვეტილების თაობაზე მსჯელობა ხელახლა მოგვიხდეს, — განაცხადა ჯალაღანიამ.

მინისტრის მოადგილის თქმით, რუსეთი სამწუხაროდ, თავის გეგმას მიზანმიმართულად და დაბეჯითებით აგრძელებს. მინისტრის მოადგილის განცხადებით, ბერკეტები მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკურ-დიპლომატიური მეთოდებითაა შემოფარგლული, რომელიც ჯალაღანიას შეფასებით, სამწუხაროდ, ქმედითუნარიანი არ არის და დროში გაწელილია.

— ჩვენი მხრიდან მცდელობა იქნება ძალზე ინტენსიური, პრინციპული, მაგრამ ტრადიციული. ეს იქნება დიალოგი პარტნიორ ქვეყნებთან, ასევე გამოყენებული იქნება გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნა. არგუმენტები ბევრია, ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებითაც განსაზღვრულია ის ვალდებულება, რომ რუსეთმა უკან დაიხიოს და ოკუპირებული ტერიტორიები დატოვოს. ამდენად, ბერკეტებად თუ ჩავთვლით ამ საერთაშორისო ვალდებულებებს, ცივილურ ძალასთან რომ გვქონდეს საქმე, ალბათ უფრო ოპტიმისტები ვიქნებოდით. იმედი გვაქვს, არგუმენტების გამოყენებით, საერთაშორისო საზოგადოება მეტ პრინციპულ ყურადღებას გამოიჩენს, რეაქცია იქნება საკმაოდ მკვეთრი, მიზანმიმართული და იმედს ვიტოვებ, რომ ეს თავის გავლენას იქონიებს, — განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

დავით ჯალაღანიამ სოჭის ოლიმპიადის რეგისტრაციის ფორმატში ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად შეტანის შესახებაც გააკეთა კომენტარი. გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებადაა დარეგისტრირებული.

— რამდენადაც ვიცი, თუმცა შეიძლება, ზუსტი ციტირება ვერ მოვახდინო, ეს არის სპორტული ჟურნალისტების ევროპული ასოციაცია, რომელიც ჟურნალისტების აკრედიტაციას ახორციელებს. მათ ვებგვერდზე ჩამონათვალში დამოუკიდებლად იყო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მინიშნება. პირველ რიგში, ეს ოლიმპიური კომიტეტის საქმეა, რადგან გადაწყვეტილება მონაწილეობაზე ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო. ამიტომ, მათი გზით უნდა მოხდეს ამ ხარვეზის გასწორება და რამდენადაც ვიცი, შესაბამისი მოთხოვნა გაგზავნილია, რომ ეს შეცდომა გასწორებული იყოს. არც ერთ ოფიციალურ ვებგვერდზე, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ეხება, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ არის. თუ ამას დასჭირდება, საჭიროების განსაზღვრის გარეშეც საგარეო თუ პოლიტიკურ ურთიერთობათა ჭრილში იქნება ეს, საქართველოს ყველა სტრუქტურა თავის პრეტენზიებს განაცხადებს, მაგრამ ქმედითობიდან გამომდინარე, უპრიანი და უფრო ლოგიკურია, რომ ეს საკითხი ოლიმპიური მოძრაობის ფარგლებში მოგვარდეს, — განაცხადა ჯალაღანიამ.

საქართველოს დელეგაცია პრეზიდენტ სააკაშვილის ხელმძღვანელობით გაეროს რიგით 68-ე სესიაზე გაემგზავრა.

მიხეილ სააკაშვილი 25 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიაზე სიტყვით წარდგება.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ აღნიშნა, 23-27 სექტემბერს ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს დელეგაცია მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით.

ჯალაღანიას თქმით, 25 სექტემბერს გენერალური ასამბლეის ფორუმის პარალელურად, მაია ფანჯიკიძე ტრადიციულ არაფორმალურ შეხვედრას გამართავს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკური უწყებების პოლიტიკურ დირექტორებთან. შეხვედრას ევროპული საგარეო ქმედებათა სამსახურის გენერალური მდივნის მოადგილე ჰელგა შმიდტი დაესწრება.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ შეხვედრაზე საუბარი შეეხება ვილნიუსის სამიტისთვის ასოცირების შეთანხმების პარაფირებისა და ევროკომისიის არსებული მანდატის ამოწურვამდე მისი ხელმოწერის მნიშვნელობას, ასევე საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას, დიცსა და დვანში მიმდინარე მოვლენებსა და ქართული მხარის მხრიდან იქნება თხოვნა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია იყოს ადეკვატური და მტკიცე. ასევე განხილული იქნება ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენები, საპრეზიდენტო არჩევნების სამზადისის ჩათვლით.

ამასთან, ჯალაღანიას თქმით, 26 სექტემბერს ნიუ-იორკში ასამბლეის პარალელურად, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ქეთრინ ეშტონი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან არაფორმალურ შეხვედრას გამართავს.

26 სექტემბერს, ასევე გენერალური ასამბლეის გახსნის ფარგლებში, ნიუ-იორკში დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის — სუამის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომა და სუამი-აშშ-ის ფორმატის მაღალი დონის შეხვედრა გაიმართება.

# „მოვიდნენ ივანიშვილი და უსუფაშვილი და ნახონ, რა ხდება დვანში!“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***დებები საკმარისი არ არისო. მაშინ ერთი გზა რჩება, რუსები მავთულხლართების დასამონტაჟებლად რომ მოვლენ, ხელისუფლება იარაღით უნდა შეერძოლოს. სხვა გზა არ არსებობს.***

— მაგ მდგომარეობაში ვართ, რამდენსაც უკან დავიხევთ, იმდენად უკან მოგვდევს.

***— უკანდახევის მომხრე მეც არ ვარ. თუმცა, არც ომი მინდა, მაგრამ თუ გამოუვალი მდგომარეობაა, ალბათ, იარაღით უნდა დავდგეთ.***

— მგელი მოდის ჩვენს შესაჭმელად, დავდგეთ და დაველოდოთ, როდის შეგვჭამს?!

***— თქვენ მითხარით, თუ ხელისუფლება ამ პრობლემის მოგვარებისთვის გზას არ გამონახავს, სხვა გზას მივმართავთო. რა გზა უნდა გამონახოთ?***

— ჩვენი გზა არის ის, რომ ამ პროცესს რაღაცნაირად წინ უნდა აღვუდგეთ. მაშინ უნდა ავირჩიოთ ისეთი ხელისუფლება, რომელიც დაგიცავს. ან ვინმემ უნდა აგოს პასუხი. თუ ჩვენ აქ დავრჩებით ულუკმაპუროდ, უმიწოდ და უყველაფროდ, ვინ მოგვხედავს.

***— თუ პასუხისგებაზეა საქმე, მაშინ ჯერ სააკაშვილი უნდა ჩამოვკიდოთ.***

— სააკაშვილიც ჩამოსაკიდია, შევარდნაძეც და ყველა ის პირი, ვინც დამნაშავეა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ვის ჩამოვკიდებთ. ჩემთვის მთავარია, ქვეყანას ეშველოს.

***— თქვენ გამოსავალს რაში ხედავთ, ხელისუფლებამ იარაღი უნდა აიღოს, რადგან განცხადებები შედეგს არ იძლევა? რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, თუ ხელისუფლება არ დაგვეხმარება, სხვას გზას გამოვძებნითო?***

— სამწუხაროდ, ჩვენ თავის დაცვის არავითარი საშუალება არ გვაქვს. ჩვენ რომ თავის დაცვის საშუალება გვქონდეს, ვიბრძოლებდით, მაგრამ ჩვენ არავითარი საშუალება არ გვაქვს — არც იარაღი გვაქვს, არც — წამალი და არც არაფერი. თუკი ვინმეს სანადირო თოფი ჰქონდა, ისიც წაართვეს. რით გინდა რუსებს წინ დაუდგე. ამ დღეებში ჩამოვდივარ თბილისში. თუ ხელისუფლება ამ პრობლემას არ მიხედავს, იძულებული ვიქნებით, ქუჩაში გამოვიდეთ და ჩვენი სიტყვა ვთქვათ. არ შეიძლება ვიდგე და ტაში ვუკრა ვიღაცას, რომელმაც ქვეყანა გაყიდა თავისი მილიარდების გადასარჩენად.

***— ბატონო გენადი, რომ ამბობთ, ახლანდელმა ხელისუფალმა ქვეყანა გაყიდაო, რა, ახლა დაიწყეს რუსებმა მავთულხლართების გაბმა? 2008 და 2011 წლიდან არ დაიწყო ეგ პროცესი, მაშინ სად იყო ივანიშვილი? 2008 და 2012 წლებში არ იყო ივანიშვილი, მაგრამ იყო რუსეთთან ომი და მოხდა მიწების მიტაცება***

— მაშინ იყო სააკაშვილი. ახლა რა ვქნათ, დავჯდეთ და ველოდოთ, ახალ ხელისუფლებას როდის აირჩევენ? იმანაც თუ არაფერი გააკეთა, არ ვთქვათ? თუ არ შეუძლია საქმის გაკეთება, ნუ მოვა, ბატონო, ხელისუფლებაში. რომ გვეხვეწებიან აგვირჩიეთ, ჩვენ მოვაგვარებთ პრობლემებსო, ახლა შეასრულონ დაპირებები. არ მაინტერესებს, ივანიშვილი იქნება თუ პეტრიაშვილი.

# ზურაბ აბაშიძე: „რუსეთისთვის არაფერი დაგვითმია“

ნათია ხურცილავა

პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან გამართული შეხვედრა ჟურნალისტებთან შეაჯამა.

აბაშიძე-კარასინს შორის პრაღაში რიგით მეოთხე შეხვედრა შედგა. შეხვედრას წინ ქართულ სოფლებში შექმნილი დაძაბული ვითარება უძღვოდა.

აბაშიძე აცხადებს, რომ ეგრეთ წოდებულ საზღვართან მიმდინარე პროცესები 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებია და იგი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან დიალოგის შედეგად მიღწეული შედეგების საფასური არ არის.

აბაშიძის განცხადებით, კარასინს ჰქონდა ინფორმაცია, რომ საზღვართან პროცესები საქართველოს პროვოცირებითა თუ ინიცირებით მოხდა და არა პირიქით.

— რუსეთის პოზიცია, რასაც ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით, არის ეს — 2008 წელს ვაღიარეთ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულებები, მათ შორის, სასაზღვრო ზოლის ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით და ამით არანაირი საერთაშორისო ნორმა არ ირღვევა. ეს არის წითელი ხაზები, რასაც კარასინთან დიალოგის ფორმატი არ გულისხმობს, — აცხადებს ზურაბ აბაშიძე.

პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ვერ ხედავს.

— როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემა, არ ჩანს, გამოსავალი არ ჩანს. რუსეთი საბჭოთა კავშირის დროს დადგენილ საზღვრებსაც კი არ სცემს პატივს, — აცხადებს აბაშიძე.

აბაშიძემ გაიხსენა რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელების ის განცხადება, რომლის მიხედვითაც, რუსეთი უკან არ წაიღებს მის გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ და არც საქართველო შეეგუება ამ სიტუაციას. აბაშიძის თქმით, გამოსავალს ვერც რუსეთში ხედავენ.

აბაშიძე, მიუხედავად ამ ყველაფრისა, მიიჩნევს, რომ პირდაპირი დიალოგი იმ ფორმატით, რა ფორმატითაც შეიქმნა, უნდა გაგრძელდეს და ამის პარალელურად, მთავრობამ დასავლელ პარტნიორებთან უნდა იმუშაოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით.

ზურაბ აბაშიძე არ ეთანხმება ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კარასინთან შეხვედრისა და საზღვრის სადემარკაციო სამუშაოების განახლების დროს შორის კანონზომიერება არსებობს და შესაძლოა, საზღვართან დაკავშირებული პროცესები დიალოგით მიღწეული შედეგებისთვის, მათ შორის, სავაჭრო ურთიერთობების, სატრანსპორტო კავშირების აღდგენისთვის გადახდილი საფასური იყოს.

— არანაირი საფასური მიღწეული პოზიტივისთვის არ გადაგვიხდია. ჩვენი მხრიდან არანაირი დათმობა არ ყოფილა და არც რუსეთს დაუკარგავს რამე. მაამებლური ტონი არ გვქონია. ჩვენ რასაც დიალოგის ფორმატში ვაკეთებთ, არ არის დაკავშირებული საზღვრის სადემარკაციო სამუშაოებთან. ეს უკავშირდება 2008 წლის აგვისტოს ომს. ეს არის გაგრძელება რუსეთის მთავრობის იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას უკავშირდება, — აღნიშნავს აბაშიძე.

ზურაბ აბაშიძის განცხადებით, რუსული მხარე საზღვრის მშენებლობას არა ჩვენს დღევანდელ პოლიტიკას, არამედ 2008 წლის ომს უკავშირებს.

როგორც აბაშიძემ აღნიშნა, კარასინთან შეხვედრაზე კონფლიქტისპირა სოფლებში მიმდინარე ვითარებაზეც ისაუბრეს და რუსული მხარის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, მისთვის სრულიად მიუღებელია.

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ფორმატი ამას არ ითვალისწინებდა, ე.წ. საზღვრების მშენებლობის საკითხს გვერდი ვერ ავუარეთ, რუსული მხარის პოზიცია ასეთია: ჩვენ 2008 წელს ვაღიარეთ ამ ორი რეგიონის დამოუკიდებლობა, მათთან გაფორმებული გვაქვს სასაზღვრო ზოლის სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით ხელშეკრულება, ამიტომ ვაკეთებთ ამას და ამით არავითარი საერთაშორისო ნორმა არ ირღვევა. მათი პოზიციაა, რომ საზღვრების მშენებლობა 2008 წლის ომთანაა დაკავშირებული და არა ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკასთან, ურთიერთობების აღდგენის მცდელობასთან. ჩვენი პასუხია, რომ საქართველო ამას ვერასოდეს შეეგუება, — განაცხადა აბაშიძემ.

მისივე თქმით, არასწორია



მიდგომა, როდესაც საოკუპაციო ხაზის 200 და 600 მეტრით გაფართოებაზე საუბრობენ.

*დათმო თუ არა საქართველომ რამე, ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე შესვლის სანაცვლოდ?*

— არავითარი საფასური არ გადაგვიხდია, არანაირი პრინციპული დათმობა არ გაგვიკეთებია იმის სანაცვლოდ, რომ ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე შედის. ხანდახან რაღაც „მაამებლურ ტონზეც“ საუბრობენ. თუ ვინმე შემახსენებს, რაც ნიშნავს, ან პირადად მე როდის გამოვიყენე რაიმე მაამებლური გამონათქვამი, მადლობელი დავრჩები, — განაცხადა აბაშიძემ.

აბაშიძის განცხადებით, აღნიშნული დიალოგის შედეგად ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის ტემპერატურამ იკლო და შეიარაღებული კონფლიქტის განახლების ალბათობა შემცირდა. როგორც აბაშიძემ აღნიშნა, საქართველოს დასავლელი პარტნიორები რუსეთთან დიალოგს მიესალმებიან და საქართველოს მისი გაგრძელებისკენ მოუწოდებენ.

— ყველგან, სადაც მივდივართ — ნატოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპის ქვეყნებში, მოგვიწოდებენ, გავაგრძელოთ ეს დიალოგი. რა თქმა უნდა, ყველას კარგად ესმის, რაოდენ რთული იქნება ეს. სწრაფ ცვლილებებს არ უნდა ველოდეთ, განსაკუთრებით, კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში, მაგრამ ეს ზოგადად, პოზიტიური მუხტის მატარებელია, — განაცხადა აბაშიძემ.

აბაშიძემ პრესკონფერენციაზე მყარ გარანტიებზეც ისაუბრა.

— გვაქვს მყარი გარანტია, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას არ მიიღებენ, — ამბობს აბაშიძე.

პრემიერის წარმომადგენელმა, ოლიმპიური თამაშების ჟურნალისტების აკრედიტაციისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო ფორმაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაფიქსირებასთან დაკავშირებითაც გააკეთა კომენტარი.

— ჩვენმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მსოფლიო ოლიმპიურ კომიტეტს მიმართა და ვფიქრობ, ეს კოლიზია მოიხსნება. ოლიმპიური კომიტეტის არც ერთ ვებგვერდზე აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ცალკე სახელმწიფოებად არ არის მოხსენებული, — განაცხადა აბაშიძემ.

აბაშიძე-კარასინის ფორმატი, როგორც ცნობილია, ეკონომიკურ, კულტურულ, ჰუმანიტარული ურთიერთობების მოგვარებას ითვალისწინებს. აბაშიძე აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია, ქვეყანამ ივაჭროს, რადგან საქართველოს არ აქვს ნავთობი და გაზი, ეს ღვინომ და სოფლის მეურნეობის პროდუქციამ უნდა ჩაანაცვლოს.

— ჩვენ არ გვაქვს სიმდიდრეები. ჩვენი ნავთობი ღვინოა და ჩვენი გაზი — სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ქვეყანამ უნდა ივაჭროს. ეს არის სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქცია, — ამბობს აბაშიძე.

რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის მოთხოვნის გაზრდას, აბაშიძე მეღვინეობისთვის სტიმულის მიმცემად აფასებს.

— აღმოჩნდა, რომ ქართულ ღვინოსა და სასმელებზე მოთხოვნა იმაზე ორჯერ მეტია, ვიდრე მოველოდით. ეს კარგი დახმარებაა მათთვის, ვინც მეღვინეობის სფეროშია, მათ შორის, გლეხებისთვის, კომპანიებისთვის, სატრანსპორტო ფირმებისთვის. რადიკალურ ცვლილებებზე საუბარი არ არის, მაგრამ ეს იქნება სტიმული მეღვინეობისთვის, — აცხადებს აბაშიძე.

## ირაკლი ღარიბაშვილი თავის ლატვიელ კოლეგას შეხვდა



ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და ბელარუსის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, პირველი შეხვედრა თავის კოლეგასთან – ლატვიის შს მინისტრთან რიჰარდ კოზლოვსკისთან გამართა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე, 'საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათზე მზადყოფნისა და რეაგირების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დასადებად აუცილებელი პროცედურების განხორციელების თაობაზე'' ერთობლივ განცხადებას მოეწერა ხელი.

ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა ასევე ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიციის უფროსს ინტს კიუზისს. შეხვედრის დროს მხარეებმა უწყებებს შორის სამართალდამცავ სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის პრესპექტივები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

24-26 სექტემბერს ღარიბაშვილი, თავის კოლეგებთანეტონეთისა და ლიტვის რესპუბლიკებიდან გამართავს შეხვედრებს. ბალტიისპირეთის ქვეყნებში ვიზიტის შემდეგ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ბელარუსის რესპუბლიკაში გაემგზავრება, სადაც შეხვედრებს ბელარუსის რესპუბლიკის შს მინისტრთან და საგანგებო სიტუაციების მინისტრთან გამართავს. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს და ბელარუსის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრები ხელს მოაწერენ 'საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დასადებად აუცილებელი პროცედურების განხორციელების თაობაზე'' ერთობლივ განცხადებას. შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი ბელარუსის რესპუბლიკაში 28 სექტემბერს დასრულდება.

**ნიუსპრესი**

## პოლიციამ ტრეფიკინგის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული დავით თ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის ივლისში, დავით თ.-მ 1993 წელს დაბადებული თ.ა. ოჯახისთვის ზიანის მიყენების მუქარით ყვარლიდან თბილისში ჩამოიყვანა, პირადობის მოწმობა და ტელეფონი გამოართვა და განუცხადა, რომ მას მამაკაცებისათვის სექსუალური მომსახურება უნდა გაეწია, რაზეც უარი მიიღო. ამის შემდეგ დავით თ.-მ თ.ა-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება და მუდმივი მუქარის ქვეშ აიძულებდა ბარ 'თენექ''-ში მამაკაცებისთვის სექსუალური მომსახურება გაეწია, ხოლო მათ მიერ გადახდილ თანხას მთლიანად ითვისებდა. გამოძიება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე, სსსკ-ს 143-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის „დ'' ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

## ენ-დი-აის მიერ გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობა არ შეცვლილა

ენ-დი-აი-ს გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, ბოლო ერთ წელიწადში, საქართველოში კრიმინალური მდგომარეობა არ შეცვლილა. გამოკითხულთა 12% კრიმინალურ მდგომარეობას გაუმჯობესებულად, 19% კი გაუარესებულად მიიჩნევს. ხოლო გამოკითხულთა 60%-ის აზრით, 2012 წლის ოქტომბერთან შედარებით, ქვეყანაში კრიმინალური მდგომარეობა არ შეცვლილა.

კვლევა ამა წლის 18 აგვისტოდან 3 სექტემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,838 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ქართულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა, ხოლო მასში საშუალო ცდომილების ზღვარი +/–2%-ია.

**ნიუსპრესი**

## თენგიზ გუნავა: „ზუგდიდელებს თხილის ივანიშვილის ქარხანაში'' ჩაბარებას აიძულებენ''

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის თენგიზ გუნავას თქმით, ახალი მთავრობის წარმომადგენლების, მისი მეთაურის, პრემიერ-მინისტრის არაერთგზის განცხადების მიუხედავად, ბიზნესი თავისუფალი არ არის.

როგორც გუბერნატორი აცხადებს, სამეგრელოში შეჩერებულია მიმდინარე მშენებლობები, არ შექმნილა ახალი სამუშაო ადგილები, პირიქით – უკვე არსებულიც კი გაქრა.

,,ასეთ სიტუაციაში რეგიონის მოსახლეობა უდიდეს იმედს ამყარებდა საკარმიდამო ნაკვეთებზე მოწეულ თხილის მოსავალზე, რომელსაც უამრავი ოჯახი ნაწილ-ნაწილ, საჭიროების მიხედვით ჰყიდის, რათა ზამთარს მომზადებული შეხვდეს და, ელემენტარულად, ყოველდღიურ პრობლემებს გაუმკლავდეს. აქედან გამომდინარე, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ერთი კილოგრამი თხილის საბაზრო ღირებულება, რომელიც დღითიდღე ეცემა: სულ რაღაც სამი დღის წინ შესასყიდი ფასი 3.20 ლარი იყო, დღეს კი 2.80 გახდა, რაც, ბუნებრივია, მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს'', – აცხადებს გუნავა და დასძენს, რომ მისი ინფორმაციით, თხილის ფასის დაწევა გამოწვეულია პრემიერ-მინისტრის გარემოცვასთან დაახლოებული პირების უხეში ჩარევით ადგილობრივ ბიზნესში.

მისივე ინფორმაციით, 21 სექტემბერს ზუგდიდში იმყოფებოდა პრემიერ-მინისტრის გარემოცვასთან დაახლოებული ბიზნესმენი, ორგანიზაცია 'მსოფლიო ტექნიკის'' სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ზვიად ბრეგვაძე, რომელმაც შეკრიბა ადგილობრივი თხილის შემსყიდველი ბიზნესმენები და მათ ორი მკაცრი მითითება მისცა: თხილის შესყიდვის ფასის დაწევისა და დიდი რაოდენობით თხილის მხოლოდ და მხოლოდ ზუგდიდის ერთ თხილის ქარხანაში ჩაბარების შესახებ, რომელსაც ზუგდიდელები 'ივანიშვილის ქარხანას'' უწოდებენ.

**მედიანიუსი**

# აიკრძალება თუ არა მოწევა ბარებსა და რესტორნებში?

მერი ნამორაძე

**მთელ მსოფლიოში თამბაქოს ჯვამლისა და პასიური მწევლობის მავნე გავლენის შესახებ მტკიცებულებათა ზრდენობის მატებამ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს კონტროლის კანონის საჭიროება წარმოაჩინა. როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, თამბაქოს კონტროლის კანონის აღსრულება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი ასპექტია. აღსრულებისთვის კი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ ცოტაა მიღწეული.**

ჯერჯერობით საქართველოში, სადაც მიზნად ხელისუფლებამ თამბაქოზე მოთხოვნის შემცირება დაისახა, მოხმარების შეწყვეტის სერვისები განვითარებული არ არის. გვპირდებიან, რომ მალე თამბაქოს გადაგდების მსურველებს 24 საათის განმავლობაში ცხელი ხაზი მოემსახურება და მოწევის შეწყვეტაში დაეხმარება. 2010 წელს ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მწეველთა 40%-ს სურს თავი დაანებოს მოწევას, მაგრამ მცდელობა წარუმატებელია სწორედ ამ სერვისების განუვითარებლობის გამო. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, რომ საქართველოში მამაკაცთა 55% რეგულარული მომხმარებელია, ქალებში ზუსტად ვერ შეფასდა მწევლობის მასშტაბები, რადგან არაგულწრფელნი აღმოჩნდნენ გამოკითხვისას სუსტი სქესის წარმომადგენლები. ბოლო მონაცემებით, ყოველწლიურად 11 ათასი ადამიანი იღუპება თამბაქოს რეგულარული მოხმარებით, 3 ათასი კი პასიური მწევლობის გამო.

მართალია, საქართველოში თამბაქოს პროდუქციის რეკ-



ლამირება ტელევიზიით აიკრძალა, სამაგიეროდ, ერთობ გაშალა ფრთები არაპირდაპირმა რეკლამამ, რაც ხელს აძლევს თამბაქოს ინდუსტრიას. თამბაქოს კონტროლის ალიანსის ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ბახტურიძის თქმით, პოპულარულ შოუ-გადაცემებში, კომედიურ და იუმორისტულ პროგრამებში, სერიალებში, ყველგან ხდება თამბაქოს მოხმარების პოპულარიზაცია, განსაკუთრებით ეს ხდება ახალგაზრდა გოგონებში.

არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც თამბაქოს კონტროლზე მუშაობენ, გამუდმებით საყვედურობენ ხელისუფლებას, რომ თამბაქო ერთობ ხელმისაწვდომია სიიაფის გამო. 15-30 თეთრიანმა გაძვირებამ, რომელიც, რატომღაც წინასაარჩევნო პერიოდს დაემთხვა, არადა, წესითა და კანონით, იანვრიდან უნდა გაძვირებულიყო, ხელმისაწვდომობა ნამდვილად არ შეამცირა თამბაქოზე. თუმცა, ბოლო ხანებში თამბაქოსგან თავისუფალი გაცილებით მეტი დაწესებულება გახდა. ასეთთა შორის საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებები ლიდერობენ. კაფეებსა და რესტორნებში თამბაქოსგან თავისუფალი გარემოს შექმნა კი ჯერჯერობით პრობლემად რჩება.

როგორც გიორგი ბახტურიძე აცხადებს, თამბაქოს ინდუსტრიისთვის ყველაზე მეტად მიუღებელი სწორედ კაფე-ბარებსა და რესტორნებში მოწევის აკრძალვაა, რადგან ეს არის ყველაზე მძლავრი ხერხემალი მოსახლეობაში თამბაქოსთან დაკავშირებული ცნობიერების შესაცვლელად.

– თუ ქვეყანამ მოახერხა და რესტორნებსა და ბარებში მოხდა რეალურად მოწევის აკრძალვა, საზოგადოება განეწყობა იმისათვის, რომ ეს არ შეიძლება მოხდეს სახლშიც. ეს ფაქტი გავლენას ახდენს მთლიანად სოციუმზე, საზოგადოებაზე და ქცევა ხდება რეალურად მიუღებელი. სხვათა შორის, სოციალურად მიუღებლობა საზოგადოებაში ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც მოხდა რეალურად აკრძალვა და არა მას შემდეგ, როდესაც ადამიანმა გაიგო, რომ მოწევა ფილტვის კიბოს იწვევდა, გულის ინფარქტს იწვევდა და ასე შემდეგ. მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ქართველები, არ მიიჩნევენ, რომ ეს მათი პრობლემა შეიძლება იყოს და მათ დაემართოთ, – გვითხრა ბახტურიძემ.

ევროპა იქით მიდის, რომ ნებისმიერი დახურული ტიპის შენობა იყოს თამბაქოსგან 100 პროცენტით თავისუფალი. რატომ, იმიტომ, რომ არ არსებობს თამბაქოში შემავალი 190-მდე ტოქსიკური ნივთიერების უვნებელი ზომა. აქედან გამომდინარე, თავდაპირველ შეზღუდვებს აუცილებლად უნდა მოჰყვეს აკრძალვა. ბახტურიძის თქმით კი, შეზღუდვის რეჟიმში საქართველო უკვე 10 წელია იმყოფება.

– კვების ინდუსტრია ამბობს, რომ მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, იქნება დაშვებული მოწევა, თუ იქნება სრულიად აკრძალული. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, არ იყოს შეზღუდვა, რადგან ასეთ შემთხვევაში დიდი დანახარჯების გაღება მოუწევთ კონდიცირების სისტემის მოსაწესრიგებლად თუ მწეველთა და არამწეველთა დარბაზების გასამიჯნად, – აღნიშნა ბახტურიძემ.

მაინც რა შედეგი მიიღო კვების ინდუსტრიამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოწევის სრული აკრძალვით? ბახტურიძის თქმით, მწევლების გარკვეულმა ნაწილმა, გააპროტესტა და უარი თქვა რესტორანში შესვლაზე, მაგრამ პროტესტმა რამდენიმე თვე გასტანა. ამასთან, ისინი ჩაანაცვლდნენ ოჯახებით, რომლებმაც უფრო ხშირად დაიწყეს სტუმრობა შვილებითურთ თამბაქოსგან თავისუფალ რესტორნებში და გაცილებით დიდი მოგება ნახა ამ ბიზნესმა. ამას კაფესა და რესტორნებში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდაც მოჰყვა.

მაინც საით მიდის მსოფლიო თამბაქოსთან მიმართებაში? ჯანდაცვის ბოლო ასამბლეაზე გადაწყდა, რომ 2025 წლამდე ყველა ქვეყანამ 30 პროცენტით უნდა შეამციროს მწევლობის დონე; 2050 წლისათვის კი საერთოდ აღმოფხვრას. მიზეზი მარტივია – სამუშაო ადგილებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოხმარება ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას, ფინანსურ ტვირთად აწვება ქვეყანას, რადგან თამბაქოს ინდუსტრიას რაც ბიუჯეტში შეაქვს, სამი იმდენი გადის ბიუჯეტიდან ჯანდაცვით პროგრამებზე მოწევისგან გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემების დასაძლევად.

## საერთაშორისო მისიებში დაჭრილი 18 სამხედრო მოსამსახურე ბინას ოქტომბრის ბოლოს მიიღებს

საერთაშორისო მისიებში დაჭრილი 18 სამხედრო მოსამსახურე, ვარკეთილის 'სამხედრო ქალაქში,'' ბინას ოქტომბრის ბოლოს მიიღებს. მათთვის ბინები სპეციალური პროექტით რემონტდება და ფიზიკური მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურით არის აღჭურვილი.

დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, 'სამხედრო ქალაქში'' ახალ ბინებს 900-მდე სამხედროს ოჯახი მიიღებს. თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, ოთხი კორპუსის მშენებლობა ივნისის თვიდან ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

დღეს, 'სამხედრო ქალაქში'' მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დასათვალიერებლად თავდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გეგეჭკორი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე იმყოფებოდნენ.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 'სამხედრო ქალაქში'' კორპუსების მშენებლობა 2012 წლის სექტემბერში დროებით შეჩერდა და მიმდინარე წლის ივნისიდან განახლდა. ამჟამად, ექსპლუატაციაში ერთი კორპუსია შესული, რომელშიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახები ცხოვრობენ.

**ნიუსპრესი**

# ნინო ბურჯანაძე: სამართლიანობა ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში აუცილებლად აღდგება''

პოლიტიკური პარტია 'დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს'' ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გუშინ კახეთის რეგიონს სტუმრობდა.

მან შეხვედრები სოფელ კაბალაში, წნორსა და ლაგოდეხში გამართა. 'დემოკრატიული მოძრაობის'' ლიდერის განცხადებით, ყველა ის ტკივილი, რომელიც საქართველოს მოსახლეობას აწუხებს, კახეთშიც თვალშისაცემია.

'პრობლემები ყველგან ერთი და იგივეა, მაგრამ აქ ლაგოდეხში, ვინაიდან ეს საზღვრისპირა რაიონია, გარკვეული პრობლემები საბაჟო სამსახურებთან დაკავშირებითაცაა, რასაც დროული მიხედვა სჭირდება. სხვა მხრივ, ყველა ის ტკივილი, რომელიც საქართველოს მოსახლეობას აწუხებს, აქაც შეიმჩნევა. ძალიან სამწუხარო ტენდენციას ვხედავ, როდესაც ყველა შეხვედრაზე ადამიანები მეუბნებიან, რომ მზადდება ძალიან სერიოზული გაყალბება, რადგან კოჰაბიტაცია ნაციონალებსა და 'ქართულ ოცნებას'' შორის, უკვე ძალიან მჭიდრო ფაზაშია შესული. ადგილობრივი მოსახლეობა ხედავს იმას, რომ ჩვენი შტაბის გარდა არც ერთი შტაბი არ მუშაობს და სამომავლო გაყალბებასთან დაკავშირებით სერიოზული გარიგებების მცდელობაა.

მე მინდა ყველა გავაფრთხილო, რომ არჩევნები სამართლიანად და დემოკრატიულად უნდა ჩატარდეს. ჩვენ ყველა ხმას დავიცავთ და არჩევნების გაყალბების უფლებას არავის მივცემთ.

რაც შეეხება კოჰაბიტაციის დამთავრებას, ეს არ არის ჩემი აკვიატება. თქვენ ხედავთ, რომ ყველა შეხვედრაზე ადამიანები სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ. ძალიან უცნაურია, რომ 'ქართული ოცნების'' წარმომადგენლებს კითხვა უჩნდებათ, თუ რა არის სამართლიანობის აღდგენა. ეტყობა დაავიწყდათ ერთი წლის წინ, რა ლოზუნგით მოვიდნენ. მართალია, ეს ლოზუნგი ჩვენგან აიღეს, მაგრამ მე მეგონა რომ მას გაითავისებდნენ მაინც. პირველ ოქტომბერს 'ქართული ოცნება'' ხალხს სწორედ სამართლიანობის აღდგენას ჰპირდებოდა და მე დღეს ადამიანებს ვაძლევ პირობას, რომ ის სამართლიანობა, რომელიც არ აღდგა, აუცილებლად აღდგება ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში. მახინჯი კოჰაბიტაცია ნამდვილად დასრულდება, სამართალი იზეიმებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა ის ადამიანი, ვინც ჩვენ ამ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, პასუხს აგებს. მე ვეკითხები 'ქართულ ოცნებას'' და ყველას, ვინც დღეს კოჰაბიტაციას გვახვევს თავს, რაც დღეს ხდება ახალგორის რაიონში, იმაზე წინა ხელი-



სუფლებამ პასუხი არ უნდა აგოს?

სიმართლე გითხრათ დღეს ქვეყანას ხელისუფლება და მთავრობა ჰყავს თუ არა, ძნელი მისახვედრია. ჩვენ ლამაზი სიტყვა კოჰაბიტაციით, რომელიც სინამდვილეში სულ სხვა რაღაცას ნიშნავს, მთელი მსოფლიო უნდა გავაკვირვოთ? ნამდვილად გავაკვირვებთ ჩვენ მთელ მსოფლიოს უუნარობით, უსუსურობით, და იმით, რომ ელემენტარული სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა არ შეგვიძლია და ამ ინტერესების დაცვაში უპირველესი სამართლიანობის აღდგენაა''– განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**ნიუსპრესი**

# ხელოვნების სასახლემ გიორგი ერისთავის იუბილე აღნიშნა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რადგან გიორგი იკორთაში განისვენებს და ოკუპაციის ზოლს სამწუხაროდ ჩვენ ვერ გადავლახავდით.... პანთეონში ერისთავის საფლავზე საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის თითქმის ყველა თანამშრომელი იყო, ძალიან ამაყი ვიყავი ჩემი თანამშრომლებით, ჩვენთან ერთად ამოვიდნენ გიორგის ნათესავები, სულის მოსახსენიებელ პარაკლისზე თეატრალური უნივერსიტეტის სამი სტუდენტიც შემოგვიერთდა! მერე იყო ყვავილები, გალობა და სანთლები! პანთეონში ჩვენს მისვლა ვფიქრობ სავალდებულო იყო, რადგან ასე მგონია მხოლოდ იმ ერს უწერია არსებობა, რომელსაც ღირსეული წინაპრები მხოლოდ სადღეგრძელოებში არ ახსენდება, – განაცხადა გიორგი კალანდიამ.

ხელოვნების სასახლემ საჩუქრად უძვირფასესი კოლექცია მიიღო. გიორგი და დავით ერისთავების შთამომავალმა მანანა ერისთავმა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს უნიკალური საგანძური გადასცა.

– კოლექცია ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიისათვის უძვირფასესს ნივთებს შეიცავს. აქ წარმოდგენილია ცნობილი დრამატურგის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ერისთავის მაგიდის გარნიტური, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნივთები ერისთავის მიერ შეძენილია დაახლოებით 1834 წელს ვარშავაში, როცა ის მეფის რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულებისათვის პოლონეთში გადაასახლეს. აქვეა ქსნის ერისთავთა საბეჭდავი ძველი საგვარეულო გერბით, – განმარტავს გიორგი კალანდია.

მისივე თქმით, საჩუქრად გადაცემული კოლექცია ქართველი მწერლისა და დრამატურგის დავით ერისთავის ნივთებსაც მოიცავს, მათ შორის აღსანიშნავია ფრანგული პალიტრა, მეუღლის მარიამ სარაჯიშვილის გამოსახულებით, რომლის დამზადებაც დავითს პარიზში შეუკვეთია.

– უნიკალურია ლორდ ბაირონის, ვიქტორ ჰიუგოსა და ალექსანდრე დიუმას ძვირფასი გამოცემები დავით ერისთავის ბიბლიოთეკიდან. საიმპერატორო ქარხანაში დამზადებული სარაჯიშვილების ჭურჭელი, ალბომის მომინანქრებული დეტალები, განსაკუთრებული მემორიალური მნიშვნელობა ენიჭება ხელნაწერებს, მათ შორის დავით ერისთავის სატიტულო ფურცელს, მის სავიზიტო ბარათს, ელენე ერისთავის მოგონებების დღიურს და ასე შემდეგ, – ამბობს ხელოვნების მუზეუმის ხელმძღვანელი.

25 ოქტომბერს აღნიშნული კოლექცია გიორგი ერისთავის 200 წლის იუბილისადმი მიძღვნილ გამოფენაზე იქნება ექსპონირებული, გამოფენა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერაა დაფინანსებული. საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში ქართული თეატრის ისტორიისადმი მიძღვნილი ფერადი კრებულიც გამოვა, სადაც საჩუქრად გადმოცემული ნივთების რეპროდუქციებიც შევა.

გიორგი კალანდიას ცნობით, ცნობილმა ქართველმა პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა და მღვდელმა ზაქარია მაჩიტაძემ საქართველოს ხელოვნების სასახლეს უნიკალური საჩუქარი გადასცეს – საქართველოს მეფის ვახტანგ მეექვსის სამართლის ხელნაწერი წიგნი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხელნაწერის ეს ნუსხა დღემდე უცნობი იყო. კრებული ტყავის შესაკრავებიან ყდაშია ჩასმული. შედგება 194 გვერდისაგან, შესრულებულია შავი მელნითა და სინგურით. წიგნის უნიკალურობას ისიც განსაზღვრავს, რომ მას 4 გვერდზე სამეგრელოს სამთავროს თავისებური ქრონიკა ერთვის. ქრონიკაში მოხსენიებულნი არიან სამეგრელოს მთავრები: ლევან და დავით დადიანები, ჭყონდიდის ეპისკოპოსი ანტონი და სამეგრელოს ეპარქიის მწყემსმთავარი ზაქარია. აქვე მოიხსენიებიან გურიის მთავრის ასული ტერეზია და კაცია ჩიჩუა.



– წიგნი დადიანების ბიბლიოთეკის კუთვნილება უნდა იყოს, რასაც ცხადყოფს მინაწერებში ხშირად ნახსენები ზუგდიდის, გორდისა და აბასთუმნის სასახლეები. ხელნაწერი 1843 წელს მღვდელ პავლე ჭედიას მიერ უნდა იყოს გადაწერილი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოთქვამს შემომწირველთა მისამართით, – აღნიშნავს გიორგი კალანდია.

ხელოვნების სასახლე ახალი ექსპონატებით სისტემატურად მდიდრდება. უკვე მუზეუმშია ინგლისური სამეფო პორცელანი და ფაიანსი. ასევე მუზეუმშია ანტიკური ნიღბის ასლი, რომელიც მუზეუმს საჩუქრად კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანამშრომელმა ირინა საგანელიძემ გადასცა. მუზეუმს საჩუქრად „თარხნიშვილების დაირაც" გადაეცა. ალექსანდრე თარხნიშვილისა და ალექსანდრა სიხარულიძის ქალიშვილის მეუღლემ ბატონმა ნუგზარ ელიოზიშვილმა წინაპრების ნივთი ხელოვნების სასახლეს უსახსოვრა.

– ალექსანდრე თარხნიშვილი 1908 წელს დაიბადა. თბილისის ქართული გიმნაზიის დასრულების შემდეგ სხვადასხვა წლებში მსახიობად მუშაობდა მოზარდმაყურებელთა ქართულ ჭიათურის, სოხუმის, თელავის და ხაშურის თეატრებში. ასევე მოსკოვის ოპერისა და მაიაკოვსკის სახელობის თეატრებში. სწავლობდა მოსკოვის კონსერვატორიაში საკომპოზიციო ფაკულტეტზე არჩილ კერესელიძესთან ერთად. ელენე იოსების ასული თარხნიშვილი ალექსანდრე თარხნიშვილის მამიდა იყო. ელენესა და მისი რძლის ნადეჟდა ალექსის ასული დეისაძე-თარხნიშვილის მიერ დუეტად ბრწყინვალედ შესრულებულმა სიმღერებმა დააწერინა აკაკი წერეთელს ცნობილი ლექსი ელენე თარხნიშვილის სადიდებლად. ქართველი ხალხი კი წლების განმავლობაში ტკბებოდა მარო თარხნიშვილის ხალხური სიმღერების თანხლებით, – ამბობს მუზეუმის ხელმძღვანელი.

მისივე თქმით, „თარხნიშვილების დაირა" ხელოვნების სასახლის მემორიალურ და ხელოვნების ნიმუშთა ფონდში დაიდებს ბინას.

მუზეუმის საცავშია ახალი ხელნაწერიც – პროკლე დიადოხოსის ფილოსოფიური თხზულება „პტოლემეუსის ოთხწიგნეულის კომენტარები".

– ამ შენაძენით ძალიან ვამაყობ, ეს არის 300 გვერდიანი პერგამენტის ყდაში ჩასმული, ქაღალდზე მელნით ლათინურ ენაზე დაწერილი პროკლე დიადოხოსის ფილოსოფიური თხზულება „პტოლემეუსის ოთხწიგნეულის კომენტარები", როგორც აღვნიშნე, მთლიანად ხელნაწერია და საკმაოდ დიდი ფორმატისაა – 23-20 სმ. ვფიქრობ, ჩვენი მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციას XVIII საუკუნის საუკეთესო ლათინური ხელნაწერი შეემატა, – განმარტავს გიორგი კალანდია.

მუზეუმში დაცული ქართული, სასცენო და კინო კოსტიუმები არც ბეჭდური მედიის მიღმა დარჩენილა. „თბილის მარიოტისა" და „ქორთიარდ მარიოტის" საზაფხულო ჟურნალში ამ კოლექციების შესახებ ვრცელი და ძალიან საინტერესო სტატია დაიბეჭდა. სტატიაში წარმოდგენილია მუზეუმში დაცული უმნიშვნელოვანესი კოსტიუმების ისტორია და მას თან ერთვის მაღალი ხარისხის ვიზუალური მასალა.

– არანაკლებ საყურადღებოა ჩვენი მუზეუმის გამოცემები, ეს არის 3 წლის განმავლობაში 16 მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი გამოცემა. მაშინ როცა საგამომცემლო საქმისათვის ბიუჯეტში თანხები არ არის, ვფიქრობ მიღწევაა, მით უფრო რომ ყველა გამოცემა დაფინანსებულია ცალკეული პროექტების შედეგად, – აღნიშნავს მუზეუმის ხელმძღვანელი.

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს არც სტუმრები აკლია. მთელი ზაფხულის განმავლობაში მუზეუმში სხვადასხვა ღონისძიებები იმართებოდა. ხელოვნების სასახლეს ინგლისში მოღვაწე ცნობილი ქართველი ჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი ეწვია. ჟურნალისტმა დაათვალიერა მუზეუმის საგამოფენო დარბაზი, დაათვალიერა კოსტუმების კოლექცია და ნატიფი ხელოვნების ნიმუშები, ირაკლი იმნაიშვილი ასევე გაეცნო მუზეუმის რარიტეტულ ფონდში დაცულ იშვიათ ინგლისურ გამოცემებს. სტუმარი ხელოვნების სასახლის საგანძურის მნიშვნელობით განსაკუთრებით მოიხიბლა.

მუზეუმს სტუმრობდა ფრანგი მეცნიერი ედიტ იბერი. ის პარიზის სორბონის უნივერსიტეტის ცენტრალური აზიის ბალკანური და თურქულ კვლევების ცენტრის, პროგრამის წევრია. მეცნიერი მუშაობს თემაზე, ფრანგი მოგზაურები სამეგრელოში და ამ თემასთან დაკავშირებით მუზეუმის დირექტორს გიორგი კალანდიას შეხვდა.

– მან დაათვალიერა ზამბახებისა და ოქროსფერი დარბაზები, სადაც დეტალურად გაეცნო ქართული კოსტიუმის წარმომავლობის ისტორიას და აღფრთოვანებაში მოვიდა. ამის შემდეგ მას საშუალება ჰქონდა, დაეთვალიერებინა ხელოვნების სასახლის გამოყენებითი და მემორიალურ ნიმუშთა ფონდი, ენახა ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული ნივთები. ამასთანავე გაეცნო სასახლეში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს და ურთიერთთანამშრომლობის მომავალი გეგმებიც დაისახა, – განაცხადა გიორგი კალანდიამ.

ხელოვნების სასახლეს პირველი ქართული ოპერის „ქრისტინე"-ს ავტორის რევაზ გოგნიაშვილის შთამომავლებიც ესტუმრნენ. მათ მუზეუმს ახალი საარქივო მასალები გადასცეს და მომავალშიც თანამშრომლობა დაიგეგმა, რომლის მიხედვითაც რევაზ გოგნიაშვილის ფონდის შევსება მოხდება.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და იკომოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის ორგანიზებით გამართულ ტრეინინგებზე დამსწრე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებული მუზეუმების დირექტორები, ფონდის მცველები და გიდები საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს ესტუმრნენ. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა ხელოვნების სასახლეში არსებული ყველა ფონდი და მასში განთავსებული უნიკალური ექსპონატები დაათვალიერეს, ასევე მოინახულეს საგამოფენო დარბაზები და გაეცვნენ კინოსა და თეატრის მუზეუმის ტექნოლოგიურ მიღწევებს სამუზეუმო საქმიანობაში.

მუზეუმში მომუშავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებს სტაჟირების პერიოდის წარჩინებით გავლისთვის, სპეციალური სერთიფიკატები და საჩუქრები გადაეცათ. მუზეუმს ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშე ლოლა პეტროვაც ეწვია, რომელიც მუზეუმში მომუშავე სტუდენტებს შეხვდა და აღნიშნული სტაჟირების შესახებ ესაუბრა.

და რაც ყველაზე მთავარია – სიყვარულის კოშკის რეაბილიტაცია დასასრულს მიუახლოვდა.

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით დასასრულს მიუახლოვდა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული შენობის, გრაფ ოლდენბურგის სასახლის ე.წ. სიყვარულის კოშკის რესტავრაცია რეაბილიტაცია. სიყვარულის კოშკში ორნამენტებად გულებია გამოყენებული, ამიტომაც მოაჯირის მოოქროების პროცესში აქცენტი სწორედ გულებზე გაკეთდა, – განაცხადა გიორგი კალანდიამ.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა ახალი სეზონი საკმაოდ უჩვეულო გამოფენით გახსნა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხელოვნების სასახლეში წარმოდგენილია ექსპოზიცია სახელწოდებით „ფოტოგრამეტრია", რომელიც ორი ხელოვანის – თათა მეტივიშვილისა და ქეთი ორჯონიკიძის შემოქმედებას აერთიანებს.

როგორც კულტურის სამინისტროში აღნიშნეს, პროექტმა გაიმარჯვა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში სახელწოდებით „რეგიონებში გამოფენებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების მოწყობა". გამოფენაზე წარმოდგენილია ოცი სურათი. სურათები დაყოფილია ოთხ ძირითად თემად – სხეულის ნაწილები; სპორტი და ხელოვნება; აბსტრაქცია და საგნები დროსა და სივრცეში.

თაბაშირის სკულპტურებისა და ფოტოგრაფიის შერწყმული სახით გამოფენა საქართველოში გამოფენა პირველად ეწყობა.

– ფოტო უფრო ესთეტიკური და ცოცხალი ხდება თაბაშირის და სკულპტურის შერწყმის საშუალებით. საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია ოცი ფოტოსურათი. გამოფენის მსვლელობისას ეკრანზე გაშვებული იქნა თემატური ფილმი, დარბაზს ვიზუალურად აფორმებდა პანტომიმის თეატრი, რომელიც მინი ეტიუდების სახით წარმოადგენდა ამ პროექტის შემოქმედებით მხარეს, – განაცხადა ქეთი ორჯონიკიძემ.

როგორც ხელოვნების სასახლის ხელმძღვანელმა გიორგი კალანდიამ აღნიშნა:

– ეს გამოფენა საკუთარ თავში ფოტო ხელოვნებასა და ქანდაკებას მოიცავს, მათი სინთეზი კი უჩვეულო ე.წ 3 დე გამოსახულებას იძლევა. საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი ნამუშევრები მნახველზე მისტიურ და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი მსგავსი ტიპის გამოფენას პირველად მართავს. ღონისძიება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერაა დაფინანსებული.

ეკა ირემაშვილი

## განცხადებები


● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.


# ეროვნული სიმფონიური ორკესტრიდან გაშვებულ მუსიკოსებს დააბრუნებენ?

ეკა ირემაშვილი

მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობა ნიკოლოზ რაჭველმა დატოვა, საზოგადოებაში აქტიურად მუსირებს აზრი, დააბრუნებენ თუ არა ეროვნული მუსიკალური ცენტრის ორკესტრიდან ნიკოლოზ რაჭველის მიერ გათავისუფლებულ 33 მუსიკოსს.

მათ ორკესტრის ხელახალი დაკომპლექტებისთვის კონკურსის გამოცხადება მოითხოვეს და საინიციატივო ჯგუფის მიერ დაწერილი განცხადება კულტურის მინისტრს გურამ ოდიშარიას გაუგზავნეს, რომელშიც წერია:

„ბატონო მინისტრო, პროფესიონალ მუსიკოსთა ჯგუფსა და ნიკოლოზ რაჭველს შორის კონფლიქტის მიზეზი იყო არაპროფესიონალიზმი. სისტემატიურად მივუთითებდით, რომ სიმფონიური ორკესტრის პროფესიონალმა დირიჟორმა ბრწყინვალედ უნდა იცოდეს კლასიკური მუსიკის დირიჟორობა. მარტო ხელების ქნევა და პარტიტურის თეორიული ცოდნა საკმარისი არ არის. ამიტომაც დაგვითხოვა სამსახურიდან ყოვლად უმიზეზოდ 33 პროფესიონალი მუსიკოსი და ორკესტრი დაკომპლექტდა საორკესტრო გამოცდილების მქონე მუსიკოსებით, რომლებიც მას სრულიად ემორჩილებიან. ასევე, ყოველთვის გამოვხატავდით უკმაყოფილებას, რომ ნიკოლოზ რაჭველმა სიმფონიურ ორკესტრს შეუცვალა მიმართულება – სიმფონიური მუსიკა ჩაანაცვლა საესტრადო მუსიკითა და მიუზიკლებით. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ აუდიტის შემოწმების შედეგად დადებული დასკვნიდან ამონარიდს: „ორკესტროს ბოლო 2011-2012 წლების რეპერტუარის განხილვისას მკაფიოდ იკვეთება ორკესტრის ხელმძღვანელობის მუსიკალური გემოვნება, მიდრეკილებები, ინტერესები, დამოკიდებულება კლასიკური სიმფონიური მუსიკალური მემკვიდრეობისადმი. უპირატესობა ენიჭება მიუზიკლებს, საესტრადო და გასართობი ხასიათის კონცერტებს". რაც შეეხება სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის დებულების მე-5 მუხლს, სადაც წერია, რომ ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი/მთავარი დირიჟორი არის პროფესიით დირიჟორი. ამას ვეთანხმებით (პროფესიით დირიჟორს აქვს დირიჟორის დიპლომი), მაგრამ გაგრძელებაში დამატებული – (ან) სიმფონიური მუსიკის დარგში არანაკლებ 3 წლის სადირიჟორო გამოცდილების მქონე პირი – გაფორმებულია, რომ ეს დებულება მორგებულია უდიპლომო და არაპროფესიონალ რაჭველზე, რადგანაც მსოფლიო პრაქტიკაში ამგვარი პრეცედენტი არ არსებობს. ამით თქვენ ხელს უწყობთ ასწლოვანი დიდი ტრადიციების მქონე ორკესტრის დასამარებას ნიკოლოზ რაჭველის მეშვეობით და უფლებას აძლევთ გადააკეთოს იგი ჯაზ-ბენდად.

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, სანამ რაჭველის მიერ თვითნებურად დაკომპლექტებული ორკესტრი ხელმძღვანელს აირჩევს, ჯერ ორკესტრში გამოცხადდეს კონკურსი, რომლის მოსმენასაც დააკვირდება კომპეტენტური ჟიური. როდესაც ორკესტრი დაკომპლექტდება პროფესიონალი მუსიკოსებით, შემდგომ დაინიშნოს არჩევნები მთავარი დირიჟორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე, სადაც მონაწილეობას მიიღებენ პროფესიონალი, ანუ დიპლომიანი დირიჟორები და არა თქვენი ფავორიტი უდიპლომო „შოუმენი" ნიკოლოზ რაჭველი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვაქვს თქვენი გულისხმიერების იმედი, რადგანაც ჩვენი მოთხოვნები სამართლიანია. ამავე წერილით ასევე მივმართავთ მთავრობის კანცელარიასა და სახალხო დამცველს. უკიდურეს შემთხვევაში, სასამართლოს ჩვენი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად".

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# არმაზმა და აიამ ლიდერობა ვერ შეინარჩუნეს

**არმაზი – ჯიქები 23:25**

**არმაზი:** ჩხაიძე, ხუციშვილი (მაჩხანელი 41), ლიპარტელიანი, ბროძელი (კაიფაჯიანი 41), პინაიშვილი, დავით კიკნაძე, მისრიაშვილი (აბუსერიძე 41); ჯიბლაძე (მარგველანი 41), თაგაური, ბუკია (ბეჟიაშვილი 41), ჭელიძე, კანდელაკი (არჩუაშვილი 41), ბარბაქაძე, გიგაური (მინაშვილი 41), სოსელია

**2 ლელო:** მისრიაშვილი, არჩუაშვილი
**2 გარდასახვა:** კიკნაძე
**3 ჯარიმა:** კიკნაძე

**ჯიქები:** სვანიძე, დევსურაშვილი (დიმიტრი კიკნაძე 58), ბერძული, კუპრეიშვილი (შარმაზანაშვილი 69), ბიწაძე, გიორგაძე, ნადირაძე (ჭინჭარაული 58); ჯინჭარაძე, მამრიკიშვილი, ხატიაშვილი, გოგოლიძე (ტრაპაიძე 67), მჭედლიშვილი, ტუჩაშვილი, მოგელაშვილი (ოქრომელიძე 50), სუხაშვილი

**1 ლელო:** სუხაშვილი
**1 გარდასახვა:** გიორგაძე
**6 ჯარიმა:** გიორგაძე

ტურის ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული მატჩი ისე დასრულდა, რომ „ჯიქებმა“ მოულოდნელად მეტოქეს ერთპიროვნულად გალიდერების საშუალება არ მისცეს. არადა, „არმაზმა“ ზედმეტი მოინდომა. სავარაუდოდ, მოგება პრემიალურ ქულაზე გათვალა და სულაც წაგებული დარჩა. არმაზელებმა ჯარიმების კარში დარტყმა იუკადრისეს, ლელოებზე ითამაშეს და დაისაჯნენ კიდეც.

მოვლენები მატჩში კატასტროფული სიჩქარით იცვლებოდა. გიორგაძის 2 ჯარიმით „ჯიქები“ დაწინაურდა, იქვე კიკნაძემ კი შეამცირა სხვაობა, მაგრამ ჯერ გიორგაძემ ჯარიმით, შემდეგ კი სუხაშვილმა ლელოთი და იმავე გიორგაძემ გარდასახვით „ჯიქები“ 13 ქულით დააწინაურეს.

„არმაზმა“ საფრთხე იგრძნო და ჯარიმის კარში დარტყმაც გაბედა, რაც კიკნაძეს გამოუვიდა, მაგრამ გიორგაძემ იქვე აღადგინა სტატუს კვო. ერთია, „ჯიქებმა“ მისი შენარჩუნება შესვენებამდე მაინც ვერ მოახერხეს დამისრიაშვილის ლელოს კიკნაძის გარდასახვა მოჰყვა – 13:19.

მეორე ტაიმში „არმაზი“ ჩვეულად ათამაშდა და მალე საგრძნობი უპირატესობა მიიღო, რასაც მათი დაწინაურება მოჰყვა – არჩუაშვილმა ლელო გაიტანა, ხოლო კიკნაძემ ჯარიმა და გარდასახვა დაჰკრა ზუსტად – 23:19.

თითქოს მატჩის ბედიც აქ გადაწყდა და „ჯიქები“ ფსიქოლოგიურად უნდა გატეხილიყვნენ, მაგრამ მარცხს ვერ შეეგუა გიორგაძე, რომელმაც ზედიზედ ორჯერ ზუსტად შეასრულა საჯარიმოები და თავისიანები კვლავ დააწინაურა – 25:23.

ბოლო წუთებში „არმაზი“ მატჩის გადარჩენას შეეცადა, მაგრამ „ჯიქები“ კარგად იცავდა თავს. მხოლოდ ერთხელ მიეცა „არმაზს“ მოგების შანსი, როდესაც ჯარიმა დაინიშნა, მაგრამ კიკნაძემ 40 მეტრიდან კარს ააცილა.

**აია – ლოკომოტივი 12:15**

**აია:** კიკვაძე (აბრამიძე 47), ს.კვერნაძე, ფრუიძე, ლოსაბერიძე, შაშიაშვილი, სინაურიძე (ჯინჭველაშვილი 71), თ.თუთბერიძე (როხვაძე 70); რატიაშვილი, მატკავა (ტორაძე 69), ულუმბელაშვილი (ჩხიკვაძე 58), შალამბერიძე, ჯიმშიტაშვილი (ჩიტეიშვილი 41), რევიშვილი, დანგაძე (ცირეკიძე 73), ყურაშვილი

**2 ჯარიმა:** სინაურიძე (2)
**2 არეკნი:** სინაურიძე (2)

**ლოკომოტივი:** წიკლაური, შიოშვილი (კობერიძე 76), ქავთარაძე (ვასაძე 76), კავთიძე, ჟამუტაშვილი, ჭინჭარაული, ზაბახიძე; ელოშვილი (გასვიანი 73), გენებაშვილი, ბალიაშვილი, ხოლუაშვილი, გეგია, ახვლედიანი, ჩიტიძე, თხელიძე

**5 ჯარიმა:** წიკლაური (5)

მატჩი ლელოს გარეშე დასრულდა. ორივე გუნდი იმდენად კარგად იცავდა თავს, რომ ერთმანეთს ამის საშუალება არ მისცეს. ერთადერთი, რამაც მატჩის ბედი გადაწყვიტა, ლოკომოტიველთა უფრო დისციპლინირებული თამაში იყო. ქუთაისლები მეტჯერ დაჯარიმდნენ და ამის გამო წააგეს.

სინაურიძე-წიკლაურის დუელი სტუმრის გამარჯვებით დასრულდა. არადა, სინაურიძემ თავიდან ორი არეკნი დაარტყა ზუსტად და მასპინძლები 6:0 დაწინაურდნენ. ამის შემდეგაც წინ სულ რიონისპირელები იყვნენ, მაგრამ ბოლოში ფიზიკური მომზადება უკეთესი „ლოკომოტივს“ აღმოაჩნდა და მატჩიც სათავისოდ შეატრიალა.

**ყოჩები – აკადემია 16:9**

**ყოჩები:** გაბუნია, ხარშილაძე, ხუციშვილი, აბდუშელიშვილი (ქუშაშვილი 41), კვარაცხელია (მახარაშვილი 41), სოხაძე, ბეგაძე; გოგიშვილი (ესაკია 49), ხიდეშელი (ცუცქირიძე 49), შენგელია, მეტრეველი (ტვილდიანი 54), გრძელიშვილი, აფციაური (ჯინჭარაძე 73), ტყეშელიაძე, ჩხიკვაძე

**1 ლელო:** ბეგაძე
**1 გარდასახვა:** სოხაძე
**3 ჯარიმა:** სოხაძე

**აკადემია:** მელაძე, ჭუაძე (მაკაროვი 56), წასიძე, ილურიძე, სიჭინავა, დავითაშვილი, ჯ.ღამბაშიძე; გ.ღამბაშიძე, წვერავა, წაქაძე (მაზმიშვილი 51), ნებულიშვილი, ბერიკაშვილი, ნიბლაძე, გოგოლაძე, ლუარსაბიშვილი

**3 ჯარიმა:** დავითაშვილი

ყოჩები წელს უკეთესად გამოიყურებიან და უკვე მეორე მატჩიც მოიგეს. ანგარიში გიორგი ბეგაძის ლელოთი გაიხსნა და ამას თემურ სოხაძის ზუსტი გარდასახვა მოჰყვა. ივა დავითაშვილის ჯარიმას, სოხაძემ შესვენებამდე ორი ზუსტი დარტყმით უპასუხა და ტაიმი 13:3 დასრულდა.

მეორე ნახევარში დავითაშვილმა ორჯერ შეძლო ჩამორჩენის გარდასახულ ლელომდე დაყვანა, მისი დარტყმების შუაში ერთი ჯარიმა სოხაძემაც გამოიყენა და მცირე სხვაობამ თამაშს ინტრიგა ბოლომდე შეუნარჩუნა, მაგრამ „აკადემიამ“ მხოლოდ პრემიალური ქულის აღება მოახერხა.

**ლელო – ხარები 37:16**

**ლელო:** ყიასაშვილი, ზაალიშვილი, კორკელია, კოპაძე, გუგავა, მჭედლიშვილი (ჯოგლიძე 41), კაჭარავა; სანიკიძე (კვერნაძე 67), სარჯველაძე, პატარაია (მელიქიძე 67), ხორბალაძე, ქოიავა, კოლელიშვილი, მძინარიშვილი, ჭყოიძე (ბუბუტეიშვილი 78)

**5 ლელო:** მძინარიშვილი კოლელიშვილი (2) ჭყოიძე ქოიავა
**3 გარდასახვა:** ყიასაშვილი
**2 ჯარიმა:** ყიასაშვილი

**ხარები:** გულიტაშვილი, მელიქიშვილი, ღამბაშიძე, ნათელაშვილი (ბ.ბებიაშვილი 40), გ.ბებიაშვილი, ბასილაია (ჭაავა 72), ხუციშვილი (თეგეთაშვილი 68); წიკლაური (მაჭარაშვილი 35), ქვლივიძე, აღაშვილი, ხელია, ქარუხნიშვილი, ღამბარაშვილი (ხაბაშვილი 49, გოგოლაძე 63), გოგიაშვილი (თედელური 16), მღებრიშვილი

**2 ლელო:** მღებრიშვილი ბ.ბებიაშვილი
**2 ჯარიმა:** ხუციშვილი

„ლელომ“ იოლად იმარჯვა და პრემიალური ქულაც ჩაიწერა. ამ მოგებამ კი საშუალება მისცა ისევ ლიდერთა შორის გარეულიყვნენ, რადგან კონკურენტებმა წააგეს. ერთადერთი, ვისაც ჯერ წაგება არ აქვს, „არმიაა“, რომლის მატჩიც „ბათუმთან“ გადაიდო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ყოჩები | 3 | 2 | 1 | 0 | 70-44 | 10 |
| 2.არმაზი | 3 | 2 | 0 | 1 | 83-49 | 10 |
| 3.აია | 3 | 2 | 0 | 1 | 47-36 | 10 |
| 4.ლელო | 3 | 2 | 0 | 1 | 92-54 | 10 |
| 5.არმია | 2 | 2 | 0 | 0 | 59-20 | 9 |
| 6.ლოკომოტივი | 3 | 2 | 0 | 1 | 41-50 | 8 |
| 7.ჯიქები | 3 | 1 | 1 | 1 | 64-64 | 7 |
| 8.ხარები | 3 | 0 | 0 | 3 | 39-92 | 1 |
| 9.აკადემია | 3 | 0 | 0 | 3 | 24-79 | 1 |
| 10.ბათუმი | 2 | 0 | 0 | 2 | 26-57 | 0 |

# კლასიკებმა მსოფლიო უმედლოდ მოიარეს

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ბუდაპეშტში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი უმედლოდ დაასრულა. მთავარ მწვრთნელ – ოთარ ტატიშვილის მიერ გაწვრთნილი გუნდის შვიდივე წევრი მსოფლიო ჩემპიონატს საწყისი ეტაპიდან გამოეთიშა. საქართველოს ნაკრების შვიდი წევრიდან ექვსს მსოფლიოს ჩემპიონატზე დებიუტი ჰქონდა. გამოცდილი გუნდში მხოლოდ 2012 წლის ევროპის ჩემპიონი და 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონი – რევაზ ლაშხი (60 კგ) იყო, რომელმაც ბუდაპეშტში მხოლოდ ერთი შეხვედრის ჩატარება მოასწრო. მთლიანობაში კი საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნულმა ნაკრებმა ჯამში 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რომელიც თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მძიმეწონოსნის – გენო პეტრიაშვილის ანგარიშზეა, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა მე-3 ადგილის მოპოვება გუნდურ ჩათვლაშიც შეძლო.

# საფრანგეთმა ევროპას გადმოხედა

ევროპის ჩემპიონი საფრანგეთი გახდა, ტურნირის საუკეთესო მოთამაშე კი – ტონი პარკერი. ფრანგებისთვის სლოვენიაში დასრულებული ევროპირველობა ისტორიული გამოდგა. ვინსენ კოლიეს გუნდმა კონტინენტის საუკეთესო გუნდის ტიტული არსებობის მანძილზე პირველად მოიგო.

ფრანგები ევროპის უმაღლეს პოდიუმზე აქამდე არასდროს ასულან. ისინი ორჯერ ფლობდნენ ბრინჯაოს და ერთხელაც ვერცხლს. საფრანგეთმა სლოვენიაში მიმდინარე ჩემპიონატი მძიმედ დაიწყო, ჯგუფში გერმანიასთან წააგეს, მეორე ეტაპზე კი ლიტვასთან და სერბეთთანაც დამარცხდნენ, თუმცა ფინალში მაინც გავიდნენ და ლიტვას დაუპირისპირდნენ.




ლიტველებმა ფრანგები მეორე ჯგუფურ ეტაპზე, 11 სექტემბერს 76:62 დაამარცხეს. აქედან გამომდინარე, ფინალშიც იმედიანად იყვნენ, მაგრამ ფრანგებმა ტურნირის მანძილზე დიდი პროგრესი განიცადეს და საჩემპიონო მატჩში ფაქტობრივად შეუჩერებელნი იყვნენ. ლიტვამ მხოლოდ პირველ მეოთხედში აჯობა ფრანგებს, რომელიც 21:18 მოიგო და ეს ლინას კლეიზას დიდი შედეგიანობით მოახერხა.

მეორე მეოთხედის შუაწელში ლიტვა 29:27 იგებდა, რის შემდეგაც კლეიზა დასასვენებლად მოედნიდან გავიდა, ფრანგებმა კი გარდატეხა მოახდინეს. 21:3 მოგებული 5-წუთეულის შემდეგ საფრანგეთი დიდ შესვენებაზე 16-ქულიანი უპირატესობით გავიდა – 50:34. ფრანგების შეტევებს ტონი პარკერი ხელმძღვანელობდა, თუმცა კოლიეს გუნდს სნაიერად ნიკოლას ბატუმი მოევლინა, რომელმაც პირველ ტაიმში 14 ქულა მოაგროვა.

მეორე ტაიმში ვითარება აღარ შეცვლილა. ლიტვა 14 ქულაზე ახლოსაც ვეღარ მივიდა ფრანგებთან და გაიმეორა 1995 წლის – ვერცხლის შედეგი. ისე კი, ლიტველები ევროპის ჩემპიონები 3-ჯერ გამხდარან – 1937, 1939 და 2003 წლებში.

საფრანგეთი – ლიტვა 80:66

საფრანგეთი: ბატუმი (17ქ), პარკერი (12ქ), დიაო(15ქ), აჯინკა (4ქ,10მ), ჟელაბალე (7ქ), დიო (5ქ), პეტრო (8ქ), კაჰუდი, ეურტელი, პიეტრუსი (6ქ), დე კოლო (4ქ)

ლიტვა: კალნიეტისი (19ქ), დ.ლავრინოვიჩი (7ქ), მაჩიულისი (7ქ), სეიბუტისი (10ქ), კლეიზა (20ქ), მოტეიუნასი, კუზმინსკასი, პოჩიუსი (3ქ), ვალანჩიუნასი, იავტოკასი

მესამე ადგილისთვის საქართველოს ნაკრების თანაჯგუფელებმა ითამაშეს. ესპანეთმა ბრინჯაოსთვის მატჩში ხორვატიას შანსი არ დაუტოვა და 92:66 დაამარცხა.

ესპანეთი – ხორვატია 92:66

ესპანეთი: აგილარი, ფერნანდესი (8ქ), როდრიგესი (2ქ), რეი (4ქ), კალდერონი (8ქ), რუბიო (6ქ,6პ), კლავერი (16ქ), სან ემეტერიო (5ქ), ლული (21ქ), გასოლი (17ქ,8მ), გაბრიელი (5ქ)

ხორვატია: ტომიჩი (1ქ), ანდრიჩი (2ქ), დრეიპერი (5ქ), ბოგდანოვიჩი (22ქ), სარიჩი (6ქ), რუდეზი (5ქ), უკიჩი (12ქ), სიმონი (3ქ), დელასი (2ქ), ზორიჩი (8ქ,6პ)

ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ხუთეული ასე გამოიყურება: ტონი პარკერი (საფრანგეთი), გორან დრაგიჩი (სლოვენია), ბოიან ბოგდანოვიჩი (ხორვატია), ლინას კლეიზა (ლიტვა), მარკ გაზოლი (ესპანეთი).

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები საფრანგეთმა, ლიტვამ, ესპანეთმა, ხორვატიამ, სლოვენიამ, უკრაინამ და სერბეთმა მოიპოვეს.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-სტოკი ........................... 3:1
კრ.პალასი-სუონსი ......................... 0:2
კარდიფი-ტოტენჰემი ...................... 0:1
სიტი-მანჩესტერი .......................... 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:6 | 12 |
| 2.ტოტენჰემი | 5 | 4 | 0 | 1 | 5:1 | 12 |
| 3.სიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:4 | 10 |
| 4.ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 10 |
| 5.ლივერპული | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 10 |
| 6.ევერტონი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:4 | 9 |
| 7.საუთჰემპტონი | 5 | 2 | 2 | 1 | 3:2 | 8 |
| 8.მანჩესტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| 9.სუონსი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| 10.სტოკი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| 11.ნიუკასლი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | 7 |
| 12.ჰალი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:7 | 7 |
| 13.ასტონ ვილა | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| 14.ვესტ ჰემი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 5 |
| 15.ვესტ ბრომვიჩი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 5 |
| 16.კარდიფი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| 17.ნორვიჩი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| 18.ფულემი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| 19.კრ.პალასი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | 3 |
| 20.სანდერლენდი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | 1 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბეტისი-გრანადა ........................... 0:0
სელტა-ვილიარეალი ....................... 0:0
რეალი-ხეტაფე ............................. 4:1
ვალენსია-სევილია ........................ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 18:4 | 15 |
| 2.ატლეტიკო | 5 | 5 | 0 | 0 | 16:4 | 15 |
| 3.რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:5 | 13 |
| 4.ვილიარეალი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:5 | 11 |
| 5.ბილბაო | 4 | 3 | 0 | 1 | 8:6 | 9 |
| 6.ესპანიოლი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| 7.სოსიედადი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:3 | 6 |
| 8.სელტა | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| 9.ვალენსია | 5 | 2 | 0 | 3 | 8:10 | 6 |
| 10.ლევანტე | 5 | 1 | 3 | 1 | 4:10 | 6 |
| 11.მალაგა | 5 | 1 | 2 | 2 | 7:4 | 5 |
| 12.ბეტისი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |
| 13.გრანადა | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| 14.ხეტაფე | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| 15.ვალიადოლიდი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| 16.ალმერია | 5 | 0 | 3 | 2 | 10:13 | 3 |
| 17.ელჩე | 5 | 0 | 3 | 2 | 4:8 | 3 |
| 18.ოსასუნა | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | 3 |
| 19.რაიო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:12 | 3 |
| 20.სევილია | 5 | 0 | 2 | 3 | 6:11 | 2 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალავესი-ხიხონი ............................ 3:0
ხირონა-ლას პალმასი ...................... 0:2
მალიორკა-მირანდესი ...................... 1:0
პონფერადინა-ერკულესი .................. 5:1
დეპორტივო-ალკორკონი .................. 1:0
ჰაენი-კორდობა ............................. 0:0

### იტალია. სერია ა

სასუოლო-ინტერი .......................... 0:7
ატალანტა-ფიორენტინა .................. 0:2
ბოლონია-ტორინო ......................... 1:2
კატანია-პარმა .............................. 0:0
რომა-ლაციო ................................ 2:0
იუვენტუსი-ვერონა ........................ 2:1
მილანი-ნაპოლი ............................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:3 | 12 |
| 2.რომა | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 12 |
| 3.ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:1 | 10 |
| 4.ფიორენტინა | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 10 |
| 5.იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| 6.ლივორნო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| 7.ტორინო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| 8.ლაციო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 6 |
| 9.ვერონა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| 10.კალიარი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| 11.მილანი | 3 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| 12.უდინეზე | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| 13.ჯენოა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| 14.კიევო | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| 15.ატალანტა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| 16.ბოლონია | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| 17.სამპდორია | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| 18.პარმა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |
| 19.კატანია | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |
| 20.სასუოლო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:15 | 0 |

### გერმანია. ბუნდესლიგა

ფრაიბურგი-ჰერტა ........................ 1:1
შტუტგარტი-აინტრახტი ................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 6 | 5 | 1 | 0 | 16:5 | 16 |
| 2.ბაიერნი | 6 | 5 | 1 | 0 | 13:2 | 16 |
| 3.ლევერკუზენი | 6 | 5 | 0 | 1 | 15:7 | 15 |
| 4.გლადბახი | 6 | 3 | 0 | 3 | 15:11 | 9 |
| 5.ჰანოვერი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:8 | 9 |
| 6.ვოლფსბურგი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| 7.მაინცი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:12 | 9 |
| 8.აუგსბურგი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:9 | 9 |
| 9.ვერდერი | 6 | 3 | 0 | 3 | 5:8 | 9 |
| 10.ჰერტა | 6 | 2 | 2 | 2 | 10:7 | 8 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 6 | 2 | 2 | 2 | 15:15 | 8 |
| 12.შტუტგარტი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:9 | 7 |
| 13.აინტრახტი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | 7 |
| 14.შალკე | 6 | 2 | 1 | 3 | 7:13 | 7 |
| 15.ჰამბურგი | 6 | 1 | 1 | 4 | 10:17 | 4 |
| 16.ნიურნბერგი | 6 | 0 | 4 | 2 | 6:9 | 4 |
| 17.ფრაიბურგი | 6 | 0 | 3 | 3 | 8:12 | 2 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:14 | 1 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დინამო-პადერბორნი ...................... 2:2
ფრანკფურტი-ინგოლშტადი .......... 4:1

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ლორიენი-ბორდო .......................... 3:3
ლიონი-ნანტი ............................... 3:1
ნიცა-ვალანსიენი .......................... 4:0
პსჟ-მონაკო ................................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 6 | 4 | 2 | 0 | 10:3 | 14 |
| 2.პსჟ | 6 | 3 | 3 | 0 | 9:4 | 12 |
| 3.სტ.ეტიენი | 6 | 4 | 0 | 2 | 8:5 | 12 |
| 4.მარსელი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| 5.ნიცა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| 6.რენი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| 7.ლიონი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:5 | 10 |
| 8.ლილი | 6 | 3 | 1 | 2 | 5:4 | 10 |
| 9.რეიმსი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 9 |
| 10.ბასტია | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| 11.ევიანი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:10 | 8 |
| 12.ნანტი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| 13.მონპელიე | 6 | 1 | 4 | 1 | 8:10 | 7 |
| 14.ლორიანი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 7 |
| 15.ტულუზა | 6 | 1 | 3 | 2 | 5:8 | 6 |
| 16.გენგამი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| 17.ბორდო | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| 18.აიაჩო | 6 | 0 | 3 | 3 | 4:7 | 3 |
| 19.ვალანსიენი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:11 | 3 |
| 20.სოშო | 6 | 0 | 2 | 4 | 3:9 | 2 |

### ჰოლანდია. ეშედივიზიონი

ვიტესი-ზვოლე ............................. 3:0
ბრედა-ალკმაარი .......................... 3:0
ფეიენოორდი-უტრეხტი .................. 1:0
პსვ-აიაქსი .................................. 4:0

### პორტუგალია. ა ლიგა

ნასიონალი-აკადემიკა .................... 1:0
გიმარაეში-ბენფიკა ........................ 0:1
ეშტორილი-პორტუ ......................... 2:2

### რუსეთი. პრემიერლიგა

რუბინი-ტომი ............................... 1:2
ყუბანი-ამკარი ............................. 0:3
როსტოვი-ზენიტი .......................... 0:4

### შოტლანდია. პრემიერლიგა

დ.იუნაიტედი-მოზერველი ............. 2:2

### შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-თუნი ....................... 2:1
ლოზანა-ციურიხი ......................... 1:2
სიონი-ბაზელი .............................. 1:3

### ავსტრია. ბუნდესლიგა

რაპიდი-რიდი ............................... 2:0
ზალცბურგი-ვოლფსბერგერი ........ 2:2

### ბელგია. პროლიგა

ბრიუგე-ანდერლეხტი .................... 4:0
სტანდარდი-ლოკერენი ................... 2:1
ვაასლანდი-გენკი ......................... 0:0
ვარეგემი-ლეუვენი ....................... 4:2

### თურქეთი. სუპერლიგა

რიზე-ბურსა ................................ 2:1

### ბეშიქთაში-გალათასარაი ჩაიშალა

### საბერძნეთი. სუპერლიგა

პაოკი-პლატანიასი ........................ 1:0
ლევადიაკოსი-იანინა .................... 1:0
პანთრათიკოსი-ვერია .................... 1:0
ერგოტელისი-პანიონიოსი .............. 1:1
პანაითოლიკოსი-ოლიმპიაკოსი ..... 0:0

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ბოჰემიანსი 1905-სიგმა ................ 0:2
ბრნო-ზნოიმო .............................. 2:0
ბანიკი-ლიბერეცი ......................... 3:0
ბოლესლავი-იიჰლავა ..................... 3:1
იაბლონეცი-სლავია ....................... 2:1

### პოლონეთი. ეკსტრაკლასა

ხოჟუვი-შლიონსკი ........................ 1:1
ლეგია-გურნიკი ............................ 2:1

### უკრაინა. პრემიერლიგა

მეტალურგი(ზ)-დნიპრო ................ 2:3
ჩერნომორეცი-ზორია .................... 3:1
დინამო-კარპატი .......................... 1:0

### დანია. სუპერლიგა

სონდერიისკე-ნორდსიელანდი ...... 2:0
ორხუსი-ბრონდბიუ ...................... 1:3
კოპენჰაგენი-ოდენსე .................... 2:1

### შვედეთი. ალსვენსკა

ბრომაპოიკარნა-ჰეკენი ................. 1:0
მიალბი-ელფსბორგი ..................... 2:2
ნორჩიოპინგი-მალმიო ................... 0:2
ჰელსინბორგი-სირიანსკა .............. 2:2
დიურგარდენი-ატვიდაბერგი ........ 2:0

### ნორვეგია. ტიპელიგა

სარპსბორგი-ტრომსო ................... 3:0
მიოლდე-ულფი ............................. 4:1
სტარტი-სონგდალი ....................... 2:0
ოდ გრელანდი-ალესუნდი ............. 5:1
ვიკინგი-ვალერენგა ..................... 1:0

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა

კუუპიო-როვანიემი ...................... 2:0
მიუპა-ლახტი ............................... 0:1
ჰიკი-ტპს ..................................... 3:1

### აშშ. მლს

ნიუ იორკი-დალასი ....................... 1:0

### ბრაზილია. სერია ა

ბოტაფოგო-ბაია ........................... 1:2
გოიასი-სან პაულუ ....................... 1:0
ინტერნასიონალი-პორტუგეზა ..... 0:1
კორინთიანსი-კრუზეირო ............. 0:0
ნაუტიკუ-ფლამენგო ..................... 0:0
ატლეტიკო(მ)-ვასკუ .................... 2:1
ატლეტიკო(პ)-პონტე პრეტა ........ 1:0
სანტოსი-კრისიუმა ...................... 2:1

### არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

ესტუდიანტესი-ხიმნასია .............. 1:1
არხენტინოსი-ბოკა ...................... 0:0
რივერ პლეიტი-ოლ ბოიზი ............ 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# აგვისტოს ომი და ზოგიერთი გაურკვევლობა ქართულ-თურქულ ურთიერთობებში

შორენა გონგლაძე



რუსეთ-საქართველოს ომიდან ხუთი წლის შემდეგაც ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ პასუხების მისაღებად არაერთი კომისია შეიქმნა, დღემდე ვერ მოხდა საკითხის საფუძვლიანი და ობიექტური შეფასება, ამის მიზეზად ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს, თუმცა, ყველაზე საუკეთესო შემფასებელი ყოველთვის იყო და არის ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის ორივე მხარე სიტუაციის შელამაზებით და ურთიერთგადაბრალების პოლიტიკით ცდილობს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე საკუთარი ქმედების გამართლებას, ფაქტია, რომ ეს ყველაფერი არც ისე დამაჯერებლად ჟღერს. საკმაოდ საინტერესოდ აფასებს მოვლენებს საქართველოს ყოფილი კონსული თურქეთში, თურქოლოგი

ზაურ მჭედლიშვილი. ყოფილი კონსული ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტენზეც საუბრობს, რომელიც ქართულ პოლიტოლოგიას რატომღაც ყურადღების მიღმა რჩება, ან სულაც, მათთვის ამ ფაქტების შესახებ ცნობილი არც არის.

– ბატონო ზაურ, როგორი შეფასება მიეცა ხუთი წლის წინ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს უცხოური პრესის მხრიდან, ამ შემთხვევაში საყურადღებოა თურქი ჟურნალისტების პოზიცია, იმ პერიოდში თურქეთმა საკმაოდ მნიშვნელოვანი და ასე ვთქვათ გადამწყვეტი როლი ითამაშა..

– 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზების ობიექტური გამოძიებისა და პასუხისმგებლობის საკითხების შემსწავლელი სამთავრობო კომისიის შექმნამ, საქართველოს პოლიტიკურ წრეებში მითქმა-მოთქმა და დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. აღნიშნული საკითხის სამართლებრივი განხილვის მეტად სერიოზულად წინ წამოწევამ და მთავრობისა და ოპოზიციური ძალების დაპირისპირებამ, თანაც ქვეყნის ინტერესებისთვის ზიანის მიყენების ერთმანეთისთვის გადაბრალების მცდელობამ, წარმოშვა აუცილებლობა, რომ კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების უცხოური პრესის განხილვას. თავისთავად, ისევ დგება 2008 წლის აგვისტოს დღეების გახსენების აუცილებლობა და საინტერესოა, იმდროინდელი თურქული პრესის მოკლე მიმოხილვა დღევანდელი გადასახედიდან. 2008 წლის 9 აგვისტოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დირექტორი სინან

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ჟირინოვსკის არტისტიზმთან ვერც ერთი ქართველი პოლიტიკოსი ვერ მივა

შორენა გონგლაძე

„ე. წ. „კრემლის პოლიტოლოგები" და ქართველი ჟურნალისტების პრობლემა" –ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი გულბაათ რცხილაძე, რომელსაც მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

– საქართველოში რუსეთის შესახებ ბევრი სტერეოტიპი არსებობს, რომლის დამკვიდრებაში ლომის წილი ქართველ ჟურნალისტებს მიუძღვით. მათი გავლენა იგრძნობა ე. წ. „ექსპერტებზეც", თუმცა ხანდახან პირიქითაც ხდება, „ექსპერტები" აწვდიან პრესის წარმომადგენლებს თავიანთ მოსაზრებებს და მასმედიაც ამ კერძო, რეალურად ნაკლებად ექსპერტულ, მოსაზრებებს დროთა განმავლობაში ისე ავრცელებს, როგორც შეუვალ ფაქტს. ყოველივე ეს კი, ზოგ შემთხვევაში, გავლენას ახდენს ქართული პოლიტიკური სპექტრის მიერ რუსული პოლიტიკის შეფასებებსა და აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილებების მიღებაზე (პოლიტიკაშიც და სახელმწიფო თანამდებობებზე ჟურნალისტებსა და „ექსპერტებზე" უფრო მომზადებული კადრები არ გვყავს). – ამბობს რცხილაძე და კონკრეტული მაგალითიც მოყავს.

– ამჟამად მოკლედ, სულ ორიოდე ფაქტის ილუსტრირებით შემოვიფარგლებით. ჯერ იყო და, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოში დაინერგა აზრი, რომ „ვლადიმერ ჟირინოვსკი კრემლის რეალურ ზრახვებს ახმოვანებს", „ჟირინოვსკი კრემლის რუპორია" და ასე შემდეგ. გაუგებარია, საიდან და როგორ გაჩნდა ეს აზრი, მაგრამ იგი მეტად სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. ბოლო პერიოდში უკვე ალექსანდრ დუგინზე მიდგა საქმე, ახლა დუგინი იწოდება „კრემლის რუპორად" და „კრემლის პოლიტოლოგად" ქართულ მასმედიაში. ბუნებრივია, ისევე, როგორც ჟირინოვსკის შემთხვევაში, დუგინის ყოველი გამონათქვამი საქართველოს შესახებ, კონტექსტიდან იგლიჯება, ხელოვნურად მძაფრდება და საზოგადოებას მიეწოდება, როგორც ოფიციალური მოსკოვის არაოფიციალური პოზიცია. დუგინის შემთხვევაშიც გაურკვეველია, რატომ მოიაზრება ეს მართლაც ორიგინალური მოაზროვნე „კრემლის პოლიტოლოგად" მაშინ, როდესაც მას კრემლთან გაცილებით უფრო სუსტი კონტაქტი აქვს, ვიდრე ბევრ სხვა რუს პოლიტოლოგს. ზოგიერთი ქარაფშუტა „ექსპერტი" იმასაც ფიქრობს, რომ დუგინი პრეზიდენტ პუტინთან ყოველ კვირას ჩაიზეა დაპატიჟებული და მას თავის იდეებს კარნახობს.

რეალურად არც ჟირინოვსკი და არც დუგინი კრემლის გეგმების, ან, უბრალოდ, განწყობის გამხმოვანებლები არ არიან. რუსულ პოლიტიკაში ორივე ამ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ფიგურას, თავ-თავიანთი ადგილი უკავიათ, მაგრამ კრემლისათვის მათი მნიშვნელობა საქართველოში აშკარად გადაჭარბებულია.

ჩვენ იმის კონსტატაცია შეგვიძლია მხოლოდ, რომ ჟირინოვსკის ბრწყინვალე არტისტიზმთან და ორატორულ ნიჭთან ვერც ერთი ქართველი პოლიტიკოსი მივა ახლოს, ისევე, როგორც მათ ვერ დასწამებ დუგინის განათლების დონესა და აზროვნების მასშტაბურობას, გულახდილობასთან ერთად. – აცხადებს რცხილაძე.

# ჟურნალი „ცისკარი" იუბილეს ზეიმობს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ზარმაცდა, კითხვა ეზარებათ, უფრო ვიზუალურად უყურებენ ინტერნეტში მონაცემებს. ეს არის ეტაპი, რომელიც უნდა გაიაროს ჩვენმა საზოგადოებამ, ეს პერიოდი უკვე გაიარა ევროპამ, ამერიკამ და ახლა იქ მილიონიანი ტირაჟებით გამოდის ჟურნალები.

კულტურის სამინისტროში არსებული ლიტერატურული კომისიის და მწერალთა სახლის ლიტერატურული საბჭოს ინიციატივით, რეკომენდაცია მიეცა კულტურის სამინისტროს და საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს, რომ „ცისკარს" მიენიჭოს არამატერიალური სულიერი კულტურული ძეგლის სტატუსი. ამ სააგენტოდან უკვე შემეხმიანნენ, არის სააღრიცხვო ბარათი, რომელიც უნდა შეივსოს, მერე კომისია განიხილავს, რომ ამ ჟურნალს მიენიჭოს ეს სტატუსი. ვფიქრობ, ეს იქნება „ცისკრის" გადარჩენა და თავიდან დაბადება, რომ მუდმივად იქნას სახელმწიფოსგან შენახული და მოვლილი, როგორც ძეგლი.

*– რა სიხშირით გამოსცემთ ჟურნალს?*

– თვეში ერთხელ, როგორც თავიდანვე გამოდიოდა. შარშან 12-ვე ნომერი გამოვეცით, წელს ცოტა პრობლემები შეგვექმნა, კულტურის სამინისტროსაც ჰქონდა პრობლემები, თანხები ჩამოაჭრეს და მოხდა ისე, რომ არასტაბილური გახდა გამოცემა, მაგრამ სამინისტროს ინიციატივაც არის, რომ გამოვიდეს „ცისკარი" ყოველ თვე. კულტურის მინისტრი შესანიშნავი პოეტი, მწერალი და დრამატურგია. თვითონაც მონდომებულია რომ იმ პერიოდულობით დაიბეჭდოს, როგორც აქამდე გამოდიოდა.

სამომავლოდ ვფიქრობთ დაიწყოს გამოცემა სერიის „ცისკრის ბიბლიოთეკა", სადაც ყველა ის ნაწარმოები წიგნის სახით გამოვა და დაერთვება „ცისკარს", რომელიც დაბეჭდილა XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ჟურნალში. ყველა ღირსეული ნაწარმოები გამოიცემა, დაერთვება „ცისკარს" და შეიქმნება „ცისკრის ბიბლიოთეკა". ეს იქნება მართლაც ყველა იმ ლიტერატურული ნაწარმოების ახლიდან „აღმოჩენა", რომელიც 160 წლის განმავლობაში დაბეჭდილა. ყველაზე ღირებული, რაც საქართველოში იქმნებოდა, პირველ რიგში იბეჭდებოდა „ცისკარში". ორი ჟურნალი გამოიცემოდა კომუნისტების პერიოდში საქართველოში „ცისკარი" და „მნათობი" და ახალგაზრდული ჟურნალი „ნობათი". ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავდა „ცისკარს". ვფიქრობთ, ხელისუფლების მხარდაჭერით, ჩვენ „ცისკარს" გადავარჩენთ და ერთად აღვნიშნავთ 170 წელსაც და შეიძლება 200 წელიც ერთად ვიზეიმოთ.

***– იუბილეს აღნიშვნა როგორ გსურთ?***

– კულტურის მინისტრის იდეაა, რომ კულტურის სამინისტროში ჩატარდეს პრეზენტაცია. ჩვენი სურვილია 27 სექტემბერს შედგეს ამ ნომრის პრეზენტაცია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი სულიერება და ჩვენი პასპორტი მსოფლიოში არის ჩვენი კულტურა, ეს უნდა გავიტანოთ და ვაჩვენოთ მსოფლიოს. ტექნიკური მიღწევებით ვერავის გავაკვირვებთ, ვერ შევეჯიბრებით იაპონიას, ჩინეთს, ამერიკას, მაგრამ ჩვენი ლიტერატურით, მხატვრობით, ფოლკლორით, სიმღერით, ცეკვით ვართ მდიდრები. კულტურის სამინისტროში ერთ-ერთ შეხვედრაზეც ვთქვი, როცა მიდიან დელეგაციები ლონდონში, ფრანკფურტში წიგნის ბაზრობებზე, „ცისკარი" უნდა წაიღონ როგორც ისტორიული გამოცემა და აჩვენონ მათ, რომ ჩვენ ახლა კი არ დაგვიწყია მწერლობა, ჩვენ 160 წლის წინ გვქონდა ლიტერატურული პერიოდიკა, იბეჭდებოდა საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებები და იყო სწორება ქართულ ლიტერატურაზე და ქართულ სულიერებაზე. „ცისკარს" დასაბამიდანვე ჰქონდა დამოუკიდებელი კულტურული პოლიტიკა და ის ახლაც მზად არის, ნებისმიერი საინტერესო წინადადება მიიღოს და განიხილოს.

*– როგორია კულტურული პოლიტიკა საქართველოში?*

– დღესდღეობით ჩამოყალიბების პერიოდშია, წინა წლების პოლიტიკა სახელმწიფოში გაურკვეველი იყო, კულტურა როგორც მეცამეტე გოჭი, ასე მიაჩნდა ხელისუფლებას, მიჩანჩალებდა ჩვენი კულტურა და მხოლოდ გასართობი შოუების და მას კულტურის პროპაგანდას ეწეოდნენ, ამით ვერავის გავაოცებთ, ჩვენ მხოლოდ ეროვნული კულტურით გავაკვირვებთ მსოფლიოს. ახლა ეროვნული ხელისუფლება მოვიდა და ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი მიხედავს ქართულ კულტურას, მან კარგად იცის ჩვენი კულტურის და სულიერების ფასი.

*–რამდენი შემოქმედია საიუბილეო ნომერში?*

– 111 ავტორი ჩავატიეთ. აქ იბეჭდება როგორც პოეზია, ასევე პროზა, დრამატურგია, თარგმანები, გვაქვს სხვადასხვა რუბრიკები, ამასთან ერთად ყველა ნომერში თითო მხატვრის პროპაგანდას ვეწევით. ცნობილი ქართველი მხატვრები, რომლებსაც ხელშეწყობა სჭირდებათ, მათი ნამუშევრებით ვაფორმებთ ჩვენს ჟურნალს. საიუბილეო ნომერი ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრით გავაფორმეთ. შესანიშნავი სარედაქციო საბჭო გვყავს ცნობილი პოეტებით, მწერლებით, დრამატურგებით წარმოდგენილი. „ცისკარი" ემსახურება არა მარტო ლიტერატურას, არამედ თეატრს, მხატვრობას, კინოს. „ცისკარმა" კულტურის ყველა მიმართულება უნდა მოიცვას და კულტურის მინისტრის პოზიციაც ეს არის, რომ ჟურნალმა დაიტიოს საქართველოს ყველა კუთხის შემოქმედება.

*–კულტურის მინისტრის შემოქმედება მოხვდა საიუბილეო ნომერში?*

– დიახ. გურამ ოდიშარია ამ ნომერში წარმოდგენილია 1986 წელს დაწერილი ლექსით სოხუმზე. ეს მისი სურვილიც იყო.

*–გაყიდით საიუბილეო ნომერს თუ საჩუქრებად დაარიგებთ?*

– პრეზენტაციაზე კულტურის სამინისტროში საჩუქრების სახით დავარიგებთ საიუბილეო „ცისკარს". ამ ნომრის გამოცემაში ფინანსურად დიდი დახმარება გაგვიწია კულტურის სამინისტრომ და თბილისის მერიამ. ახლა ძალიან გვინდა ხელმოწერები განახლდეს, რომ სკოლების ბიბლიოთეკებში იდოს ჟურნალი „ცისკარი". ჩვენ გვაქვს სპეციალური რუბრიკა „ცისკარი ბავშვებს", „ცისკარი სკოლებს". იქ ისეთი მასალებია, პატარა მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს. გვინდა, ფართო სპექტრით მოვიცვათ ყველა თაობა და მთელი საქართველო. რეგიონებში მცხოვრებ შემოქმედებსაც მაქსიმალური ყურადღება უნდა მივაქციოთ, აჭარელ მწერალს, ან სხვებს არ უნდა სჭირდებოდეს მაინცდამაინც თბილისში საცხოვრებლად ჩამოსვლა იმის გამო, რომ მათი ნაწარმოებები დაიბეჭდოს. თბილისი უკვე თავკომბალას დაემსგავსა, ამიტომ საჭიროა შემოქმედებითი ცხოვრება რეგიონებშიც დუღდეს.

ეკა ირემაშვილი

# ეროვნული სიმფონიური ორკესტრიდან გაშვებულ მუსიკოსებს დააბრუნებენ?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ნიკოლოზ რაჭველმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება აგვისტოში დაწერა, რაც მინისტრმა მაშინვე დააკმაყოფილა. მას წინ უსწრებდა საგანგებო წერილების და განცხადებების მიწერა კულტურის მინისტრისადმი როგორც ორკესტრიდან გაშვებული მუსიკოსების მიერ, ასევე ორკესტრში დარჩენილი მუსიკოსების მიერაც. კულტურის სამინისტროში ადასტურებდნენ, რომ შექმნილი იყო სპეციალური კომისია და ის არსებულ განცხადებებსა და საჩივრებს სწავლობდა.

საბოლოოდ ნიკოლოზ რაჭველმა გადაწყვეტილება მიიღო და თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება თავისი სურვილიც დაწერა. როგორც ის „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე წერს, საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად, თანამდებობიდან წასვლის შესახებ დაწერილი განცხადების ფოტოვერსია სრულიად შეგნებულად გამოაქვეყნა, რომელშიც წერია:

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბატონ მირიანე ოდიშარიას

სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელის ნიკოლოზ რაჭველი-მემანიშვილის განცხადება

სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის დებულების შეცვლიდან გამომდინარე, ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა გახდა არჩევითი, ხოლო ამავე დებულების თანახმად, მინისტრი ნიშნავს გენერალურ მენეჯერს. ვინაიდან აქამდე მე ვიყავი ცენტრის შემოქმედებითი და ადმინისტრაციული ხელმძღვანელი და ვინაიდან მომავალში დიდი სურვილი მაქვს, მუშაობა გავაგრძელო მხოლოდ შემოქმედებით დარგში, გთხოვთ, გამანთავისუფლოთ ცენტრის ხელმძღვანელის (ანუ ადმინისტრაციული მმართველის) თანამდებობიდან, ხოლო როგორც მთავარი დირიჟორი – სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე ორკესტრის სურვილის შემთხვევაში მივიღებ მონაწილეობას არჩევნებში. პატივისცემით თქვენი ნიკოლოზ რაჭველი".

ნიკოლოზ რაჭველის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ ორკესტრის დროებითი ხელმძღვანელის თანამდებობა ნინო ნახუცრიშვილმა დაიკავა. ის ნიკოლოზ რაჭველის გადადგომამდე გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობდა. მის მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში აღნიშნულია, რომ:

„დღევანდელი აჟიოტაჟი სავარაუდოდ მოყვა ცენტრში ნიკოლოზ რაჭველის ინიციატივით დაწყებულ რეფორმას. ჩვენი სურვილი იყო ცენტრი მთლიანად გადასულიყო მართვის ახალ და მსოფლიოს წამყვან მუსიკალურ სტრუქტურებში აპრობირებულ სისტემაზე. ჩვენ მივმართეთ თხოვნით კულტურის სამინისტროს და პირადად ბატონი მინისტრის გურამ ოდიშარიას დიდი თანადგომითა და სამინისტროსთან თანამშრომლობით შესაძლებელი გახდა ცენტრის მართვის ახალი დებულების დამტკიცება. ასეთი ცვლილება ჯერ კიდევ წინა საუკუნეში განხორციელდა ბერლინის ფილარმონიისა და სხვა ევროპულ ორკესტრებში. მოგვიანებით, მართვის ეს სისტემა დამკვიდრდა ამერიკის შეერთებული შტატების სიმფონიურ ცხოვრებაში. ჩვენ შევეცადეთ ყველა ეს გამოცდილება გაგვეთვალისწინებინა და მოხარულები ვართ, რომ არამხოლოდ საქართველოს, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების უმეტეს ნაწილს შორის ვიქნებით პირველი მუსიკალური ორგანიზაცია, რომელსაც არჩეული შემოქმედებითი ხელმძღვანელი ეყოლება. წინასწარი შეთანხმების თანახმად, ჩვენი ცენტრი კულტურის სამინისტროსთან ერთობლივად გააცნობს უახლოეს დღეებში საზოგადოებას ახალ დებულებასა და მართვის მთლიან სისტემას.

ცენტრი ამჟამად ემზადება 25 სექტემბერს ქალაქ გორში დაგეგმილი სეზონის გახსნის ღონისძიებისთვის, რომელიც იქნება საქველმოქმედო და მიეძღვნება აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ ჩვენს თანამემამულეებს. შემდეგ უკვე გადავინაცვლებთ დასავლეთ საქართველოში, რამდენიმე კონცერტი გაიმართება რაჭაში".

როგორც „ახალი თაობისთვის" გახდა ცნობილი, 25 სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი კულტურის სამინისტროსთან ერთად პრესკონფერენციას გამართავს და საზოგადოებას გააცნობს ახალ დებულებას, რომელიც მსოფლიოს წამყვანი მუსიკალური ორგანიზაციებში არსებული მართვის სისტემის მიხედვით მომზადდა.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. პოპულარული ფრანგული მინერალური წყალი; 2. დაკოდილი მამალი ცხვარი; 3. ლეო დელიბის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი; 4. ისტორიული ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად; 5. რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი; 6. ქართული მოკლე, უვადო ხმალი; 7. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 9. ტროპიკებში ბინადარი მოკლე ხორთუმიანი ცხოველი; 13. ძველად სატუსაღო, დღევანდელ იმპრესიონისტ მხატვართა მუზეუმი პარიზში; 17. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იაპონიაში; 18. დიდი ისტორიული პერიოდი.

**თარაზულად:** 1. მოლაპარაკე ფრინველი; 3. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი მამაკაცი; 8. მღვდელთმთავართა და მეფეთა ძვირფასი სამოსელი; 10. მაღალი მორალური ადამიანური თვისება; 11. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 12. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 14. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 15. პოლონეთის ძველი დედაქალაქი; 16. შველის ნაშიერი; 19. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 20. წვრილყელიანი ღვინის სასმისი; 21. მინერალური წყალი სამეგრელოში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. პარაბოლა; 6. კავინტონი; 9. კიმონო; 10. ვალეტი; 11. ალისა; 13. შტაბი; 15. კურარე; 18. მაისი; 21. დინოზავრი; 22. ნამგალი; 23. მარადია.

**შვეულად:** 1. მანდილი; 2. მანავი; 3. კვარტეტი; 4. კიდობანი; 7. მოლიბდენი; 8. მოლაღური; 12. სტუდენტი; 14. ბურატინო; 16. კალანდა; 17. კრამიტი; 19. ავლა; 20. აგნი.

### სკანვორდის პასუხები:

1. იდიია; 2. წრიაპი; 3. კია; 4. აი; 5. ნუგა; 6. გარანტია; 7. ტახი; 8. ბენუარი; 9. კანოტიე; 10. არაგაწი; 11. ამბოხება; 12. მარატ; 13. ბლე; 14. ტიარა; 15. ეტლი; 16. ხივა; 17. გორდა; 18. იშხანი; 19. ია; 20. სტოპერი; 21. სტიგმა; 22. ალია; 23. ლავრა; 24. ხაზარდა; 25. რაზა; 26. არხოტი; 27. ანტი; 28. დონ; 29. ანი; 30. პელე; 31. ვიტალური; 32. ტოლედო; 33. ლაპი; 34. და.

**სურათზე:** ნიკოლ შერზინგერი; გაბრიელ ბატისტუტა.

# აგვისტოს ომი და ზოგიერთი გაურკვევლობა ქართულ-თურქულ ურთიერთობებში

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ოლანი წერდა „ეს ომი დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ დაიწყო. საქართველოს ხელისუფლება მუდამ ლაპარაკობდა ომის დაწყების შესახებ. შეერთებული შტატები და თურქეთი აიარაღებდნენ საქართველოს, ამერიკელი სპეციალისტები წვრთნიდნენ ქართულ ჯარს და ერთობლივ სწავლებებსაც გადიოდნენ მათთან. აშშ-ს, ერაყში ჩატარებული ოპერაციის წარუმატებლობა აწუხებდა და თავისი გეოსტრატეგიული მიზნების განხორციელების ძიებაში იყო. ამ შემთხვევაში აშშ-ს აწყობდა ერთი ქვით ორი ჩიტი მოეკლა: 08.08.08. თარიღი „სპეციალურად“ შეირჩა, აშშ-ს ყველაზე დიდი მოწინააღმდეგის ჩინეთისთვის, ოლიმპიური თამაშების „სპეციალურად“ ჩრდილის მიყენება; რუსეთის ჩაბმა კონფლიქტში და აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნებიდან ყურადღების სხვა მიმართულებისკენ მიპყრობა. პროფესორი მეჰმედ ჯანმა 2009 წელს გამოსცა წიგნი „თურქეთის საგარეო პოლიტიკის გამოცდა საქართველო-რუსეთის ომით“. ამ წიგნში ავტორი ეხება ამერიკის სამხედრო გემების სრუტეებში შემოსვლის პრობლემას, რომელმაც თავის დროზე მითქმა-მოთქმა გამოიწვია. (თავისთავად საინტერესოა, რომ თურქეთი ნატო-ს წევრი ქვეყანაა და აშშ-ს სტრატეგიული მოკავშირე, რომელმაც ჯერ 2003 წლის მარტში ამერიკის სამხედრო კონტინგენტს არ მისცა უფლება, მისი ტერიტორიიდან ერაყში შეჭრილიყო. ახლა კი, 2008 წლის აგვისტოში თავისი მოკავშირე და ნატო-ს წევრი ქვეყნის გემებს არ მისცა ჰუმანიტარული ტვირთის შეტანის საშუალება, ომისაგან დაზარალებული მეგობარი ქვეყნის ლტოლვილებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით). „ამერიკის მიერ საქართველოსთვის ჰუმანიტარული დახმარების ტვირთით მიმავალი სამხედრო გემის გატარება, მონტრეს ხელშეკრულების შესაბამისად შესაძლებელი იყო თუ არა, კამათის თემად იქცა. სრუტეებში მიმოსვლის თაობაზე მონტრეს ხელშეკრულების მიხედვით, შავი ზღვის სანაპიროს არმქონე ქვეყნების გემების სრუტეებში გავლა, გარკვეული კრიტერიუმების შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება. ამ კრიტერიუმებისათვის თავიდან შეტყობინება, ტონაჟის ლიმიტი, შავ ზღვაში დარჩენის ვადის შესახებ წინასწარ ეცნობება. აშშ-ის მხრიდან გამოგზავნილი სამხედრო გემების ამ კრიტერიუმების შესრულებისას მონტრეს ხელშეკრულების საწინააღმდეგო არაფერი ჩანდა და თურქეთის მხრიდან აშშ-ის გემებისათვის ნებართვის მიცემა სავსებით ნორმალური ქმედება იყო. თურქეთი, ხელშეკრულების 21-ე პარაგრაფის მიხედვით „მისთვის ძალზე ახლოს ომის საფრთხის საშიშროების გამო“, სრუტეებში გავლის ნებართვა შეეძლო არ მიეცა. მაგრამ, რა ზომის სამხედრო გემიც არ უნდა ყოფილიყო, გემებს ბოლოსდაბოლოს ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი მიჰქონდათ და აშშ-სთან ახალი, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული კრიზისი რომ არ შექმნილიყო, თურქეთმა არჩია ხელშეკრულების ეს პუნქტი არ გამოეყენებინა“. (სინამდვილეში, თურქეთმა „კლასიკური“ ორმაგი თამაშის მასტერ-კლასი ჩაატარა, რომლის შემდეგაც თავმოყვარე, თუნდაც პატარა ქვეყანას, დაფიქრება სჭირდებოდა). ავტორი ბოლოს აღნიშნავს, რომ „რუსეთ-საქართველოს ომით გამოწვეულმა რეგიონულმა აფორიაქებამ, თურქეთის როლისა და მნიშვნელობის დონე დღითიდღე გაზარდა. კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის სამშვიდობო პროექტმა, თურქეთს რეგიონში ახალი მიზნების განხორციელების შესაძლებლობები გაუჩინა. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისა და მონტრეს ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებში, რუსეთთან არსებული პარტნიორული სიახლოვის გაგრძელება და საჭიროება არის შესანარჩუნებელი. მოკლედ, თურქეთის მიერ გატარებული პოლიტიკური სვლებით, თურქეთმა კავკასიაში მონაპოვრების შენარჩუნებისა და რეგიონის სტაბილურობის განხორციელებისთვის აქტიური ნაბიჯები უნდა გადადგას“.

– ერდოღანის განცხადებას 2008 წლის ომის დროს ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან აპლოდისმენტები მოჰყვა.. დავიჯეროთ თურქეთის უანგარობა?

– 2008 წლის ომის შემდეგ წამოჭრილი კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც დღესაც თავმოუბმელობისა და უთავბოლოობის სენი შეჰყრია. ერთ-ერთი გაზეთის ინფორმაციის თანახმად და სტატიის სათაურით „თურქეთი, აჭარაში ჯარს შეიყვანდა“, გახმაურდა იმით, რომ 2008 წლის 13 აგვისტოს ერდოღანის მოსკოვში ყოფნისას, მან მედვედევი გააფრთხილა „1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით მოცემულ უფლებას გამოვიყენებთ და ჯარს გავაგზავნით“-ო. „ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიდუმლო მიმოწერის ვიკილიქსის-ის მიერ გამოქვეყნებულ ბოლო ცნობებში თურქეთის მიერ 2008 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაჭრელად მზადყოფნა იყო გამოცხადებული. 2008 წლის აგვისტოში თურქეთ-საქართველოს საზღვრიდან 70 კილომეტრში შემოსული რუსეთის არმიის წინააღმდეგ შესაძლო ღონისძიებების მიღების შესახებ, პრემიერ ერდოღანის მეთაურობით მოსკოვში ვიზიტად მყოფმა მეჯლისის დელეგაციამ რუსეთის პრეზიდენტს მედვედევს აცნობა. 90 წლის წინ რუსეთთან დადებული ყარსის ხელშეკრულება და ნატო-ს წევრი ქვეყნის წარმომადგენლობითმა დელეგაციამ, რუსეთის მხარეს მოსკოვში ასე მიმართა: „თურქეთს აქვს უფლება და შეუძლია, მეზობელი ქვეყნის დაცვის მიზნით, საომარი მოქმედებების ზონაში ჯარი გააგზავნოს. თანაც სახმელეთო ძალების გარდა, შეუძლია საჰაერო ძალების გაგზავნაც. 2008 წლის ომიდან უკვე 5 წელი გავიდა. კარგი იქნება, ახლა მაინც მოხდეს ისე, რომ ქართული დიპლომატია დაინტერესდეს ამ ავადსახსენებელი „ყარსის ხელშეკრულების“ თურქული ან რუსული (მხოლოდ ამ ორ ენაზეა შედგენილი) ტექსტით, წინასწარ მოხდეს შეთანხმება, დათქვან დრო და მოხდეს შეხვედრა ორი სახელმწიფოს საგარეო უწყების ჩინოვნიკთა შორის, წერტილ-მძიმიანად, კონკრეტულობის განსაკუთრებული სიზუსტით შეისწავლონ დოკუმენტი და ორივე ქვეყნის უმაღლესი პასუხისმგებელი პირების ხელმოწერით, ერთხელ და სამუდამოდ დაუსვან წერტილი ამ გაურკვევლობის ნიაღვარს.

## სამგლოვიარო განცხადებები

მაკა ოსიშვილი, ჯუგული ძიძიგური, ემზარ ზერაგია ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**თემურ კალანდაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# საპარლამენტო არჩევნებში ანგელა მერკელის პარტიამ გაიმარჯვა

გერმანიაში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა და მისმა „ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება.

გერმანიის საარჩევნო კომიტეტის ინფორმაციით, მერკელის „ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა“ ხმების 42% მოიპოვა, რაც 1990 წლის არჩევნების შემდეგ პარტიისთვის მიცემული ხმების ყველაზე დამაჯერებელი მაჩვენებელია, თუმცა მიუხედავად შედეგისა, პარლამენტში მერკელის პარტია უმრავლესობით მაინც არ იქნება წარმოდგენილი.

მერკელის პარტიის მთავარმა კონკურენტმა „სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ“ ხმების 26% მოიპოვა. სავარაუდოდ, „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირს“ მოუწევს მასთან ეგრეთ წოდებული „დიდი კოალიციის“ შექმნა, რადგან კოალიციაში მერკელის პარტიის მოკავშირე „თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ“ არჩევნებში 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახა.



„საოცარ შედეგს მივაღწიეთ. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რათა ეს წლები წარმატებული იყოს გერმანიისთვის. ახლა ნაადრევია იმაზე საუბარი, როგორ ვიმოქმედებთ, მაგრამ დღეს ყველამ ერთად უნდა ვიზეიმოთ“, – განაცხადა ანგელა მერკელმა საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.

ახალმა პარტიამ „ალტერნატივა გერმანიისათვის“, რომელიც გერმანიის ევროზონაში წევრობის წინააღმდეგია, არჩევნებზე 4,9 % დააგროვა.

„კანცლერის თანამდებობაზე რვა წლის განმავლობაში, ანგელა მერკელმა გერმანია გლობალური ფინანსური კრიზისისგან და ევროზონა შესაძლო დაშლისგან გადაარჩინა. ახლანდელ არჩევნებში გამარჯვებამ კი მერკელი გახადა ერთადერთი მსოფლიო ლიდერი, რომელმაც ეს ძნელბედობა კარგად გადაიტანა.

გერმანიის ომისშემდგომი ისტორიის მანძილზე, მხოლოდ ჰელმუტ კოლმა და კონრად ადენაუერმა შეძლეს კანცლერის თანამდებობაზე მესამე ვადით დარჩენა“, – წერს „ბი-ბი-სი“.

# ნაირობის სავაჭრო ცენტრში მყოფი თითქმის ყველა მძევალი თავისუფალია



კენიის უსაფრთხოების ძალებმა დედაქალაქ ნაირობის სავაჭრო ცენტრში მყოფი თითქმის ყველა მძევალი გაათავისუფლეს. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, სპეცოპერაციის შედეგად ორი ტერორისტი დაიღუპა. ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, სავაჭრო ცენტრში ტერორისტების შეჭრის შედეგად დაღუპულია 69 ადამიანზე მეტი, 170-ზე მეტი ადამიანი კი დაშავებულია.

„თავდამსხმელებზე უპირატესობას თითქმის სრულად ვფლობთ“, – დაწერა კენიის პოლიციის ხელმძღვანელმა დევიდ კიმაიომ „ტვიტერის“ საკუთარ ექაუნთზე.

ქალაქ ნაირობიში, სავაჭრო ცენტრში ტერორისტების შეჭრაზე პასუხისმგებლობა სომალის ტერორისტულმა დაჯგუფება „ალ შაბაბმა“ აიღო. მათი განცხადებით, ეს კენიის ჯარების სომალიში ყოფნის პასუხია.

სავაჭრო ცენტრში ტერორისტების შეჭრის მომენტში 1000-ზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა. 2011 წლიდან მოყოლებული სომალიში 4 ათასი კენიელი სამხედროა, რომლებიც ისლამისტების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობენ.

უკვე ცნობილია, რომ დაღუპულთა შორის არიან საფრანგეთის, ჰოლანდიის, სამხრეთ აფრიკის, ინდოეთისა და კანადის მოქალაქეები, მათ შორის ერთი დიპლომატი. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით კი, დაღუპულია ბრიტანეთის სამი მოქალაქე.

„აშშ მხარს უჭერს კენიის ძალისხმევას სამართლიანად დაისაჯონ დამნაშავეები“, – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ კენიის პრეზიდენტ უჰურუ კენიატასთვის გაგზავნილ მიმართვაში.

„დეილი მეილის“ ინფორმაციით, კენიის დედაქალაქში სავაჭრო ცენტრზე მოწყობილი თავდასხმის უკან ქვრივი ინგლისელი დგას, რომელიც 7/7-ის (2005 წლის 7 ივლისის ლონდონის აფეთქებები) მონაწილის მეუღლეა. ჯარისკაცების თქმით, თეთრკანიანი ქალი არაბულ ენაზე იძლეოდა ბრძანებებს. შეიარაღებულმა მებრძოლებმა „ტვიტერზე“ დაწერეს, რომ ლონდონის 7/7 თავდასხმების მონაწილის ჟერმენ ლინდსის ქვრივი 29 წლის სამანტა ლიუთვეითი „მათ რიგებში იდგა და ის მამაცი ქალბატონია“.

როგორც „ალ შაბაბის“ წარმომადგენელი აღნიშნავს, კენიაში ყველა დიდი ბრიტანელი მათ „სამიზნეს“ წარმოდგენს, ვინაიდან დიდი ბრიტანეთი მეზობელ სომალიში აფრიკული ქვეყნების სამხედრო ინტერვენციას უჭერდა მხარს. გასულ ღამეს სავაჭრო ცენტრზე კონტროლის დამყარების მცდელობაში კენიის უსაფრთხოების ძალებს ისრაელის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის უსაფრთხოების ძალები შეუერთდნენ.

# დამასკოში ნაღმის აფეთქების შედეგად სამი რუსი დიპლომატი დაიჭრა

დამასკოში ნაღმის აფეთქების შედეგად სამი რუსი დიპლომატი დაიჭრა. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით ნაღმი, რომელიც ოპოზიციურმა ძალებმა ისროლეს, რუსეთის ფედერაციის დიპლომატიური წარმომადგენლობის ეზოში აფეთქდა.



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დიპლომატების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და სირიის მთავრობასთან ერთად სირიაში მყოფი რუსი დიპლომების უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებები ტარდება.

ვაშინგტონი დამასკოში რუსეთის საელჩოზე მიტანილ იერიშს გმობს – აღნიშნულის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარი ჰარფმა განაცხადა.

„ჩვენ იმ პირებსა თუ ობიექტებზე ნებისმიერ თავდასხმას ვგმობთ, რომლებსაც საერთაშორისო სამართალი იცავს. ამერიკა ხაზს უსვამს, რომ ყველა ტიპის თავდასხმაზე პასუხისმგებლები აუცილებლად უნდა დაისაჯონ“.

დამასკოში რუსეთის საელჩოს დაშავებულ თანამშრომლებს თანაგრძნობა რუსეთში ამერიკის ელჩმა მაიკლ მაკფოლმაც გამოუცხადა.

ტუნისელი ქალები კი სირიაში ამბოხებულებთან სექსუალური კავშირის დასამყარებლად მიდიან, რათა მათ ბაშარ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ გამოცხადებულ ჯიჰადში კონცენტრირებაში დაეხმარონ. ამის შესახებ ინფორმაციას „ჰაფინგტონ პოსტი“ ტუნისის შინაგან საქმეთა მინისტრ ლოფტი ბინ ჯედოზე დაყრდნობით ავრცელებს

მისი თქმით, ტუნისელი ქალები ასეთი სახით ასრულებენ ეგრეთ წოდებულ „სექსუალურ ჯიჰადს“.

„ქალები სექსით კავდებიან სირიაში ამბოხებულების შენაერთებთან, რომელიც შედგება 20, 30 და ზოგჯერ 100 მამაკაცისგან. ამის შემდეგ ისინი დაორსულებულები ბრუნდებიან სახლში. ასეთი სექსუალური კავშირები დროებით ქორწინებად მიიჩნევა“, – განაცხადა შს მინისტრმა.

„მუსლიმი ქალებს საკუთარი ღირსება სამსხვერპლოზე გააქვთ, რომ ამბოხებულების ჯიჰადს მხარი დაუჭირონ, რათა ამბოხებულებმა შეძლონ ბრძოლაზე კონცენტრირება და არ იფიქრონ სექსზე“, – განმარტა ექსპერტმა ისლამის საკითხებში რეიმონდ იბრაგიმმა.

გავრცელებული ინფორმაციით, სექსუალური ჯიჰადი გასულ ზაფხულს გამოცხადდა. ამასთან, რელიგიურ საკითხებზე მომუშავე სამინისტროში ირწუნებიან, რომ მსგავსი რამ არ გამოცხადებულა და ქალებს მოუწოდებენ, არ დათანხმდნენ სირიაში სექსუალურ მონობას.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

## TV პროგრამა

**სამშაბათი 24 სექტემბერი**

**08.00** დ/ფ " როგორ შეგვქმნა დედამიწამ" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00" 20.00** "მოამბე" **09.10** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **10.15** დან.სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.35** მხ.ფ "**მეხის-მტყორცნელი და ვინეტუ**" **14.30** დ/ფ "არქიტექტურა-ბარსელონას გერმანული პავილიონი" **15.00** ტ.სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ.სერ. "**ზღვარს მიღმა**" **18.00** დ/ფ " ანტიკური მსოფლიო" **19.05** ტ.სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ.სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.00** მხ.ფ "**სულელების ოქრო**" (კ. ჰადსონი) **00.00** ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ "**რიპლის თამაში**" (ჯ. მალკოვიჩი)

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00, 14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.05" 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგ.) **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30,13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** კონცერტი: "თამარ გვერდწითელი ვარსკვლავის გახსნა" **1** ნაწ. (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50" 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **7** სერ. **21.50** ახალი ქართული ხმა I სეზონის საუკეთესო ნომრები **23.30, 00.40** მხ/ფ "**საუკეთესო საყვარელი**" (უ. თურმანი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **17.00** სერ. "**ნამდვილი ბრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **23.00** გააცინე და მოიგე **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ "**გრაფი მონტე-კრისტო**" I სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "ალექსი მაჭავარიანი" **11.15** სალვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**იმერული ესკიზები**" **13.20** დოკ/ფ "უმორჩილესად გთხოვთ" **14.00** ფოტოგალერეა **14.05** მხ/ფ "**ნიურნბერგის პროცესი**" II სერ. **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - ანს."ურმული" **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** მოკ/ფ "**კუზხი ბედნიერი**" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.50** ფოტოგალერეა **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**გრაფი მონტე-კრისტო**" II სერ.

მაესტრო **7.00, 0.45, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) **17.45, 21.30, 0.30, 4.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **18.05, 1.30, 5.45** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) **19.00** **სერიალი "ასი"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) **6.45** ფარული კამერა

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


24 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6628 |
| ევრო | 2,2519 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6658 |
| რუსული რუბლი | 0,0524 |

## ამინდის პროგნოზი 24 სექტემბრისთვის





## მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად




საქართველოს ისტორია

მთელი ქვეყნის ისტორია ერთ წიგნში

## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები







მალე! მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა




20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები




24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები




27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები


## ხელოვნების სასახლემ გიორგი ერისთავის იუბილე აღნიშნა

ქართული პროფესიული თეატრის ფუძემდებლის, მწერლისა და დრამატურგის გიორგი ერისთავის 200 წლის იუბილე საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა აღნიშნა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მთაწმინდის პანთეონში სულის მოსახსენებელი პარაკლისი აღევლინა. პარაკლისს მუზეუმის ხელმძღვანელი გიორგი კალანდია, თანამშრომლები, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები და ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენლები დაესწრნენ. პარაკლისი გიორგი ერისთვის შვილის დავით ერისთავის საფლავზე აღევლინა. თავად გიორგი ერისთავის საფლავი კი ამჟამად ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე, იკორთის ტაძარში განისვენებს.

– „გლახურიჩის“ ანუ გიორგი ერისთავის დაბადების 200 წლის იუბილე მთაწმინდის პანთეონში აღვნიშნეთ. რომ არ ყოფილიყო ის ალბათ ქართული თეატრიც არ იქნებოდა ასეთი წარმატებული! მის დაბადების დღეზე შვილის დავით ერისთავის საფლავზე ავედით,


გაგრძელება მე-8 გვერდზე


## ასტროპროგნოზი 24 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე სწავლას დაუთმეთ

ვერძი – ფული გაქვთ, მეტს იშოვით. კურო – ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. ტყუპები – ისწავლეთ, არ შეჩერდეთ. კირჩხიბი – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. ლომი – ახალი პროექტი სარფიანი აღმოჩნდება. ქალწული – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. სასწორი – იშრომეთ, არ გაექცეთ პასუხისმგებლობას. ღრიანკალი – რთული მდგომარეობიდან მალე გამოხვალთ, მთავარია, იმედი არ დაკარგოთ. მშვილდოსანი – ცხოვრება გეცვლებათ და კმაყოფილი ხართ. თხის რქა – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. მერწყული – არ აჩქარდეთ, წარმატება ისედაც მოვა. თევზები – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, გელით სიურპრიზიც.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ინფორმაციის ერთეული გამოთვლით ტექნიკაში; 2. მარგალიტების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი იაპონიაში; 3. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 4. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 5. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 8. ყურანის თითოეული თავი; 9. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტროხელსაწყო; 10. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 12. საუნივერსიტეტო ქალაქი სან-ფრანცისკოს მახლობლად; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია; 15. ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტალური საესტრადო ანსამბლი.

**თარაზულად:** 1. ძველებური აბრეშუმის სამკუთხა ხელსახოცი, ყარაჩოღელთა ტანსაცმლის აუცილებელი ატრიბუტი; 6. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 7. რაიმეს ჩამონათვალი სია; 10. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 11. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 13. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 14. საქართველოში მოღვაწე მე-20 საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 15. ბრიტანული ტაქსი; 17. რაიონული ცენტრი სამცხე-ჯავახეთში; 18. მთა თბილისში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## აგრესიულმა ფანებმა თურქეთში მატჩი ჩაშალეს



ინციდენტი მოხდა თურქეთის ჩემპიონატის მე-5 ტურში. „ბეშიქთაში“ – „გალათასარაის“ დერბის დროს, „ბეშიქთაშის“ ფანები სტადიონზე შეიჭრნენ.

ამის მიზეზი კი, მოედნიდან ფელიპე მელოს გაძევება გახდა, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მელო ამ სასჯელს იმსახურებდა. უბრალოდ, ფანებს მიზეზი მიეცათ.

ეს მოხდა უკვე მსაჯის მიერ კონპენსირებულ დროში და თითქოს მატჩის ჩამთავრებაც შესაძლებელი იყო, მაგრამ განრისხებულ ფანთა რიცხვი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, ამასთან ძალიან აგრესიული. ამიტომ, მსაჯმა გუნდები მოედნიდან გაიყვანა, ხოლო პოლიციას გულშემატკივრების დასამშვიდებლად ცრემლსადენი გაზის გამოყენება დასჭირდა.

თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, მუამერ გულერის განცხადებით, 66 კაცია დაკავებული.

რაც შეეხება მატჩს, პირველ ტაიმში უგო ალმეიდამ „ბეშიქთაში“ წინ გაიყვანა, მეორე ნახევარში დიდიე დროგბამ გაათანაბრა და 73-ე წუთზე კი დუბლი შეასრულა. როგორც ჩანს, გულშემატკივრებს სწორედ წაგება არ მოეწონათ.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## ჟურნალი „ცისკარი“ იუბილეს ზეიმობს

ჟურნალი „ცისკარი“ 160 წლისაა. შემოქმედებითი ჯგუფი იუბილეს აღნიშვნას კულტურის სამინისტროში თვის ბოლოს აპირებს. როგორც ჟურნალის მთავარი რედაქტორი ბაღათერ არაბული აღნიშნავს, საიუბილეო ნომერი განსაკუთრებულად მრავალფეროვანი და საინტერესო გამოვიდა. მასში 111 შემოქმედის ნაწარმოებია შეტანილი, მათ შორის კულტურის მინისტრის გურამ ოდიშარიას ლექსი სოხუმზე. საიუბილეო ნომრის სარედაქციო საბჭოში შედიან ტარიელ ხარხელაური, ბესიკ ხარანაული, თემურ ჭკუასელი, რეზო ჭეიშვილი, მარიამ წიკლაური, ბუბა ხოტივარი და სხვა ცნობილი მწერლები და ხელოვანები.

რა სიახლეებით ხვდება იუბილეს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ჟურნალი, ამაზე „ახალ თაობას“ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი ბაღათერ არაბული ესაუბრა.

**ბაღათერ არაბული:**

– წელს „ცისკარს“ 161 წელი შეუსრულდა, ცოტა მოგვიანებით აღვნიშნავთ 160 წლის იუბილეს, რადგან შარშან საარჩევნო ეიფორია იყო საქართველოში, თუმცა წელსაც არის საპრეზიდენტო არჩევნები, მაგრამ გადავწყვიტეთ, წელს აღვნიშნოთ ეს მნიშვნელოვანი თარიღი. სამწუხაროდ, საარჩევნო ეიფორიიდან გამოსვლას ვერ ვახერხებთ, ეს არის ჩვენი უბედურება. 1989 წლიდან დაიწყო ეს პროცესები და აღარ სრულდება. „ცისკრის“ მოკლე ისტორია შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: 1852 წლის დასაწყისში გამოვიდა „ცისკარი“. 1853 წელს კი დაიწყო უფრო სტაბილურად გამოსვლა. 1846 წელს საქართველოში მთავარმართებლად ვორონცოვი დაინიშნა. ქართული თავადაზნაურობა და მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები ვორონცოვთან კავშირების გამოძებნას ცდილობდნენ, რომ დაეარსებინათ ლიტერატურული ჟურნალი. იმ პერიოდში მანანა ორბელიანს ჰქონდა ლიტერატურული სალონი, (სხვათაშორის, რაოდენ სიმბოლურია, „ცისკარი“ დღესაც ამ შენობაშია განთავსებული!) სადაც დადიოდა ვორონცოვიც. დიმიტრი ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი და სხვები გაეცნენ ვორონცოვს და დააჯერეს, რომ ამ ჟურნალის გამოცემა აუცილებელი იყო. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში რუსეთის იმპერიის ცენზურა მუშაობდა საკმაოდ ძლიერად და 1851 წელს უკვე ქართველებმა მიიღეს ნებართვა „ცისკრის“ გამოცემის შესახებ, განსაკუთრებით ამ საქმეში გიორგი ერისთავი აქტიურობდა. პეტერბურგში ნიკოლოზ პირველს მისწერეს, რომ ქართველებს უნდოდათ ჟურნალის გამოცემა და ეს არ იქნებოდა სახიფათო რუსეთის იმპერიისთვის. ნიკოლოზის ნებართვის შემდეგ დაიწყო ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა და 1852 წელს გამოიცა პირველი ნომერი. მისი რედაქტორი იყო გიორგი ერისთავი. მისი რედაქტორობით გამოვიდა 24 ნომერი. 1854 წელს გიორგი ერისთავმა „ცისკრის“ რედაქტორობა გადასცა ივანე კერესელიძეს. 1857 წელს ივანე კერესელიძემ სისტემატურად დაიწყო „ცისკრის“ გამოცემა. XIX საუკუნის 60-იანელები, ვინც არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები, ამ ჟურნალის ირგვლივ გაერთიანდნენ და მოხდა უკვე არა მარტო მათი ნაწარმოებების დაბეჭდვა, არამედ ვისაც ხელნაწერი დარჩა და არ იყო გამოცემული, ისინიც დაბეჭდეს. „ცისკარი“ იმ პერიოდში იყო არა მარტო ლიტერატურული, არამედ საგანმანათლებლო ჟურნალიც, სხვა ჟურნალები არ გამოდიოდა, ეს იყო პირველი ბეჭდვითი ჟურნალი. არადა, ევრაზიულ სივრცეში არის სახელმწიფოები, რომელსაც 160 წლის ისტორიაც არ აქვს. „ცისკარი“ ეს არის ჩვენი სულიერების პასპორტი, შეგვიძლია გავიდეთ უცხოეთში და ვთქვათ, რომ ჩვენ 160 წლის წინ გვქონდა ლიტერატურული ბეჭდვითი ჟურნალი. რამდენიმე წლის წინ ვიყავი ტუვის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მათი დამწერლობა დაიწყო 1931 წელს და მათი კლასიკოსი ჩვენს დელეგაციაზე იყო მიმაგრებული და ჩვენთან ერთად დადიოდა. „ცისკარი“ არის არამატერიალური კულტურული სულიერების ძეგლი, ისეთივე ძეგლია, როგორც ჯვარი, სვეტიცხოველი და სხვა ჩვენი საგანძური. ეს არ არის ერთი პიროვნების ან ჯგუფის ჟურნალი, ეს არის საერთო სახალხო ჟურნალი. არის ლიტერატურული გამოცემები, რომლებიც კლანური და ჯგუფური ჟურნალებია. ჰყავთ გამოკვეთილი ჯგუფი, ჰყავთ თავისი ავტორები და მარტო მათ ბეჭდავენ. „ცისკარი“ არის საერთო სახალხო ჟურნალი და მთლიანად ქართულ ლიტერატურას, კულტურას ემსახურება.

*– თქვენ როგორ ახერხებთ ამ კლანურ დაჯგუფებებში ლავირებას?*

– თვითონ ჟურნალი და მისი ტრადიციები არ მოგვცემს სხვა უფლებას. არავითარი პარტიულობა არ გვაინტერესებს, ჩვენ ვბეჭდავთ ნაციონალებსაც, მეოცნებეებსაც, მთავარია, ნაწარმოებს ლიტერატურული ღირებულება ჰქონდეს.



*– ვინ წყვეტს ამას?*

– ამას წყვეტს სარედაქციო საბჭო და რედაქციის თანამშრომლები. ამ ჟურნალში მასალები ინერციით არ იბეჭდება. ჩვენ შეკვეთებსაც კი ვაძლევთ რეგიონებს, იგივე აჭარას, ქუთაისს, ჩვენ უნდა მოვიცვათ მთელი საქართველო. მთავარია მასალა, მოგვეწონოს და ის აუცილებლად იბეჭდება ჟურნალში. „ცისკარი“ იყო ქართული ეროვნული ცნობიერების და ღირებულებების დამცველი და დღესაც ასეა. ჩვენს საიუბილეო ნომერში, საქართველოს პატრიარქის და ბიძინა ივანიშვილის მილოცვასთან ერთად, ბევრი ცნობილი პიროვნების მილოცვაა და ყველა აღნიშნავს, რომ ჟურნალი „ცისკარი“ მეტ ყურადღებას საჭიროებს და ის აუცილებლად უნდა გადარჩეს. მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში პრობლემები შეიქმნა კომერციული თვალსაზრისითაც, წიგნებსაც და ჟურნალებსაც ნაკლებად კითხულობენ. კომპიუტერმა წალეკა და ჩაითრია ყველა და ყველაფერი, ხალხი გა-


გაგრძელება მე-10 გვერდზე